

ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შორენა ჰაიდარის ასული კახიძე

## საოჯახო საინფორმაციო სისტემების შემუშავება

სპეციალობა: საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი

საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტში ფილოსოფიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

მეცნიერ-ხელმძღვანელი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
სრული პროფესორი მურთაზ მაღრაძე



თბილისი

2008

## ბეგმა

შესავალი . . . . .	3
თავი 1. ინფორმატიზაცია და ოჯახის ინფორმაციული უზრუნველყოფა	
1.1. ინფორმატიზაცია და საზოგადოების განვითარება . . . . .	8
1.2. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ოჯახის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში . . . . .	28
თავი 2. ოჯახი, როგორც ინფორმატიზაციის ობიექტი	
2.1. ოჯახში ინფორმაციაზე მოთხოვნის შესწავლა . . . . .	33
2.2. ოჯახის ინფორმაციული კავშირი გარე სამყაროსთან . . . . .	39
თავი 3. საოჯახო სისტემების განვითარების პერსპექტივები	
3.1. ოჯახის საინფორმაციო სისტემების სტრუქტურა . . . . .	45
3.2. ოჯახის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების ავტომატიზაცია . . . . .	70
3.3. თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარსადგენი საფინანსო დეკლარაციების შედგენის ავტომატიზაცია . . . . .	103
3.4. თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარსადგენი ქონებრივი დეკლარაციების შედგენის ავტომატიზაცია . . . . .	129
3.5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში წარსადგენი საჯარო მოსამსახურისა (პრეტენდენტის) და მისი ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შედგენის ავტომატიზაცია . . . . .	156
დასკვნა . . . . .	182
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	192
დანართი №1 . . . . .	197
დანართი №2 . . . . .	223
დანართი №3 . . . . .	247
დანართი №4 . . . . .	270

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო მძლავრი საზოგადოებრივი მოძრაობა ადამიანების თანასწორუფლებიანობის, ზოგადსაკაცობრიო იდეალების, მისი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების, აგრეთვე ყოველი ადამიანის უზრუნველყოფილი ცხოვრების დასამკვიდრებლად. ეს პროცესი მოითხოვს დაუშრეტელი პოლიტიკური ნების გამოვლენასა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას, რამაც თავისუფლების გარდა, ადამიანს უნდა მისცეს საკუთარი ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალის სრულად გამოვლენის საშუალება. თუმცა ძალზე მოკლე ხანში გაირკვა, რომ მხოლოდ პოლიტიკურ ნებასა და საკანონმდებლო ბაზას არ მოაქვს სასურველი შედეგი. აუცილებელია მესამე კომპონენტი – საინფორმაციო ინფრასტრუქტურა და შესაბამისად, ახალი სახის ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება.

საზოგადოების ინფორმატიზაციის ქვეშ იგულისხმება იმ მეთოდების, ტექნიკური საშუალებებისა და მანქანური ინფორმატიკის საწარმოთა ორგანიზაციულ ფორმათა ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში არსებული მონაცემების დამუშავების ავტომატიზაცია და დაგროვილი ცოდნის დაყვანა საზოგადოების თითოეულ წევრამდე (სახელმწიფო საიდუმლო და კონფიდენციალური ინფორმაციის გამოკლებით). ინფორმატიზაციის საფუძველზე ადამიანს ეძლევა საშუალება გაიგოს, დაინახოს და მოისმინოს თუ რა ხდება მიკრო და მაკრო სამყაროში, მიიღოს ინფორმაცია მსოფლიოში, საკუთარ ქვეყანაში, ქალაქში, სოფელსა თუ მის ყოველდღიურ სამუშაო ადგილზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების შესახებ, გაეცნოს დღემდე წინა თაობების მიერ დაგროვილ ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია მატერიალიზებული სახით (ქაღალდზე, მანქანურ მატარებლებზე) ადამიანთა გონებაში. ინფორმატიზაცია მიმდინარეობს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში. დღეისათვის ინტენსიურად მიმდინარეობს სამრეწველო წარმოების, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოების და სხვ. სფეროების ინფორმატიზაციის პროცესი. მატერიალური და არამატერიალური სფეროს ეკონომიკაში ინფორმატიზაციის საფუძველზე მომხდარი ცვლილებები საზოგადოების ინფორმატიზაციის დონის მაჩვენებელთა სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესი უშუალო ზეგავლენას ახდენს ოჯახის, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი შემადგენელი უჯრედის, ყოველმხრივ განვითარებაზე. დღეს განვითარებულ ქვეყნებში კომპიუტერი ცხოვრების აუცილებელ სტანდარტად იქცა. ის გამოიყენება ოჯახის თითოეული წევრის მიერ. კომპიუტერი საშუალებას იძლევა სახლიდან გაუსვლელად იქონიო მუდმივი კავშირი მსოფლიოსთან. კერძოდ, შესაძლებელია: ელექტრონული პრესის გაცნობა, კომუნალური გადასახადების გადახდა, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში სასურველი ინფორმაციის მოძიება, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება, საბანკო ოპერაციების შესრულება, ელექტრონული კომერციით სარგებლობა, ოჯახის ფინანსების სწორად დაგეგმვა, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიღება, საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების შევსება და მრავალი სხვ.

საზოგადოების ინფორმატიზაცია სოციალურ-ეკონომიკური პროცესია და მან უნდა უზრუნველყოს საზოგადოებაში დაგროვილი ინფორმაციის დაყვანა მის თითოეულ წევრამდე. საზოგადოების წევრთათვის საჭირო ინფორმაცია საკმაოდ დიდი მოცულობით და მრავალფეროვნებით ხასიათდება. ეს, კი, განპირობებულია საზოგადოების წევრთა პროფესიული განათლებით, მათი ადგილით საზოგადოებაში, მათი ინტერესთა სფეროებით. ოჯახის წევრები მათი საქმიანობის მიხედვით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად იქნას დაყოფილი: სხვადასხვა სახის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები; მეცნიერ-მუშაკები; საოჯახო ბიზნესის წარმომადგენლები; მოსწავლეები; სტუდენტები; ასპირანტები; პედაგოგები; დიასახლისები; საჯარო სამსახურის მუშაკები; სხვა დანარჩენი მუშა-მოსამსახურეები. ყოველ მათგანს ესაჭიროება მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინფორმაცია, მაგრამ, გარდა კონკრეტული სპეციალიზებული ინფორმაციისა, არსებობს ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება ნებისმიერ ოჯახს.

ოჯახის ინფორმაციული უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს საოჯახო საინფორმაციო სისტემის (სსს) მეშვეობით.

როდესაც საუბარია სსს-ის შექმნაზე, კრიტიკოსთა მხრიდან შეიძლება ასეთ ბანალურ კითხვასაც კი ჰქონდეს ადგილი: არის თუ არა საჭირო და აუცილებელი სსს-ის შექმნა? ყოველივე ზემოაღნიშნული, კი იძლევა იმის საშუალებას, რომ კრიტიკოსთა მხრიდან დასმულ ბანალურ კითხვას, ბანალური პასუხივე გაეცეს:



დიახ და მოკლედ დავასკვნათ, რომ თანამედროვე ოჯახის რაციონალური ფუნქციონირება სსს-ის გარეშე XXI საუკუნეში წარმოუდგენელია.

**კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შეიქმნას ისეთი სახის საინფორმაციო სისტემა, რომელიც გამოყენებადი იქნება ყოველი ოჯახისათვის, საშუალებას მისცემს და დაეხმარება მის თითოეულ წევრს სწორად დაგეგმოს ოჯახის შემოსავლები და გასავლები, აკონტროლოს ფინანსური სახსრების ხარჯვის პროცესი, აწარმოოს დებიტორული თუ კრედიტორული დავალიანებების შესახებ მონაცემთა ბაზა და შესაბამისად მიიღოს ინფორმაცია მათი გადახდის მდგომარეობის შესახებ. შეავსოს საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციები, აწარმოოს მონაცემთა ბაზა სხვადასხვა წლებში ოჯახის წევრების მფლობელობაში არსებული ქონების შესახებ, სახლიდან გაუსვლელად ისარგებლოს ინტერნეტ-ბანკის მომსახურებით, მიიღოს დისტანციური განათლება, დაუკავშირდეს მსოფლიოს და დროის ნებისმიერ მომენტში ისარგებლოს ინტერნეტში არსებული ინფორმაციული რესურსებით, აწარმოოს ელექტრონული კომერცია და გახდეს საინფორმაციო საზოგადოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს, მოხდეს ოჯახის ხარჯებისა და დროის საგრძნობი ეკონომია. მომხმარებელთან ურთიერთობის ენა უნდა იყოს მარტივი და გასაგები, სისტემა მუშაობდეს დიალოგურ რეჟიმში, ის უნდა იყოს ღია და მისით სარგებლობა შეეძლოს ნებისმიერ პირს სპეციალური კომპიუტერული განათლების გარეშეც.

სსს-ში გაერთიანებული უნდა იყოს ოჯახის თითოეული წევრის ავტომატიზებული სამუშაო ადგილი (ასა). ოჯახში ერთი პკ-ის ფუნქციონირების შემთხვევაში, “ასა” იქნება ჯგუფური დანიშნულებისა, რაც იმას ნიშნავს, რომ პკ-თან რიგრიგობით იმუშავენ ოჯახის თითოეული წევრი და მოახდენს საკუთარი ამოცანების გადაწყვეტას. ამასთანავე შესაძლებელია თითოეულისათვის დადგინდეს შეღწევის უფლებები კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. რადგან სსს-ში მონაცემები ორგანიზებული იქნება როგორც ერთიან საერთო მ.ბ.-ში, აგრეთვე ოჯახის თითოეული წევრის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდება ლოკალური მ.ბ.-ების ორგანიზაცია. მომავალში შესაძლებელია შეიქმნას ოჯახის ლოკალური გამოთვლითი ქსელი, რომელშიც გაერთიანებული იქნება მინიმუმ ორი პკ.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** კვლევის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური ერთეული – ოჯახი. კვლევის საგანია ოჯახის საინფორმაციო

სისტემის ინფორმატიზაცია, ინფორმაციული საზოგადოების შენების პროცესი, ოჯახის საერთო სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ინფორმაციულ სივრცეში ჩართვა.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს: ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა თეორიული და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევები ინფორმაციული საზოგადოების, ინფორმატიზაციის, საინფორმაციო სისტემების სტრუქტურის და გამოყენების სფეროების, საოჯახო ფინანსების დაგეგმვის, კონტროლის შესახებ.

კვლევის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის, ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის, თანამდებობის პირთა საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების საინფორმაციო ბიუროს, გაეროს განვითარების პროგრამის მონაცემები და ანალიზური მასალები, ასევე საქართველოში მოქმედი საკანონდებლო ბაზა. კვლევის პროცესში ფართოდ იქნა გამოყენებული საკვლევი ობიექტის ირგვლივ ინტერნეტში არსებული საინფორმაციო რესურსები. ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველია დიალექტიკური, მონაცემთა დაჯგუფებისა და ანალიზის, სისტემური მიდგომის და მონაცემთა ავტომატიზებულ დამუშავებაში არსებული ძირითადი პრინციპები და სტანდარტები, ინფორმატიკის საერთო თეორია.

**გამოკვლევის მეცნიერული სიახლე.** ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში საოჯახო საინფორმაციო სისტემის შემუშავების შესახებ ერთ-ერთ პირველ მეცნიერულ გამოკვლევას. ნაშრომის მეცნიერული სიახლე შემდეგში გამოიხატება:

- ახსნილი და დასაბუთებულია ოჯახის მართვის ინფორმატიზაციის აუცილებლობა და მნიშვნელობა;
- ოჯახში ინფორმაციაზე მოთხოვნილებიდან გამომდინარე შემოთავაზებულია საოჯახო საინფორმაციო სისტემის სტრუქტურა;
- ოჯახი განხილულია როგორც სისტემა და აქედან გამომდინარე ჩამოყალიბებულია იმ ამოცანათა წრე, რომლის გადაწყვეტაც უნდა მოახდინოს საოჯახო საინფორმაციო სისტემამ;
- შემუშავებულია საოჯახო საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფა;
- რეალიზებულია ოჯახისათვის ბიუჯეტის შედგენისა და კონტროლის სისტემა;

- შემოთავაზებულია წინადადებები ოჯახისათვის ინფორმაციული კავშირების დასამყარებლად საგადასახადო ორგანოებთან, ბანკებთან და სოციალური დანიშნულების საინფორმაციო სისტემებთან.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის შედეგები წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული პერსონალური კომპიუტერის მქონე ნებისმიერი ოჯახის მიერ. მისი პრაქტიკული რეალიზაცია საგრძნობლად გააუმჯობესებს საოჯახო მეურნეობის მართვის პროცესს, დღის წესრიგიდან მოხსნის ფინანსური სახსრების განაწილების, ხარჯვის პროცესის ხელით კონტროლის საკითხებს, ოჯახს შესაძლებლობას მისცემს, ეფექტურად დაგეგმოს ბიუჯეტი, განაწილოს იგი ცალკეული ხარჯის მუხლების მიხედვით, რაციონალურად გამოიყენოს ფინანსური რესურსები, აკონტროლოს დებიტორული თუ კრედიტორული დავალიანებების გადახდის გრაფიკი, ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია ოჯახის შემოსავლების, ხარჯების და არსებული რესურსისა თუ დავალიანების შესახებ, საჯარო მოხელეებს გაუადვილებს საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების შედგენას და დასაბამს მისცემს ინფორმაციული საზოგადოების შენების პროცესს ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო უჯრედიდან, როგორც ოჯახია.

## თავი 1. ინფორმატიზაცია და ოჯახის ინფორმაციული უზრუნველყოფა

### 1.1. ინფორმატიზაცია და საზოგადოების განვითარება

საქართველოში უკვე გადაიდგა პირველი<sup>1</sup>, საკმაოდ ხელშესახები და დამაიმედებელი ნაბიჯები ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების გზაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შექმნილია საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო - კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ ანხორციელებს საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკას.

როგორც ცნობილია, ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ინფოკომუნიკაციების, ფოსტის ქსელებისა და საშუალებების ევროპული ჰარმონიზებული სტანდარტებით გადაიარაღებასა და მათი თანამოქმედების უზრუნველყოფას ევროპის ქვეყნების ქსელებთან. საქართველოში<sup>2</sup> სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ადგილობრივი ფიქსირებული სატელეფონო ქსელებისა და მაგისტრალური საქალაქთაშორისო ხაზების თანამედროვე ციფრული სისტემებით გადაიარაღება და განვითარება რის შედეგადაც 2005 წლის ბოლოს ციფრული ტექნიკით და ტექნოლოგიებით აღჭურვილმა ადგილობრივი სატელეფონო ქსელების სასადგურო ტევადობამ 64%-ს მიაღწია, ხოლო ქალაქად ყოველ 100 სულ მოსახლეზე სატელეფონო სიმკვრივემ 24,2 შეადგინა. საქართველოში ადგილი აქვს ფიჭური კავშირის მნიშვნელოვნად გაფართოებას. მაგ., 2004 წელს ამ ქსელების აბონენტების რაოდენობამ 909 000, ხოლო 2005 წელს აბონენტების რაოდენობამ 1 174 000 შეადგინა, ხოლო სიმკვრივემ ქვეყნის ყოველ 100 სულ მოსახლეზე – 26,09. ქვეყანაში ასევე ინტენსიურად ვითარდება მონაცემთა გადაცემის ქსელები და ინტერნეტი, თუ 2004 წელს ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების რაოდენობა 100 000 აღწევდა, 2005 წელს მათმა რაოდენობამ 178 000 შეადგინა. სატელევიზიო მაუწყებლობით მოცული ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 96%, ხოლო რადიომაუწყებლობით კი – 90%. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც რომ, ქვეყნის

<sup>1</sup> [UNDP Georgia, NCTeam \(CIMS Consulting\) საქართველო, თბილისი 2004, "ICT Development Framework for Georgia"](#)

<sup>2</sup> [კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციით.](#)

მოსახლეობის 60% იღებს სამ და მეტ რადიო-სატელევიზიო პროგრამას. 2005 წელს კვლავ შენარჩუნდა კავშირგაბმულობის ბაზრის საერთო ზრდის ტენდენცია. დარგის საერთო შემოსავლები 2004 წელთან შედარებით 21,1%-ით გაიზარდა და თუ იგი 2004 წელს 595,96 მლნ. ლარს შეადგენდა 2005 წელს მან 715,52 მლნ. ლარი შეადგინა. ხუთი წლის განმავლობაში კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების ბაზრის შემოსავლების წილი მშპ-ში ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით. 2000 წელს აღნიშნული მაჩვენებლის ოდენობა 3,52% შეადგენდა, 2005 წლისთვის დარგის შემოსავლების წილი მშპ-ში გაიზარდა და 6,21% შეადგინა.

ინფორმატიზაციის დარგში მიმდინარე ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციების ერთ-ერთ ხელისშემწეობ ფაქტორს წარმოადგენს ბოლო წლებში მიღებული ის საკანონმდებლო აქტები, რომლებმაც ხელი შეუწყო დარგში მეწარმეობის განვითარებას. (კანონები “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” “მაუწყებლობის შესახებ”, “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ”, საგადასახადო კოდექსი და სხვა.) მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველო გაწევრიანდა “ევროპის ქვეყნების ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციათა კონფერენციაში” (CEPT). რაც ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ დატვირთვას ატარებს. ამ რეგიონალური ორგანიზაციის მეშვეობით კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში განხორციელდება საქართველოს ინტერესების ლობირება ევროსაბჭოში და ევროკავშირში, აგრეთვე გაეროს ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში როგორებიცაა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU) და მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU).

საქართველოს მთავრობის პროგრამაში (2004-2009 წლებისათვის) ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად ინფოკომუნიკაციები იქნა აღიარებული, რადგანაც მათ უნდა უზრუნველყონ ქვეყანაში ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობის პროცესების დაჩქარება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგას აუცილებლობა იმისა, რომ შემუშავებულ იქნას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ეროვნული სტრატეგია, რათა ინფოკომუნიკაციების სფეროში შეიქმნას საფუძველი მიზნობრივი პროგრამების განხორციელებისთვის. ინფოკომუნიკაციების სექტორის პირველ რიგში გადასაწყვეტ პრობლემებს წარმოადგენენ ინფოკომუნიკაციებისა და ფოსტის ქსელების ინტელექტუალიზაცია და გლობალიზაცია. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტებზე ”ფოსტის შესახებ”, “ელ-ხელმოწერის

შესახებ”, “ელ-კომერცის შესახებ” და სორციელდება მათი ევროპულ საკანონმდებლო სივრცეებთან სრული ჰარმონიზება. ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ელექტრონული მთავრობის, ელექტრონული ხელისუფლების, ელექტრონული კომერცის, ელექტრონული სწავლების და მედიცინის სისტემების შექმნა და სახელმწიფო უწყებათა გადაწყვეტილებათა და საკანონმდებლო სივრცის საჯაროობის უზრუნველყოფა. საქართველოს მთავრობის 2008-2012 წლების პროგრამაში ძირითად მიზნებს შორის გამოკვეთილია მოსახლეობის კომპიუტერიზაციის 2-ჯერ გაზრდა, ელექტრონული გადახდების ხელმისაწვდომი საშუალებების ამოქმედება, ელექტრონული ხელმოწერისა და ერთიანი სამთავრობო ელექტრონული ქსელის შექმნა.

საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინიციატივით, მსოფლიო ბანკისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დასრულდა მუშაობა საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო პროგრამის შემუშავებაზე. ქვეყნის ეკონომიკაში გააქტიურდა ICT ბიზნეს-სექტორი; სახელმწიფო დაწესებულებებში დაინერგა ლოკალური საინფორმაციო ქსელები (LAN); მთავრობა აქტიურად მუშაობს სამთავრობო სტრუქტურების ბაზაზე ერთიანი სამთავრობო ქსელის შექმნაზე.

ამგვარად, საქართველოს ამჟამინდელი ინფორმაციული გარემო შეიძლება დახასიათდეს, როგორც დემოკრატიზაციის მიმართულებით გარდაქმნის სტადიაში მყოფი, რომელიც, მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, საჭიროებს სერიოზულ რეფორმებს ინფორმაციის თავისუფალი მიღებისა და გავრცელების, მისი სანდოობისა და მთელი ამ პროცესის თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნების თვალსაზრისით.

“გაეროს”<sup>1</sup> 2002 წლის ოფიციალური მონაცემებით, ტელეკომუნიკაციების განვითარების ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით 15 პოსტსაბჭოურ ქვეყანას შორის საქართველო ყოველ 1000 მცხოვრებზე პერსონალური კომპიუტერების რაოდენობით მე-6, ინტერნეტმომხმარებლებით მე-11, ხოლო ინტერნეტში ჩართული მოსახლეობის რაოდენობით მე-9 ადგილზე იმყოფება. რასაკვირველია, გაცილებით მნიშვნელოვანია ჩამორჩენა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით;

---

<sup>1</sup> UNDP Georgia, NCTeam (CIMS Consulting) საქართველო, თბილისი 2004, “ICT Development Framework for Georgia”

მაგალითად, ყოველი 1000 მცხოვრებიდან ინტერნეტის მომხმარებელი გერმანიაში – 374, ბულგარეთში – 75, რუმინეთში – 45, ხოლო საქართველოში – მხოლოდ 9 ადამიანია.

საზოგადოების ინფორმატიზაცია ჩვენი დროის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად იქცა. არ მოიძებნება ადამიანის საქმიანობის არც-ერთი სფერო, რომელიც გარკვეული დონით არ იყოს დაკავშირებული ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების პროცესთან, რადგან ინფორმატიზაცია არის პროცესი, რომლის საფუძველზეც იქმნება პირობები აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებაზე ნებისმიერი ადამიანის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ინფორმაცია გახდა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი პოლიტიკაში, მრეწველობაში, მეცნიერებაში, განათლებაში.

ინფორმაციის მოცულობის განსაკუთრებული ზრდა XX საუკუნის II ნახევრიდან შეინიშნება. მზარდი ინფორმაციის ნაკადში ყოველდღიური ორიენტაცია საკმაოდ რთული იყო. საჭირო გახდა ახალი მატერიალურ-ინტელექტუალური პროდუქტის შექმნა.

ინფორმაციის დიდი ნაკადის წარმოქმნა გაპირობებულია:

- დოკუმენტების, ანგარიშგებების, დისერტაციებისა და სხვათა რიცხვის ზრდით, რომლებშიც ასახულია მეცნიერული კვლევის შედეგები;
- ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში პერიოდული გამოცემების მზარდი რიცხვით;
- სხვადასხვა სახის მონაცემების (მეტეოროლოგიური, გეოფიზიკური, სამედიცინო, ეკონომიკური და სხვ.) წარმოქმნით.

ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში რამდენიმე ინფორმაციულ რევოლუციას ჰქონდა ადგილი.

პირველი ინფორმაციული რევოლუცია დაკავშირებულია დამწერლობის წარმოშობასთან.

მეორე (XVI საუკუნის შუა პერიოდი) – უკავშირდება სტამბის შექმნას, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ინდუსტრიული საზოგადოება, კულტურა, საქმიანობის ორგანიზების პროცესი.

მესამე (XIX საუკუნის ბოლო) გაპირობებულია ელექტრობის გამოგონებით, რომლის მეშვეობითაც წარმოიშვა ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო. მათი გამოყენებით შესაძლებელი გახდა ნებისმიერი მოცულობის ინფორმაციის ოპერატიულად გადაცემა და დაგროვება.

მეოთხე რევოლუციური ეტაპი (XX საუკუნის შუა პერიოდი) მანქანური წარმოების განვითარება გახლავთ. ამან კიდევ უფრო გააღრმავა უფსკრული ინდუსტრიურულ წარმოებასა და ნაკლებად მექანიზებულ და ავტომატიზებულ გონებრივ შრომას შორის.

მეხუთე ეტაპი (XX საუკუნის 40-იანი წლები) დაკავშირებულია ეგმების შექმნასთან.

მომდევნო მეექვსე პერიოდი (XX საუკუნის 70-იანი წლები) მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს ტექნიკის განვითარებაში, როგორცაა პერსონალური კომპიუტერების გამოჩენა. მიკროპროცესორული და ინტეგრალური სქემების საფუძველზე შეიქმნა კომპიუტერები, კომპიუტერული ქსელები, მონაცემთა გადაცემის სისტემები (საინფორმაციო კომუნიკაციები). ამ პერიოდს სამი ფუნდამენტალური ინოვაციით ახასიათებენ:

- ინფორმაციის მექანიკური და ელექტრული დამუშავების საშუალებებიდან ელექტრონულ საშუალებებზე გადასვლა;
- ყველა სახის კვანძის, მოწყობილობის, ხელსაწყოების, მანქანების მინიმალური ზომების სახით წარმოდგენა;
- პროგრამულად მართვადი მოწყობილობებისა და პროცესების შექმნა.

მანქანური<sup>1</sup> ინფორმატიკის დარგმა მისი წარმოშობის დროიდან დღემდე რამდენიმე ეტაპი განვლო, რომელთა გამოყოფისას საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორცაა: გამოყენებული გამოთვლითი ტექნიკის სახე და მათი გამოყენების ორგანიზაციული ფორმები, მანქანური ინფორმატიკის მიერ ადამიანის საქმიანობის სფეროების მოცვის ხარისხი (ამა თუ იმ დარგში დამუშავებული საერთო მონაცემების მოცულობიდან მანქანური წესით დამუშავებული მონაცემების მოცულობა), ინფორმაციის ინდუსტრიალიზაციის დონე. აღნიშნულის საფუძველზე მანქანური ინფორმატიკის დარგის განვითარებაში გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი:

- **I ანუ მოსამზადებელი ეტაპი.** დროის მიხედვით ის ყველაზე ხანგრძლივია და სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვაა. იგი მოიცავს დროის შუალედს პირველი გამომთვლელი მანქანის შექმნიდან დაწყებული გამომთვლელი მანქანების გამოყენების ორგანიზაციული ფორმების წარმოშობით დამთავრებული. ამ ეტაპზე გამოიყენებოდა მხოლოდ კლავიშიანი

---

<sup>1</sup> მ. მაღრაძე, “სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა)”, საგამომცემლო ფირმა ”ქსენოგრაფი”, თბილისი, 2000 წ. გვ. 88.



გამომთვლელი მანქანები. მათი მეშვეობით წარმოებდა არითმეტიკული ოპერაციების შესრულების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. მაშინ სსრკ-ში შეიქმნა მანქანური ინფორმაციული საწარმოები, ძირითადად გამომთვლელი მანქანების ბიუროები (გმბ) და იმპორტული პერფორაციული გამომთვლელი მანქანების ბაზაზე გამომთვლელი მანქანების სადგურები (გმს).

- **II ეტაპი** 20-იანი წლების ბოლოსათვის იწყება. სწორედ 30-იან წლებში დაიწყო საბჭოთა კაშირში საანგარიშო, ანალიზური, საბუღალტრო და კლავიშიანი მანქანების წარმოება, ასევე პირველად დაიწვეს ეკონომიკური მონაცემების მანქანური დამუშავების სპეციალისტების მომზადება მოსკოვის ეკონომიკური სტატისტიკის ინსტიტუტში. 1932 წელს საანგარიშო-ანალიზური მანქანების ქარხანამ CAM დაამზადა შემაჯამებელი კლავიშიანი მანქანები, ხოლო 1934 წლიდან დაიწყო ელექტრომექანიკური მოქმედების შემაჯამებელი ტაბულატორების გამოშვება, პერფორატორებზე მონაცემების დატანისა (პერფორატორები) და მისი სისწორის შესამოწმებელი მანქანების (მაკონტროლებლები) გამოშვება. ამ პერიოდში მომხდარმა დიდმა სამამულო ომმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა გამოთვლითი ტექნიკის გამოშვებასა და გამოყენებას.
- **III ეტაპი** ემთხვევა მონაცემთა დამუშავების ინდუსტრიალიზაციის დასაწყისს, რომელიც ემყარებოდა შექმნილი ეგმ-ებისა და პერფორაციული გამომთვლელი მანქანების ფართოდ გამოყენებასა და 1946 წლიდან 1958 წლამდე პერიოდს მოიცავს. ამ პერიოდში სსრკ-ში აკადემიკოს ს. ა. ლებედევის ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ეგმ-ი. გამოშვებულ იქნა ეგმ "МЭСМ"-ი მცირე ელექტრონული გამომთვლელი მანქანა, 1952 წელს კი გამოუშვეს დიდი ეგმ "БЕСМ". 1953 წელს ი. ბაზილევსკის ხელმძღვანელობით შეიქმნა ეგმ "СТРЕЛА". 1954 წელს, კი, ბ. ი. რამაევის ხელმძღვანელობით გამოშვებულ იქნა ეგმ "УРАЛ"-ი. ეგმ-ის წარმოება საფუძვლად დაედო მანქანური ინფორმატიკის დარგის საწარმოთა ისეთი ორგანიზაციული ფორმის შექმნას, როგორცაა საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი (გც).
- **IV ეტაპი** მოიცავს 1959-70 წლებს. ამ პერიოდს ეკუთვნის მეორე თაობის ეგმ-ები ("МИНСК-22", "МИНСК-32", "УРАЛ-14", "ПУТА-110" . . .). აღნიშნული ეგმ-ების საფუძველზე სახალხო მეურნეობის მართვის სხვადასხვა დონეზე შეიქმნა მართვის ავტომატიზებული სისტემები. მაღალი დონის

აღგორითმული ენების შექმნის, ეგმ-ების მულტიპროგრამულ რეჟიმში მუშაობის ორგანიზაციის განხორციელებიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა მონაცემების პაკეტურ რეჟიმში დამუშავების ორგანიზაცია.

1969 წელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების მიერ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება მესამე თაობის ეგმ-ების შემუშავების, გამოშვებისა და გამოყენების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. შემუშავებულ და გამოშვებულ იქნა ერთიანი სისტემის ეგმ-ები (EC-1010, EC-1020, EC-1022, EC-1030, EC-1033, ...), რომლებიც პროგრამულად და ინფორმაციულად თავსებადნი იყვნენ. ერთიანი სისტემების ეგმ-ები გახდა ტექნიკური ბაზა შემდგომში შექმნილი ჯგუფური და კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრების შესაქმნელად.

- **V ეტაპი** მოიცავს 1971-85 წლებს. ამ პერიოდში შექმნილ მართვის ავტომატიზებული სისტემების (მას) ტექნიკურ ბაზად, ძირითადად, გამოყენებულ იქნა III თაობის ერთიანი სისტემის ეგმ-ები. ისინი მუშაობდნენ მონაცემების დამუშავების ისეთ რეჟიმებში, როგორცაა: პაკეტური, დიალოგური, დროის განაწილებისა და დროის რეალური რეჟიმი. ამ დროისათვის გამოგონებული მიკროპროცესორები დაედო საფუძვლად ერთის მხრივ პერსონალური კომპიუტერების (1975 წელი, აშშ, ს. ჯობსი, ს. ვოზნიაკი) ხოლო მეორეს მხრივ რობოტიზებული წარმოების, საამქრო-ავტომატებისა და მანიპულატორების შექმნასა და მათ ფართოდ გამოყენებას. ამავე პერიოდში მოხდა მონაცემების დეცენტრალიზებულ დამუშავებაზე გადასვლა, რაც პე-ების შექმნის საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

- **მიმდინარე ეტაპი** 1985 წლიდან დაიწყო. ამ დროისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში კომპიუტერული განათლების მიღების მიზნით, დაინერგა ახალი დისციპლინა – ”ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები”. ამით საფუძველი ჩაეყარა საზოგადოების საყოველთაო ინფორმატიზაციის პროცესს.

ინფორმაციის დამუშავების სფეროში კარდინალური ცვლილებების საფუძველზე საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდაქმნა განხორციელდა. ამგვარი სახეცვლილებების საფუძველზე კი წარმოიქმნა ადამიანთა ახალი სახის საზოგადოება – ”ინფორმაციული საზოგადოება”.

ტერმინი<sup>1</sup> ”ინფორმაციული საზოგადოება” შემოიღო იაპონელმა პროფესორმა იუკიო ჰაიაშიმ გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც მან მთავრობას წარუდგინა რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც შეიცავდნენ ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციას, გეგმებს, ინფორმატიზაციის პოლიტიკის კონტურებს, ინტეგრაციის პერსპექტივებს და ა.შ. ამ დოკუმენტებში ის იდგა იყო გაჟღერებული, რომ კომპიუტერიზაციის განვითარება ადამიანებს საშუალებას მისცემს გაეცნონ საიმედო ინფორმაციულ წყაროებს, თავიდან აიცილონ არაშემოქმედებითი (რუტინული) სამუშაოები და უზრუნველყონ წარმოებისა და მართვის ავტომატიზაციის მაღალი დონე. ამასთან, წარმოების პროდუქცია უნდა გახდეს ”ინფორმაციულად ტევადი”, რაც მის ღირებულებაში გაზრდის ინოვაციების, მარკეტინგისა და დიზაინის წილს, ხოლო ინფორმაციული (და არა მატერიალური) პროდუქტების წარმოება საზოგადოების განათლებისა და განვითარების მამოძრავებელ ძალად იქცევა.

1994 წელს ახალი, გლობალური ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობის საკითხი საფუძვლიანად განიხილა ევროკავშირის სახელმწიფოების კომისიამ და დაამტკიცა მოქმედების გეგმა შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულებით:

- ნორმატიულ-სამართლებრივი სივრცის შექმნა;
- საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ქსელების განვითარება, ძირითად მომსახურებათა კლასიფიკაცია, მოწყობილობების სტანდარტიზაცია;
- ინფორმაციული საზოგადოების სხვადასხვა სოციალური და კულტურული ასპექტების შესწავლა;
- მოსახლეობაში ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების კონცეფციის პროპაგანდა.

ამ გეგმას, რომელსაც ”ბანგემანის ინიციატივა” დაერქვა (ევროკავშირის კომისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის გვარის მიხედვით) სულ მალე გამოეხმაურა მრავალი სახელმწიფო: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, შვედეთი, ნიდერლანდები, ფინეთი, ჩეხეთი, დანია, ინდოეთი, სამხრეთი კორეა, ტაივანი, სინგაპური და ჰონკონგი. ყველა მათგანი იზიარებდა საერთო მოსაზრებას გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების შესახებ, მაგრამ ირჩევდნენ საკუთარ გზას ამ საზოგადოებაში შესასვლელად.

---

<sup>1</sup> მ. კონიაშვილი, “საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები ეკონომიკაში”, თსუ, თბილისი, 2005 წ. გვ. 20.

მთავარი მიზანი მიღწეულ იქნა – მსოფლიო საზოგადოებამ აღიქვა და შეიცნო ”ინფორმაციული აფეთქების” მნიშვნელობა, ახალი ინფორმაციული საზოგადოების შექმნის აუცილებლობა.

2000 წლის ივლისში კუნძულ ოკინავაზე მსოფლიოს რვა უდიდესი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მიიღეს გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ქარტია. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი ინფორმაციის პრობლემების შესახებ. მასში ხაზგასმით არის გაცხადებული, რომ ”საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ოცდამეერთე საუკუნის საზოგადოების ფორმირებაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიები რეგულაციურ ზეგავლენას ახდენს ხალხთა ცხოვრების წესზე, მათ განათლებასა და მუშაობაზე, აგრეთვე მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობაზე. იგი მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან სტიმულად იქცა.

2001 წლის დასაწყისში იაპონიაში მიიღეს ძირითადი კანონი ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების შესახებ და შექმნეს მისი რეალიზაციის მსვლელობის კონტროლის სპეციალური ორგანო.

იაპონელი<sup>1</sup> მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაში კომპიუტერიზაციის პროცესი ადამიანებს უშუალოდ დააკავშირებს ინფორმაციის საიმედო წყაროსთან, გაანთავისუფლებს მათ რუტინული სამუშაოებისაგან, უზრუნველყოფს ინფორმაციის ავტომატური დამუშავების მაღალ დონეს საწარმოო და სოციალურ სფეროებში. ამასთან, საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალად უნდა იქცეს არა მატერიალური, არამედ ინფორმაციული პროდუქტის წარმოების პროცესი.

ინფორმაციულ საზოგადოებაში იცვლება არა მარტო წარმოების პროცესი, არამედ ცვლილებას განიცდის საერთოდ ცხოვრების წესი, ფასეულობათა სისტემა, იზრდება კულტურული თავისუფლების მნიშვნელობა მატერიალურ ფასეულობებთან მიმართებაში. ინდუსტრიულ საზოგადოებასთან შედარებით, სადაც ყველაფერი მიმართულია საქონლის წარმოებასთან და მოხმარებასთან, ინფორმაციულ საზოგადოებაში წარმოებს და მოიხმარება ინტელექტი, ცოდნა, რასაც თავის მხრივ მიყვავართ გონებრივი შრომის წილობრივი ზრდისაკენ.

---

<sup>1</sup> [referatu.narod.ru/10/referat1836.html](http://referatu.narod.ru/10/referat1836.html)

ადამიანისაგან მოითხოვება მხოლოდ შემოქმედებითობა, იზრდება მოთხოვნა ცოდნაზე.

ინფორმაციული საზოგადოების მატერიალურ და ტექნოლოგიურ ბაზად მიიჩნევა კომპიუტერული ტექნიკისა და კომპიუტერული ქსელების, ინფორმაციული ტექნოლოგიის, ტელესაკომუნიკაციო კავშირების ბაზაზე დაფუძნებული სხვადასხვა სახის სისტემები.

ინფორმაციული საზოგადოება ეს არის საზოგადოება, რომელშიც მომუშავეთა უმეტესობა დაკავებულია ინფორმაციის მიღებით, შენახვით, დამუშავებითა და რეალიზაციით.

განვითარებულ ქვეყნებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ XX საუკუნის ბოლოს თანდათანობით მიიღო თეორიტიკოსების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციული საზოგადოების სურათის მკვეთრი გამოხატულება. წინასწარ პროგნოზირდება მსოფლიო მასშტაბით ადამიანთა კომპიუტერიზებულ და ინფორმაციულ საზოგადოებად გარდაქმნა, სადაც ისინი ელექტრონულ ოთახებსა და კოტეჯებში იცხოვრებენ. ყოველი საცხოვრებელი ადგილზე იქნება ყოველისშემძლე ელექტრონული ხელსაწყოებითა და კომპიუტერიზებული მოწყობილობებით. ადამიანთა საქმიანობა კონცენტრირებული იქნება ინფორმაციის დამუშავებაზე, ხოლო მატერიალური წარმოება და ენერჯის წარმოება მთლიანად მანქანებს ექნება დაკისრებული. უკვე საკმაო ფაქტებია გამოქვეყნებული, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს არა თუ უტოპია, არამედ უახლესი მომავლის რეალობაა.

ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით კომპიუტერულ და ტელესაკომუნიკაციო საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე ინფორმაციის გადამუშავების ახალი ინდუსტრია წარმოიქმნება.

რიგი მეცნიერები გამოყოფენ საინფორმაციო საზოგადოების მახასიათებელ შემდეგ ნიშნებს:

- გადაწყვეტილია საინფორმაციო კრიზისის პრობლემა. მიუხედავად ამისა არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა მოზღვავებულ ინფორმაციასა და ინფორმაციულ შიმშილს შორის;
- სხვა რესურსებთან შედარებით გამოხატულია ინფორმაციის პრიორიტეტი;
- განვითარების მთავარ ფორმად იქცევა ინფორმაციული ეკონომიკა;
- უახლესი საინფორმაციო ტექნიკითა და ტექნოლოგიებით ცოდნის ავტომატიზებული გენერაცია, შენახვა, დამუშავება და გამოყენება;

- იპყრობს რა ადამიანის სოციალური საქიანობის ყველა სფეროს ინფორმაციული ტექნოლოგია გლობალურ თვისებას იძენს;
- ფორმირდება მთელი ადამიანური ცივილიზაციის ინფორმაციული ერთობლიობა;
- ინფორმატიკის საშუალებების დახმარებით ყოველი ადამიანისათვის შესაძლებელია ცივილიზაციის მთელ საინფორმაციო რესურსებთან თავისუფალი მიმართვის შესაძლებლობა;
- რეალიზებულია საზოგადოების მართვისა და გარესამყაროზე ზემოქმედების ჰუმანიტარული პრინციპები.

გარდა დადებითი პროცესებისა, პროგნოზირდება საშიში ტენდენციებიც:

- საზოგადოებაზე მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გავლენის ზრდა;
- ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა შეიძლება დაანგრინ კიდევ ცალკეულ ადამიანთა და ორგანიზაციების ცხოვრება.
- არსებობს ასევე ხარისხიანი და საიმედო ინფორმაციის შერჩევის პრობლემაც;
- ბევრ ადამიანს უჭირს საინფორმაციო საზოგადოებაში ადაპტირების პროცესი. არსებობს განხეთქილების ჩამოვარდნის საშიშროება “ინფორმაციულ ელიტას” (ადამიანები, რომლებიც დაკავებულნი არიან ინფორმაციული ტექნოლოგიების შემუშავებით) და მომხმარებლებს შორის.

საინფორმაციო საზოგადოების გზაზე ყველაზე ახლოს დგას განვითარებული საინფორმაციო ინდუსტრიის მქონე ქვეყნები, რომელთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს: აშშ, იაპონია, ინგლისი, გერმანია, დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ამ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია რაც სახელისუფლებო, სამთავრობო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება კომპიუტერული სისტემებისა და ტელეკომუნიკაციების განვითარების სფეროში ინვესტირებისა და ინოვაციების მხარდამჭერი პოლიტიკა გახლავთ.

თანამედროვე ადამიანის ინფორმაციული კულტურის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული კომუნიკაციური კულტურა იქცა.

ქსელური საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ინფორმაციული რესურსები ადამიანისათვის ადვილად ხელმისაწვდომი გახადა. ქსელიდან აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა კი ადამიანის საინფორმაციო კულტურის განუყოფელი ნაწილია.

ამგვარად, ადამიანი ფლობს ინფორმაციულ კულტურას, თუ მას:

- აქვს წარმოდგენა ინფორმაციაზე და საინფორმაციო პროცესებზე, კომპიუტერის ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე;
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს საინფორმაციო მოდელირება დასახული ამოცანების კომპიუტერის მეშვეობით გადაწყვეტისას;
- შეუძლია სწრაფად მოახდინოს კლავიატურიდან ინფორმაციის შეტანა და "თავის" გამოყენებით იმუშავოს პროგრამის გრაფიკულ ინტერფეისთან;
- აქვს დოკუმენტების შექმნისა და რედაქტირების შესაძლებლობა, მათ შორის მულტიმედიაური პრეზენტაციებისა;
- შეუძლია ელექტრონული ცხრილების გამოყენებით რიცხვითი ინფორმაციის დამუშავება;
- აქვს ინფორმაციის შენახვისა და ძიებისათვის მონაცემთა ბაზების გამოყენების შესაძლებლობა;
- შეუძლია კომპიუტერული ქსელის საინფორმაციო რესურსების გამოყენება;
- იცის და არ არღვევს კომპიუტერულ პროგრამებზე საავტორო უფლებებს;
- ინტერნეტში ინფორმაციის განთავსებისას და ინტერნეტით კომუნიკაციისას იცავს ეთიკურ ნორმებს.

"ინფორმაციული საზოგადოების"<sup>1</sup> თეორიის ავტორები სოციალური სტრუქტურისა და კაპიტალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობების "ახალ საზოგადოებად" გარდაქმნის ძირითად ფაქტორად ცოდნასა და ინფორმაციას მიიჩნევენ. საინფორმაციო საზოგადოების იაპონური ინსტიტუტის დამფუძნებელი და პრეზიდენტი მასუდა წერს<sup>2</sup>: "საინფორმაციო ეპოქა, რომელიც კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის საშუალებების პირშოა, არა მარტო მოახდენს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებას თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაზე, არამედ გამოიწვევს ისეთ ფართომასშტაბიან საზოგადოებრივ ცვლილებებს, რომელიც თავის მხრივ მოახდენს ტრანსფორმაციას ადამიანთა საზოგადოების ახალ ტიპზე, როგორც არის საინფორმაციო საზოგადოება". ამგვარი საზოგადოების ძირითად მახასიათებელს, თეორიტიკოსების აზრით, ინფორმაციის წარმოება და გამოყენება წარმოადგენს. აღნიშნული კი, თავისი მნიშვნელობით გადააჭარბებს მატერიალურ პროდუქციას, მომსახურებას. მასუდის

<sup>1</sup> [www.5ka.ru/101/765/1.html](http://www.5ka.ru/101/765/1.html)

<sup>2</sup> Ё. Масуда, Информационное общество. Вашингтон. 1981 г.

აზრით, დაგროვილი ინფორმაციის ერთობლივი გამოყენება მიგვიყვანს საერთო მიზნის მიღწევისათვის კოლექტიური მოქმედებისა თუ საქმიანობის ახალ პრინციპებამდე. მთავარ როლს ითამაშებს არა საკუთრების, არამედ გამოყენების უფლება. ინფორმაციული მომსახურებისა და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის გაფართოება გახდება კერძო ეკონომიკიდან საზოგადოებრივზე გადასვლის გადამწყვეტი ფაქტორი.

მასუდის აზრით, ინფორმაციული რევოლუცია კაცობრიობას არჩევანის წინაშე აყენებს: თვისუფალი დროის გაზრდა ან მასობრივი უმუშევრობის ზრდა. თეორიტიკოსის მოსაზრებით, საკითხი თავისუფალი დროის სასარგებლოდ იქნება გადაწყვეტილი. საწარმოო სფეროში სამუშაო ძალის შემცირება და კომპენსირდება მომსახურების სფეროს გაფართოებით, რაც თავის მხრივ გასულ საუკუნეში სოფლის მეურნეობიდან გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის საწარმოო სფეროს მიერ "შთანთქმის" ანალოგიურია.

არსებობს ფაქტები, რომლებიც უარყოფენ უსაფუძვლო შიშს იმის გამო, რომ ახალი ტექნიკა – უმთავრესად კომპიუტერები და რობოტები – გამოიწვევს სამუშაო ადგილების შემცირებასა და მასობრივ უმუშევრობას. რეალურად, აშშ-ს ეკონომიკამ 1959–1985 წლებში, როდესაც ინდუსტრიული ეკონომიკიდან მეურნეობრივ ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი მიმდინარეობდა, სადაც ძირითადად დასაქმებულნი არიან ინფორმაციის მოპოვებით, გამოყენებით, შენახვითა და გადაცემით, შექმნა 42 მლნ.-ზე მეტი სამუშაო ადგილი. 80-იან წლებში, კი, მხოლოდ ერთი სამწლიანი პერიოდის განმავლობაში აშშ-ში თითქმის 9 მლნ. ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდა.

უდავოა, რომ ბევრმა ამერიკელმა მომუშავემ, რომელიც დასაქმებული იყო წარმოებით სექტორში, ახალი ტექნოლოგიების გამოჩენის გამო დაკარგა სამუშაო ადგილი და იძულებული გახდა, შეეძინა ახალი ცოდნა სრულიად ახალი სახის სამუშაოს შესასრულებლად. მთლიანობაში, კი ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა დაწესებულებებსა თუ საწარმოებში, ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდასა და შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასაც.

ინფორმაციულ წარმოებაში ადამიანთა დასაქმების პროცესი მინიმალურ მატერიალურ და ენერგეტიკულ დანახარჯებს მოითხოვს. ამის გამო, ინფორმაციულ საზოგადოებაში მრავალი საქმიანობის რეალიზაციის შესაძლებლობაა.



ინფორმაციული საზოგადოება, როგორც კაცობრიობის განვითარების მოდელი, არ შეიძლება წარმოიშვას გარკვეული საფუძვლის გარეშე. აუცილებელია ძალზე სერიოზული ინტელექტუალურ-ტექნოლოგიური ბაზის არსებობა. ასეთ ფუნდამენტურ საფუძვლად, დღეისათვის, დასავლეთ ევროპაში ინფორმაციული ბიზნესია მიჩნეული.

ინფორმაციული ბიზნესი წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის შედარებით ახალ სფეროს, მსხვილი, მრავალგანშტოებიანი კომპლექსის სახითა და მასში ჩაშენებული ინფრასტრუქტურით. ინფორმაციული ბიზნესი ერთის მხრივ ბანკებთან, ბირჟებთან, აუდიტორულ კომპანიებთან და სხვ. ერთად შედის ყველა სამეწარმეო საქმიანობის შემადგენლობაში, ხოლო მეორეს მხრივ, ბიზნესის დამოუკიდებელ სფეროდ ითვლება.

დღეისათვის, ინფორმაციულ ბიზნესში, ისევე როგორც მთელს ეკონომიკურ სივრცეში, სამი მსხვილი ცენტრი ჩამოყალიბდა – აშშ, იაპონია, დასავლეთ ევროპა, რომელთა შორისაც მწვავე კონკურენცია მიმდინარეობს. XX საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდს ეკუთვნის აშშ პოზიციების შესუსტება ინფორმაციული ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე. დღეისათვის აშშ დომინირებს მხოლოდ კომპიუტერული მოწყობილობების (75%) და პროგრამული საშუალებების (65%) მოწოდების სფეროში. შესამჩნევია იაპონიის როლის მკვეთრი ზრდა. 70-იანი წლების ბოლოდან იგი აწარმოებს სამომხმარებლო ელექტრონიკის მსოფლიო მოცულობის დაახლოებით 50%-ს. დღეისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე იაპონელი მწარმოებლების წილად მოდის: ასლგადამღები აპარატურის – 40%-ზე მეტი, კალკულატორებისა და ფაქსიმელური აპარატურის – დაახლოებით 100%. ევროპისათვის ბოლო დროის მახასიათებლად იქცა ინფორმაციულ ტექნოლოგიებში ჩამორჩენის ტენდენცია.

მსოფლიოში ინფორმაციული საქმიანობის განვითარებას იგივე ტენდენციები აქვს როგორც აშშ-ში:

პირველი – მეწარმეებმა ინფორმაცია გაითავისეს, როგორც ბიზნესის ერთ-ერთი სახეობა.

მეორე – კომპანიებმა, რომლებიც ინფრასტრუქტურის სფეროში მოქმედებენ, აღიარეს საინფორმაციო ბიზნესის პოტენციური და დაიწყეს ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავების ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარება.

მესამე – რამდენადაც ინფორმაციული მომსახურების მოცულობა კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, ის დებულობს ტრანსნაციონალურ ხასიათს. არსებითად,

შეიძლება ვისაუბროთ ტექნიკური ურთიერთობების მქონე წამყვანი ქვეყნებისათვის ინფორმაციის მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბებაზე.

მეოთხე – იქმნება მომსახურების ისეთი სახეები, რომლებიც ორიენტირებულია პირად მოხმარებაზე, მუშავდება მათი ფინანსირების შესაძლებლობებიც.

მიუხედავად ამისა, არც ერთი ამ ბიზნესში დასაქმებულთაგანი არ მიიჩნევს, რომ ინფორმაციამ შეიძლება განდევნოს მრეწველობა და მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახე გახდეს. ნათელია, რომ ინფორმაციული მომსახურების სახეებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნების ეკონომიკაში და ამით ისინი მატერიალური სიმდიდრის შექმნაში მონაწილეობენ.

ინფორმატიზაციის გლობალურ მიზნად მოსახლეობის ინფორმირების აუცილებელი დონის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც განპირობებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით.

საზოგადოების ინფორმატიზაციის ძირითად სფეროებს მიეკუთვნება: სოციალური სფერო, მატერიალური წარმოება და მართვა.

სოციალური სფერო – ეს არის ინფორმატიზაციის ძირითადი ობიექტი. აღნიშნული სფეროს ინფორმატიზაცია მიმართულია მოსახლეობის ინფორმაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, სოციალური პროცესების ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე, საზოგადოების ყოველი წევრის ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზე და წარმოდგენილი მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე, მთლიანობაში – საზოგადოებრივი საქმიანობისა და ადამიანის ცხოვრების ძირეულ შეცვლაზე.

მატერიალური წარმოების სფეროს ინფორმატიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების ცალკეული მიმართულებების ტექნიკური გადაიარაღება, ეფექტური, ავტომატიზებული შრომითი საშუალებების დანერგვა, მათ ბაზაზე ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესების კომპლექსური ავტომატიზაცია, მოქნილი, ადვილად გარდაქმნადი მოდელების შექმნა. ინფორმატიზაციამ უნდა მოიცვას გამოსაშვები პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ყველა ფაზა: გამოკვლევა–პროექტირება–წარმოება–გასაღება და ექსპლოატაცია.

მართვის სფეროს ინფორმატიზაცია თამაშობს ძირითად და გადამწყვეტ როლს, რადგან ის არა მხოლოდ ზრდის მენეჯმენტის ეფექტურობას ყველა დონეზე, არამედ შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს ადამიანის მიზანმიმართული საქმიანობის ეფექტურობა სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ისეთშიც, როგორცაა საზოგადოების ინფორმატიზაცია.

თანამედროვე პოლიტოლოგია მსოფლიო განვითარებას განიხილავს საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით. თავის მხრივ საზოგადოებრივი განვითარების პროცესი სამ ეტაპად ყალიბდება: სამოქალაქო, ღია დემოკრატიული და საინფორმაციო და განიხილება ორ ასპექტში: პოლიტიკური და აღმზრდელობითი. რაც შეეხება სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესს, იგი სამ სტადიად იყოფა: ინდუსტრიამდელი, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული და ორ ასპექტში განიხილება ეკონომიკური და მართვისა.

სამოქალაქო საზოგადოების (რომელსაც საქართველო და სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობა აშენებს) პოლიტიკური ღოზუნგია – დეიდოლოგიზაცია და ლიბერალიზაცია, ხოლო აღმზრდელობითი ღოზუნგია – ადამიანის პოტენციალის გამოვლენის შემზღვეველი პირობების მოხსნა.

ღია დემოკრატიული საზოგადოების (რომელსაც აშენებენ პოლონეთი და ჩეხეთი, შენების განვითარებულ ფაზაში არიან იტალია და ფინეთი, ხოლო დამავირგვინებულ ეტაპს გადიან გერმანია და ინგლისი) პოლიტიკური ღოზუნგია – პლურალიზმი, ინდივიდუალიზმი, კუმანიზმი, ანტიუტილიტალური და უანტაგონიზმო მორალი, ხოლო აღმზრდელობითი ღოზუნგია – მაქსიმალური პირობების შექმნა ადამიანის პოტენციალის გამოსავლენად.

საინფორმაციო საზოგადოების (რომლის ზღურბლთან დგანან აშშ, იაპონია, კანადა და საფრანგეთი) პოლიტიკური პრინციპია – ყოველი ადამიანის ხმა უნდა იქნას გაგონილი საზოგადოებისა და ხელისუფლების მიერ, ხოლო აღმზრდელობითი ღოზუნგია – ყოველ ადამიანში განვითარდეს მისი პოტენციალის გამოვლენის უნარი.

ინდუსტრიამდელი სახელმწიფოების (რომლის ჩამოყალიბების სხვადასხვა ფაზაში არიან, მაგალითად, მონღოლეთი, კუბა, კავკასიის ქვეყნები) ეკონომიკური ღოზუნგია – სტიმულირებადი ტექნოლოგიური ზრდა, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება, “მომსახურების საზოგადოების” – ანუ ფართო სპექტრის მომსახურების მძღავრი ინდუსტრიის ფორმირება, ხოლო მართვის პრინციპია – ინფორმაციის ტექნიკური დამუშავებისა და ექსპერტული ანალიზის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება.

განვითარების ინდუსტრიამდელ სტადიაში მყოფი ქვეყნები შეიძლება შემდგომი სახით იქნას კლასიფიცირებული:

- ქვეყნები, რომლებიც ეს-ესაა გადადიან მცირე წარმოებაზე;
- ქვეყნები, რომლებიც ინდუსტრიალიზაციის სათავეებთან დგანან;
- პოსტსაბჭოური ქვეყნები, რომლებმაც მართველობის სოციალისტური სისტემის რღვევის შედეგად განიცადეს რეგრესი ინდუსტრიაში სტადიისკენ და ამჟამად სხვადასხვა სიჩქარით უბრუნდებიან განვითარების ინდუსტრიალურ სტადიას.

ინდუსტრიული სახელმწიფოების (რომლის განვითარების სხვადასხვა ფაზაში არიან, ესპანეთი, გერმანია, კორეა, რუსეთი ან ინდოეთი) ეკონომიკური პრინციპია – თვითსტიმულირებადი ტექნოლოგიური ზრდა, მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების ინდუსტრიის ფორმირება, “სამომხმარებლო საზოგადოების” – ანუ საზოგადოებაში მყიდველუნარიანი უმრავლესობის ჩამოყალიბება, ხოლო მართვის პრინციპია – გადაწყვეტილებების მიღება მენიერული ცოდნის, კომპიუტერული მოდელირებისა და პროგნოზირების საფუძველზე.

პოსტინდუსტრიული სახელმწიფოების (რომლის ჩამოყალიბების საწყის ფაზაში არიან, აშშ, იაპონია, საფრანგეთი და კანადა) ეკონომიკური განვითარების დევიზია – ციფრული ეკონომიკის ფორმირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ენერგეტიკის სინთეზის ბაზაზე, ინფორმაციისა და ცოდნის გამოვლენისა და გავრცელების ინდუსტრიის ფორმირება, “უზრუნველყოფილი საზოგადოების”, ანუ ყოველი მოქალაქის საარსებო და საყოფაცხოვრებო მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების უზრუნველყოფა (რაც საარსებო მინიმუმისგან ხარისხობრივად განსხვავდება), მართვის პრინციპია – გადაწყვეტილებების მიღება ხელოვნური, ანუ კომპიუტერული ინტელექტის გამოყენებით.

საკმაოდ ნიშანდობლივია ცნობილი პოლიტოლოგების – ბუეზინსკის, ტოფლერის, გელბრეიტის, ტურენისა და ჰაბერმასის შეხედულებები<sup>1</sup> მსოფლიო განვითარების ისტორიულ ტენდენციებზე, მათი აზრით ინდუსტრიულ სტადიაში შესვლის აუცილებელი წინაპირობებია:

- მანუფაქტურული წარმოების მაგიერ სამრეწველო საწარმოების მიერ მოწინავე პოზიციების დაკავება;
- ხელობათა საფუძველზე დისციპლინების, ხოლო დისციპლინათა საფუძველზე მეცნიერებების ჩამოყალიბება;

<sup>1</sup> UNDP Georgia, NCTeam (CIMS Consulting) საქართველო, თბილისი 2004, “ICT Development Framework for Georgia. გვ. 16.

- ინფორმაციის თავმოყრა, სისტემატიზაცია, სტატისტიკური ანალიზი.

პოსტინდუსტრიულ სტადიაში შესვლის წინაპირობებია:

- მძიმე მრეწველობის ნაცვლად მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების მიერ წამყვანი პოზიციების დაკავება;
- მეცნიერებასა და ტექნიკაში ბიო-, ენერგო-, კოსმო-, ნანო- და საინფორმაციო ტექნოლოგიებისათვის პრიორიტეტული ადგილის მინიჭება.

ინდუსტრიულ სტადიაში ყოფნის ძირითადი ნიშნებია:

- მიმდინარეობს მრეწველობის განვითარების მძაფრი ზრდა;
- დომინირებენ მრეწველობისა და ვაჭრობის მუშაკები;
- საყოველთაოდ ინერგება ტექნიკური საშუალებები;
- მმართველი გადაწყვეტილებები სულ უფრო ხშირად მიიღება ინფორმაციის ტექნიკური დამუშავებისა და ექსპერტული ანალიზის საფუძველზე.

პოსტინდუსტრიულ სტადიაში ყოფნის ძირითადი ნიშნებია:

- ჩამოყალიბებულია განვითარებული "მომსახურების" ინდუსტრია;
- დომინირებენ სამეცნიერო და საინჟინრო დარგების მუშაკები;
- სახეზეა თვითსტიმულირებადი ტექნოლოგიური ზრდა;
- მიმდინარეობს ტექნიკური საშუალებების "ინტელექტუალიზაცია";
- მმართველი გადაწყვეტილებები მიიღება მეცნიერული ცოდნისა და კომპიუტერული მოდელირება-პროგნოზირების საფუძველზე.

ინდუსტრიული სტადიის მიმდინარეობის პროცესი ხასიათდება:

- მძიმე მრეწველობის სექტორის ჩამოყალიბებითა და დომინირებით;
- გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საყოველთაო ზეგავლენით;
- პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა სფეროების გლობალიზაციითა და ინტერნაციონალიზაციით;
- "სამომხმარებლო" საზოგადოების ფორმირებით.

პოსტინდუსტრიული სტადიის მიმდინარეობის პროცესი ხასიათდება:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორისათვის პრიორიტეტული პოზიციის მინიჭებით.
- მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების საყოველთაო ზეგავლენით.
- საერთო-ევროპული და სხვა საერთაშორისო ორგანოებისა და ინსტიტუტების ზეგავლენის ზრდითა და განმტკიცებით ყველა სფეროში.
- საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებით.

ინდუსტრიული სტადიის დასრულების უმნიშვნელოვანეს შედეგებს მიეკუთვნება:

- ურთიერთსაწინააღმდეგო სოციალურ-პოლიტიკური სისტემების გაერთიანება (ჟ. გელბრეიტი, ი. ტინბერგენი, პ. სოროკინი) და დეიდეოლოგიზებული ღია დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება (არონი, ბელი, პოპერი და სხვები), რომელიც ეფუძნება:
  - პლურალიზმსა და ლიბერალიზმს ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურასა და სხვა სფეროებში;
  - მართვის მაღალგანვითარებულ ლიბერალურ-დემოკრატიულ ორგანოებსა და ინსტიტუტებს;
  - ჰუმანიზმს, პიროვნულ და შემოქმედებით თავისუფლებას, საერთო-საკაცობრიო, ანტიუტილიტარულ და ანტაგონიზმს მოკლებულ მორალს.

პოსტინდუსტრიული სტადიის დასრულების უმნიშვნელოვანესი შედეგები შემდეგნაირად შეიძლება ჩაოყალიბდეს:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ენერგეტიკის სინთეზი გამოიწვევს გლობალური ელექტრონული ცივილიზაციის ფორმირებას, ხოლო ინფორმაციის წარმოებისა და ექსპლუატაციის დომინირება გამოიწვევს საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელშიც:
  - შრომა და კაპიტალი, რომელიც ინდუსტრიული სტადიის ძირითად ბაზას წარმოადგენს, ადგილს უთმობს ინფორმაციასა და ცოდნას (ე. მასუდა);
  - უმუშევრობა გადაიქცევა "უზრუნველყოფილ მოცლილობად" (ჟ. პელტონი, ჰ. ევანსი).

როგორც ინდუსტრიულ, ასევე პოსტინდუსტრიულ სტადიაში ზუსტი, არაწინააღმდეგობრივი, სრული და აქტუალური ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია:

- ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა და მისი ორგანიზებული მართვა;
- მართებული, ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ თუ სხვა სფეროებში;
- მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, ხელოვნებისა და სხვა სოციალური თუ ეკონომიკური სფეროების პროგრესი.

მნიშვნელოვანია ინფორმაციის როლი როგორც ინდუსტრიამდელ, ასევე ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ სტადიაში, კერძოდ:

ინდუსტრიამდელ სტადიაში ინფორმაციის უზრუნველყოფა:

- საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ფორმირების ორგანიზებასა და უზრუნველყოფას;
- ინფორმაციის ანალიზის სამეცნიერო მეთოდებისა და მოწინავე გამოცდილებების დანერგვას;
- ინფორმაციაზე რეაგირების სხვადასხვა ვარიანტის არჩევასა და გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს.

ინდუსტრიულ სტადიაზე ინფორმატიზაცია უზრუნველყოფს:

- საჭირო ინფორმაციის წარმოქმნისა და წარმოების ინდუსტრიის ჩამოყალიბებას;
- ინფორმაციის ანალიზის უახლესი სამეცნიერო მეთოდების შემუშავებას;
- ინფორმაციის ადეკვატური აღქმისა და მასზე ოპტიმალური რეაგირების უზრუნველყოფას.

პოსტინდუსტრიულ სტადიაზე ინფორმატიზაცია უზრუნველყოფს:

- ცოდნის სისტემატიზებისა და გავრცელების ინდუსტრიის ჩამოყალიბებას;
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას ინფორმაციისა და ცოდნის გენერირების, ანალიზისა და აღქმის, აგრეთვე რეაგირებისა და კონტროლის პროცესში.

## 12. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი ოჯახის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი 1998 წლიდან აწარმოებს ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ინფორმაციული ტექნოლოგიების ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებების მონიტორინგსა და ანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებიც იწვევენ მათ გავრცელებასა და გამოყენებას<sup>1</sup>. გამოკვლევის ობიექტი არის ოჯახი, რადგან ის არის ინფორმაციული მოთხოვნების ფორმირებისა და რეალიზაციის მიკროსფერო ამავდროულად, სწორედ ოჯახის დონეზე მიმდინარე პროცესები განაპირობებენ გლობალურ, სოციალურ ტრანსფორმაციას. 1989 წელს რეალიზებულ იქნა პროექტი “კულტურა და ინფორმაცია”, რომლის ფარგლებშიც გამოკვლეულ იქნა 1000 ოჯახი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ოჯახში არსებული ახალი ინფორმაციული ტექნიკის შესწავლა, საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობებთან კავშირში ინფორმაციული მოთხოვნების ანალიზი, ამ სფეროში სამომხმარებლო ქცევის კანონზომიერების დადგენა. 1000 გამოკვლეულ ოჯახში მხოლოდ 5 პკ და 3 ვიდეომანტიოფონი აღმოჩნდა, თავად ინფორმაციის აღქმისა და მოძიების ახალი შესაძლებლობების გაცნობიერების დონე კი უკიდურესად დაბალი გახლდათ. ანალოგიური დასახელების მქონე საერთაშორისო პროექტის ფარგლებში 1991-1992 წლებში მოსკოვში ჩატარდა გამოკვლევა სახელწოდებით “ოჯახი და ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები”. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საინფორმაციო სფეროს ცვლილებებით ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოწვეული გლობალური ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლა. კვლევის მეთოდს წარმოადგენდა ხარისხობრივი ანალიზი. ოჯახების შერჩევა მოხდა ინფორმაციული ტექნიკის ოთხი სახეობიდან – საოჯახო კომპიუტერი, ვიდეომანტიოფონი, ტელევიზორი და ტელეფონი, სამის არსებობით. გამოვლენილ იქნა მათი ოჯახში შემოტანის ორი ძირითადი წყარო: საზღვარგარეთული ვიზიტები და დაწესებულებებზე იმპორტირებული საქონლის ბარტერული განაწილების სისტემა. ოჯახებში ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნის ძირითად მოტივებად დასახელებულ იქნა: ბავშვებზე ზრუნვა, მშობელთა სურვილი, რომ უზრუნველყონ შვილების თანამედროვე ინფორმაციულ სფეროში ზრდა, პრესტიჟულობის განცდა და ფულის ინვესტირების სურვილი.

<sup>1</sup> [www.rfbr.ru/default.asp?doc\\_id=5218](http://www.rfbr.ru/default.asp?doc_id=5218)



ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობები განსაზღვრავენ ინფორმაციული ტექნიკის როგორც შექმნის, ასევე მისი შემდგომში გამოყენების ფაქტს. აღსანიშნავია, რომ მატერიალური რესურსები, მაგალითად როგორცაა შემოსავლები, საცხოვრებელი ფართი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამა თუ იმ ტექნიკის ხელმისაწვდომობას, განმსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინებიან მხოლოდ პირველ ეტაპზე. სოციალური რესურსები (სოციალური კავშირების არსებობა, ოჯახის წევრების ფინანსური მდგომარეობა, ასაკი, მათი კულტურული კაპიტალი) განსაზღვრავენ ოჯახში ამა თუ იმ ტექნიკის გამოყენება/არგამოყენების საკითხს. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ იმ ადამიანებთან კონტაქტის არ არსებობამ, რომლებიც ფლობენ კომპიუტერთან და სხვა ინფორმაციულ ტექნიკურ საშუალებებთან მუშაობის ჩვევებს, რომელთაგანაც შესაძლებელია კონსულტაციების, პრაქტიკული დახმარების მიღება, ინფორმაციის გაცვლა, საგრძნობლად პრობლემატური გახადა ახალი ტექნიკის გამოყენების საკითხი. კვლევის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა დაადასტურა მსოფლიო ტენდენცია, რომ ოჯახის წევრთა ასაკობრივი ცენზი არის ოჯახში საინფორმაციო ტექნიკის გამოყენების განმსაზღვრელი ფაქტორი. აქ უმეტესად ბავშვები გვევლინებიან ახალი ტექნოლოგიების ყველაზე აქტიურ მომხმარებლებად და ამთვისებლად. ეს მონაცემები დასტურია კულტურის გადაცემის მოდელების ცვლის პროცესისა, რომლის დროსაც ახალი თაობისათვის უფროსი თაობა აღარ მიიჩნევა აპრიორად და ავტორიტეტად.

1997 წელს ჩატარდა განმეორებითი გამოკვლევა სახელწოდებით “ოჯახი და ინფორმაციული ტექნოლოგიები”, რომლის შედეგებიც შეიძლება ფორმულირებულ იქნას შემდეგი სახით:

1. გაიზარდა საოჯახო კომპიუტერების ხელმისაწვდომობა და გავრცელების არეალი. მიუხედავად მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარისა, კომპიუტერებზე მოთხოვნა მაღალია. მაღალი კლასის თანამედროვე კომპიუტერის შექმნა საშუალოშემოსავლიანი ოჯახებისათვის პრიორიტეტული გახდა;
2. ამდღა თანამედროვე, ინფორმაციული, კომპიუტერული ტექნოლოგიების და უპირველესად კი, საოჯახო კომპიუტერების შესაძლებლობების გაცნობიერებისა და გათავისების დონე. ოჯახში კომპიუტერი ყველა რესპოდენტის მიერ მიჩნეულ იქნა მოზარდი თაობის განვითარებისა და განათლების აუცილებელ პირობად. ადამიანები კომპიუტერებს იძენენ, რათა ჰქონდეთ სახლიდან გაუსვლელად მუშაობის შესაძლებლობა;

3. ვაჭრობის განვითარების ფონზე ოჯახში მიმდინარეობს საოჯახო კომპიუტერების კომპლექტაციის, სრულყოფისა და თაობათა ცვლის პროცესი. საშუალოშემოსავლიანი ადამიანებისთვისაც კი, მაღალი კლასის კომპიუტერები, პენტიუმები მიიჩნევა პრიორიტეტულად. ფიქსირდება ასევე მოძველებული თაობის კომპიუტერების სამსახურებიდან ოჯახებში გადატანის პროცესი;
4. საოჯახო საინფორმაციო სფერომ ცვლილება განიცადა როგორც ტექნიკური ადჭურვილობის, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. საოჯახო საინფორმაციო სფეროს მსოფლიო დონესთან მიახლოების ერთადერთ გზად შესაბამისი საშუალებების ფლობაა მიჩნეული;
5. მკვეთრი ცვლილებები განიცადა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სფერომ. კერძოდ, თუ, კი, 1991-1992 წლებში საოჯახო საინფორმაციო ტექნიკა ძირითადად გართობის მიზნით გამოიყენებოდა, უკვე შესაძლებელია, ითქვას: კომპიუტერი ოჯახში – ეს არის არა მარტო თამაშები, არამედ, ენციკლოპედიები და ცნობარები, საოჯახო ოფისი, საოჯახო ფინანსები და ბუღალტერია, კულინარული წიგნები, ტანსაცმლის, ვარცხნილობის თანამედროვე დიზაინის ნაკრები, კავშირი მსოფლიოსთან, რეპეტიტორი გამოცდებისათვის, ფოტო-, ვიდეო-, აუდიო სტუდია, კლიენტი-ბანკი, დისტანციური სწავლების საშუალება და მრავალი სხვ.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში კომპიუტერი ოჯახში ცხოვრების ისეთივე აუცილებელ სტანდარტად იქცა, როგორც ტელევიზორი, მაგნიტოფონი ან სარეცხი მანქანა. ის როგორც წესი, გამოიყენება ოჯახის რამდენიმე წევრის მიერ: მშობლებისათვის – ეს არის დამხმარე ბიზნესსა და კომუნიკაციებში, ბავშვებისათვის – ჭკვიანი პარტნიორი თამაშებში და გზათმკვლევ სწავლაში. უკვე 1995 წელს, აშშ-ში, გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კომპიუტერების შესყიდვაზე დახარჯულმა თანხამ ტელევიზორების შესყიდვაზე დახარჯულ თანხას გადააჭარბა.

- 1998 წელს<sup>1</sup> ფირმა ZD Market Intelligence-ის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ იმ ოჯახების წილი, რომლებსაც ჰქონდათ პერსონალური კომპიუტერი, იანვართან შედარებით 3,5%-ით გაიზარდა ხოლო, აგვისტოში 48,2%-ს მიაღწია. ეს კი, ნიშნავს, რომ 8 თვის განმავლობაში, ოჯახში კომპიუტერის მომხმარებელთა რიცხვი 3,9 მლნ-ით გაიზარდა. გაირკვა, რომ პერსონალური

<sup>1</sup> [www.rol.ru/news/it/press/cwm/46\\_98/half.htm](http://www.rol.ru/news/it/press/cwm/46_98/half.htm)

კომპიუტერის ყიდვის ძლიერი სტიმული – ბავშვებია: ოჯახში კომპიუტერი აქვთ ისეთი ამერიკული ოჯახების 40%-ს, რომელთაც არ ჰყავთ შვილები და ისეთი ოჯახების 62%-ს, რომლებსაც შვილები ჰყავთ. მეორე მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება წლიური საოჯახო შემოსავალი და ოჯახის მეთაურის განათლების ცენზი. პერსონალური კომპიუტერების შემდგომი შეღწევა ამერიკელთა ოჯახებში, განისაზღვრება საშუალოზე ქვემოთ და მცირე შემოსავლიანი ოჯახების აქტიურობით, ამიტომ წარმატება იმ კომპიუტერული კომპანიების თანხმდება, რომლებიც ასეთი ტიპის პოტენციურ მომხმარებლებს სთავაზობენ ვაჭრობისა და მხარდაჭერის უფრო მიმზიდველ პროგრამებს.

- ჟურნალ “ComputerWeekly”<sup>1</sup>-ის მონაცემებით, ისრაელში ოჯახში კომპიუტერის მფლობელთა რიცხვი 2000 წელს არსებული 47,1%-დან 2001 წლისათვის გაიზარდა 49,9%-მდე გაიზარდა.

- როგორც<sup>2</sup> ანალიტიკური კომპანია Forrester Research-ის სპეციალისტები თავიანთ კომპლექსურ შედარებით გამოკვლევაზე „Forrester's Technographics 2000 Europe Benchmark Study“ დაფუძნებულ ანგარიშგებაში ამტკიცებენ, ოჯახში ერთზე მეტი კომპიუტერის მქონე მომხმარებელთა საშუალო წლიური ზრდის ტემპი ევროპაში 2001-2005 წლისათვის 19%-ს შეადგენდა.

- კომპანია<sup>3</sup> Cheskin Research-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ოჯახში კომპიუტერის მფლობელთა რიცხვი აშშ-ს ლათინოამერიკულ მოსახლეობაში 2000 წლის I-IV კვარტალში 42,4%-ით გაიზარდა.

- კომპანია<sup>4</sup> Nielsen/NetRatings-ის მიერ 2001 წლის აპრილ-ივნისში ჩატარდა 40 ათასზე მეტი ადამიანის სატელეფონო გამოკითხვა. როგორც მკვლევართა მიერ იქნა დადგენილი, ოჯახში კომპიუტერების რაოდენობის ყველაზე დიდი მატება ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. დაახლოებით 65% სამხრეთ კორეის, შვეციისა და ავსტრალიის ოჯახებისა, აღჭურვილია ერთი კომპიუტერით მაინც. გერმანიისათვის ეს რიცხვი ცოტა ნაკლებია – 48%, დიდი ბრიტანეთისათვის – 46%, ხოლო საფრანგეთისათვის – 34%. ზოგადად ევროპისათვის ეს ციფრი 33%-ის ტოლია.

---

1 [www.delocom.com/News/Archive/092002/2news.htm](http://www.delocom.com/News/Archive/092002/2news.htm)  
2 [www.e-commerce.ru/News/2001/01/11/news6737.html](http://www.e-commerce.ru/News/2001/01/11/news6737.html)  
3 [webrating.ru/promo/promo\\_news\\_arch?NEWS\\_ID=27266](http://webrating.ru/promo/promo_news_arch?NEWS_ID=27266)  
4 [postmaster.ru/mews.phtml?c=allnews&d=2001-8-29](http://postmaster.ru/mews.phtml?c=allnews&d=2001-8-29)

კომპანია<sup>1</sup> „GfK“-ს მიერ რუსეთში 2001 წლის ნოემბერში ჩატარებული საერთონაციონალური გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ რუსეთში მოზრდილი ასაკის მქონე მოსახლეობის 10 მლნ.-ზე მეტი იყენებდა ოჯახში კომპიუტერს. ბოლო 3 წლის განმავლობაში პერსონალური კომპიუტერების სახლში მომხმარებელთა რიცხვი კიდევ 25-30%-ით გაიზარდა.

- ლოს-ანჯელესში<sup>2</sup> 2002 წლის აპრილისათვის ოჯახების 68%-ს ჰქონდა კომპიუტერი. 1995 წელთან შედარებით, ზრდა 44%-ს შეადგენდა.

- 2002<sup>3</sup> წლისათვის აშშ-ში მოსახლეობის დაახლოებით 60% ფლობდა ოჯახში კომპიუტერს. დასავლეთ ევროპაში მათი რაოდენობა 49%-ს, ხოლო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში – 38% შეადგენდა.

- რუსეთის<sup>4</sup> ფედერაციის კავშირგაბმულობის სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის მიერ 2003 წლის 23 დეკემბერს ამავე სამინისტროში გამართულ პრეს-ბრიფინგზე, რუსეთის სოციოლოგიური გამოკითხვის ცენტრის მიერ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნულ იქნა, რომ 2003 წლისათვის რუსეთის მოსახლეობის მხოლოდ 11% ფლობდა კომპიუტერს ოჯახში და მხოლოდ 38%-ს შეეძლო კომპიუტერით სარგებლობა.

- თუ, კი, 2004 წლისათვის<sup>5</sup> რუსეთში, ოჯახების მხოლოდ 11% ფლობდა კომპიუტერს, აღმოსავლეთ ევროპაში ასეთ ოჯახთა რიცხვი – 20-30% იყო, დასავლეთ ევროპაში, კი – 50-80%.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას ოჯახებში პერსონალური კომპიუტერების არსებობის შესახებ, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების თანახმად: (იხ. ცხრილი №1)

ცხრილი №1. პკ რაოდენობა ას შინამეურნეობაზე

	2005	2006
ქალაქი	4	5
სოფელი	1	1
ქვეყანა	2	3

<sup>1</sup> www.gradusnik.ru/rus/medall/oftalm/iga-kompzritsyndr  
<sup>2</sup> www.internews.ru/internews/ramed/translate/3.html  
<sup>3</sup> www.intel.com/ru/pressroom/2002/070102.htm  
<sup>4</sup> www.e-commerce.ru/News/2003/12/24/news13147.html  
<sup>5</sup> efir.vrn.ru/index.php?news=1100&dis=1

## 2.1. ოჯახში ინფორმაციაზე მოთხოვნის შესწავლა

ცოცხალი<sup>1</sup> მატერიის არსებობა და განვითარება შეუძლებელია ინფორმაციის გარეშე. მხოლოდ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება იმ სამყაროს შეცნობა, სადაც მუდმივად მიმდინარეობს ურთიერთმოქმედი ამოუწურავი ნაირსახეობისა და თვისებების მქონე მატერიის მოძრაობა. ცოცხალ მატერიას განვითარებისა და სრულყოფისათვის ესაჭიროება არა მარტო მემკვიდრეობითი ინფორმაცია, არამედ ის დამატებითი ინფორმაციაც, რომელიც გარე სამყაროდან მიიღება. ბუნებაში მოქმედებს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთიანობის კანონი, ამდენად, ცოცხალ მატერიას არსებობისა და განვითარებისთვის მუდმივად ესაჭიროება ინფორმაცია გარე სამყაროს მდგომარეობის შესახებ. ბუნებაში მხოლოდ აუცილებლობის კანონი რომ მოქმედებდეს, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა ინფორმაციის მიღება, რადგან ყველაფერი წინასწარ განისაზღვრებოდა და შესაბამისად, ადგილი არ ექნებოდა მატერიის განვითარებას. შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონის თანაარსებობისას, იმისათვის, რომ ცოცხალი მატერია შეეგუოს გარემოს, აუცილებელია მატერიამ მიიღოს ინფორმაცია მისი მდგომარეობის შესახებ. ცოცხალი მატერია მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად ცვლის თავის სტრუქტურას, ხოლო მეორე მხრივ ცვლის დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ ინფორმაცია საჭიროა მატერიის გადარჩენისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის. გადარჩენა და განვითარება, კი, მხოლოდ ცოცხალი მატერიისათვის არის დამახასიათებელი.


მე-20 საუკუნის ბოლოსათვის ადამიანი მრავალი ისეთი პრობლემის წინაშე დადგა, როგორცაა: ემიგრაცია, მიგრაცია, ინფორმაციული ნაკადების სწრაფი ცვლა, ეკონომიკური არასტაბილურობა. დღევანდელ ვითარებაში, მიუხედავად საბაზო განათლებისა, თვითგადარჩენის აუცილებელ პირობად, ახალ სიტუაციაში სწრაფი ადაპტირებისა და მასში სწრაფი ორიენტირების, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების, სხვადასხვა პროფესიისა და სოციუმის, ადამიანებთან თავისუფალი. რაც თავის მხრივ განათლებისა და კვალიფიკაციის დონის მუდმივი ამაღლებით, უახლესი ინფორმაციის სისტემატიური მიღებით მიიღწევა.

---

<sup>1</sup> მ. მაღრაძე, “სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა)”, საგამომცემლო ფირმა ”ქსენოგრაფი”, თბილისი, 2000 წ. გვ.9.

სახლიდან გაუსვლელად მუდმივი განათლების, შესაბამისი ინფორმაციის მიღების გზა დისტანციური სწავლებაა.

დისტანციურ<sup>1</sup> სწავლებაში მოიაზრება ცოდნის გადაცემის შემდეგის სახის მოდელი (იხ. სქემა 2.1):



სქემა №2.1. დისტანციურ სწავლებაში ცოდნის გადაცემის მოდელი

ვინ არის დაინტერესებული დისტანციური განათლებით?

- საშუალო სკოლა დამთავრებულნი, რომლებიც სასწავლო ცენტრებისგან მოშორებით იმყოფებიან, ან გაურკვეველი მიზეზების გამო სკოლის დამთავრებისთანავე შეუდგნენ შრომით საქმიანობას;
- დღის დასწრებული სწავლების სტუდენტები, რომლებსაც სურვილი აქვთ პარალელურად მიიღონ მეორე განათლება;
- ცალკეულ რაიონებში ან დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებნი, სადაც არ არის მაპროფილებელი ცოდნის მიღების საშუალება;
- უწყვეტი ციკლის რეჟიმში მომუშავენი, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა მოსწყდნენ წარმოებას;
- მცირე და საშუალო მეწარმეები, ასევე ქვედა და საშუალო რგოლის მენეჯერები, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი საბაზო განათლება ან აქვთ სურვილი მიიღონ ახალი ცოდნა სამუშაოსაგან მოუწყვეტლად;
- დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებიც თანამდებობრივი რანგირებისათვის, ან პროფესიული საქმიანობის პირობების

<sup>1</sup> [www.vestnik-sviaz.ru/inter/arch/0702/virt.html](http://www.vestnik-sviaz.ru/inter/arch/0702/virt.html)

შეცვლის გამო (მაგ. ბუღალტრები, ბუღალტრული აღრიცხვის ახალ ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით) იმაღლებენ ან იცვლიან პროფესიულ კვალიფიკაციას;

- სამხედრო პირები, რომლებიც ემზადებიან დემობილიზაციის შემდგომ პროფესიული საქმიანობისათვის;
- უმუშევრები, რომლებიც საჭიროებენ პროფესიული კვალიფიკაციის სწრაფ შეცვლას, ამაღლებას ან შექენას;
- დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ქალებათვის;
- გადაადგილების უნარშეზღუდული ინვალიდები.

დისტანციური სწავლების უპირატესობებია:

- ცოდნის მიღება ხელსაყრელ ადგილას, სასურველ დროს. ასევე ცოდნის მიღების საკუთარი ტემპების არჩევის შესაძლებლობა;
- სასწავლო დაწესებულებისა და სწავლების პროგრამის არჩევა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე;
- ცოდნის მიღების შესაძლებლობა სამუშაო ან სასწავლო პროცესიდან მოუწყვეტლად;
- სასწავლო პროცესში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება;
- სწავლაზე დანახარჯების შემცირება.

დისტანციურ სწავლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- საგანმანათლებლო ინფორმაციის წარმოდგენის ტექნოლოგიები;
- საგანმანათლებლო ინფორმაციის გადაცემის ტექნოლოგიები;
- საგანმანათლებლო ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების ტექნოლოგიები.

დისტანციური განათლებისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება:

- საგანმანათლებლო ინფორმაციას;
- საგანმანათლებლო ტექნოლოგიას;
- ინფორმაციულ ტექნოლოგიას.

საგანმანათლებლო ინფორმაცია – ეს არის ცოდნა, რომელიც უნდა გადაეცეს ცოდნის მიმღებს, რათა მან კვალიფიციურად შეასრულოს ესა თუ ის საქმიანობა; სწავლების დასწრებული სისტემის შემთხვევაში, ინტერპრეტატორად გვევლინება პედაგოგი. დისტანციური სწავლებისას, ინტერპრეტატორი თავად სტუდენტია და შესაბამისად, საგანმანათლებლო ინფორმაციას და მისი წარმოდგენის საშუალებებს მაღალი დონის მოთხოვნები წაეყენებათ. უპირველესად ეს ეხება

ელექტრონულ სახელმძღვანელოებს, საინფორმაციო ბაზებს, ცოდნის ბანკებს, საცნობარო და ექსპერტულ სისტემებს, რომლებიც გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

საგანმანათლებლო ტექნოლოგიები – ეს არის დიდაქტიკური მეთოდებისა და საშუალებების კომპლექსი, რომელიც მომხმარებლისათვის საგანმანათლებლო ინფორმაციის გადასაცემად გამოიყენება და მისი წარმოდგენის ფორმებზეა დამოკიდებული. დისტანციურ სწავლებაში უმეტესად შემდეგი სახის საგანმანათლებლო ტექნოლოგიები გამოიყენება:

- ვიდეო ლექციები;
- მულტიმედია-ლექციები და ლაბორატორიული პრაქტიკუმები;
- ელექტრონული მულტიმედიური სახელმძღვანელოები;
- კომპიუტერული სწავლება და ტესტირების სისტემა;
- იმიტაციური მოდელები;
- კონსულტაციები და ტესტები ტელესაკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით;
- ვიდეოკონფერენციები.

ინფორმაციული ტექნოლოგიები – ეს არის პროგრამულ-აპარატურული საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ემყარება გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო ინფორმაციის შენახვასა და დამუშავებას, უშუალოდ ცოდნის მიმღებ პირებამდე მის დაყვანას, ინტერაქტიულ ურთიერთკავშირს სტუდენტსა და პედაგოგს ან პედაგოგიურ-პროგრამულ საშუალებას შორის, სტუდენტის ცოდნის ტესტირებას.

სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია არა თავად ინფორმაციული ტექნოლოგია, არამედ ის, თუ რამდენადაა შესაძლებელი მისი გამოყენებით საგანმანათლებლო მიზნების რეალიზება. დისტანციურ სწავლებაში ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების ძირითადი როლი არის პედაგოგსა და ცოდნის მიმღებ პირს შორის უწყვეტი სასწავლო დიალოგისა და ორმხრივი კავშირის უზრუნველყოფა. ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: **on-line** და **off-line**. **on-line** უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას რეალური დროის რეჟიმში, შეტყობინებები, რომელიც ეგზავნება ადრესატს, უშუალოდ გამოიტანება გამოტანის მოწყობილობაზე, ხოლო **off-line** ტექნოლოგიისას, მიღებული შეტყობინება ინახება ადრესატის კომპიუტერში. მომხმარებელს მისი ნახვა შეუძლია მისთვის ხელსაყრელ დროს სპეციალური პროგრამების გამოყენებით. **off-**



line ტექნოლოგიების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ნაკლებად მომთხოვნი არიან კომპიუტერის რესურსებისა და კავშირის არხების გამტარიანობის დონის მიმართ. ამ ტიპის ტექნოლოგიებს მიეკუთვნება ელექტრონული ფოსტა, რომლითაც პედაგოგსა და სტუდენტს შორის პირდაპირი კავშირი მყარდება, ტელეკონფერენციები, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს მოცემული კურსის რთული და პრობლემატური საკითხების კოლექტიური განხილვა, List-სერვერები, რომლითაც შესაძლებელია განხორციელდეს სასწავლო ინფორმაციის გადაცემა. on-line ტექნოლოგიებიდან უპირველესად აღსაღნიშნავია chat, რომელიც საშუალებას იძლევა, მოხდეს ინტერნეტით ტექსტური შეტყობინებების გაცვლა დროის რეალურ რეჟიმში.

ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული საბანკო მომსახურების ერთგვარი ფორმა, რომელსაც სთავაზობენ მოსახლეობას და იგი საბანკო ოპერაციების სახლში განხორციელებას გულისხმობს (home banking). პირველად ასეთი სახის მომსახურება 1983 წელს დაიწყო და გამოყენებულ იქნა შოტლანდიის ბანკისა და სატელეფონო კომპანია British Telecom-ის მიერ ერთობლივად შექმნილი სისტემა Homelink-ი, ის დანერგილ იქნა სამშენებლო გაერთიანება Nottigham Building Society –ის მიერ. ასეთი სახის მომსახურების პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა 1994 წელს. 1993 წელს ბანკებმა უკვე დაიწყეს მსხვილი ინვესტირება ამგვარი ტიპის სისტემების შექმნაზე პერსონალური კომპიუტერების, ციფრული და დისპლევით აღჭურვილი ტელეფონებისა (screen-phone) და ინტერაქტიული ტელევიზიის გამოყენებით.

ამგვარი მომსახურების ყველაზე მარტივი ფორმაა ტელეფონით პირდაპირი მომსახურება, რომელიც საშუალებას აძლევს ცალკეულ მენაბრეს აწარმოოს ისეთი სახის ტრანზაქციები, როგორცაა ანგარიშის გახსნა და კრედიტის მიღება. ბინაში ელექტრონული საბანკო მომსახურების სისტემის მომხმარებელი თავად იძენს ყველა საჭირო მოწყობილობას, ხოლო ბანკი კონსულტაციას უწევს მას საოჯახო ტერმინალების, მოწყობილობებისა და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის საკითხებში. ამგვარი სისტემები საშუალებას აძლევს ბანკის კლიენტს, გამოიყენოს მონიტორის ან ტელევიზორის ეკრანი, პერსონალური კომპიუტერი, კავშირის სატელეკომუნიკაციო არხით დაუკავშირდეს ბანკის კომპიუტერს. კლიენტს ასევე ეძლევა შესაძლებლობა, განახორციელოს საბანკო ოპერაციები 24 საათის განმავლობაში გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეების ჩათვლით. ყოველი ოპერაციის დაწყების წინ ანგარიშის მფლობელი

იყენებს "გასაღებს" სისტემისადმი არასანქცირებული შეღწევის დაცვის კოდში. ოპერაციებს შორის შეიძლება გამოვყოთ:

- მიმდინარე დღეს ანგარიშის ბალანსის მიღება;
- ანგარიშის გახსნა;
- იმ ინსტრუქციებთან, წესებთან გაცნობა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ცვლილებების შეტანა;
- კრედიტის მიღება;
- ინფორმაციის მიღება პირადი ანგარიშის მდგომარეობის შესახებ;
- ჩეკების წიგნის შეკვეთის შესაძლებლობა და ანგარიშზე თანხის მოძრაობის შესახებ ანგარიშგების მიღება დროის გარკვეული პერიოდისათვის;
- ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულება.

რიგ შემთხვევაში, ბინაზე კლიენტების მომსახურება არ იზღუდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში მათ ანგარიშებთან მიმართებაში. მაგ: იაპონიის ბანკები თავიანთ კლიენტებს აძლევენ ინფორმაციას მათი ანგარიშების შესახებ ნიუ-იორკში, ლონდონში.

1994 წლის დასაწყისში Huntington National Bank-ის (აშშ) ცალკეული მენაბრეების მომსახურებისათვის დაინერგა ვიდეოსისტემა, რაც უზრუნველყოფს ორმხრივ ინტერაქტიულობას. ეს ვიდეოსისტემა კლიენტს სატელეფონო არხით ეკონტაქტოს ბანკის წარმომადგენელს და დროის რეალურ რეჟიმში თვალყური ადევნოს ეკრანზე მას. თავის მხრივ, ბანკის თანამშრომელსაც აქვს საშუალება, იგივე რეჟიმში ნახოს კლიენტი.

ოჯახს ესაჭიროება მიიღოს ინფორმაცია შემოსავლების, რესურსის, ფინანსური სახსრების მოძრაობის, დებიტორული თუ კრედიტორული დავალიანებების გადახდის მდგომარეობის, ოჯახის წევრთა მფლობელობაში არსებული ფინანსური და ქონებრივი საშუალებების შესახებ.

## 2.2. ოჯახის ინფორმაციული კავშირი გარე სამყაროსთან

ქვეყნის<sup>1</sup> ელექტრონული მზადყოფნის სრულყოფისა და საყოველთაო "საინფორმაციო მიღწევადობის" უზრუნველყოფის პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ინტერნეტ-მომსახურების გამოყენების მაღალი დონის არსებობა, რომელიც უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე.

განვითარებისა და ვაჭრობის შესახებ გაეროს 2003 წლის კონფერენციის (United Nations Conference on Trade and Development) სტატისტიკური კრებულის მონაცემთა მიხედვით საქართველოში ინტერნეტმომხმარებელთა რიცხვი განისაზღვრება 9 ინტერნეტმომხმარებელით ყოველ 1000 მოსახლეზე, რაც ქართული ინტერნეტის განვითარების ყველაზე უფრო მკაფიო ინდიკატორია. ეს არცთუ სახარბიელო მაჩვენებელია, მაშინ როდესაც, საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, სადაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაახლოებით ერთი და იგივე დონე იყო, ყოველ 1000 სულ მოსახლეზე ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა შეადგენს: ესტონეთში 318, ლატვიაში – 72, ლიტვაში 72, ბელორუსიაში – 42, ყირგიზეთში – 30, რუსეთში – 30, სომხეთში – 23, მოლდოვაში – 14, უკრაინაში – 2, ყაზახეთში – 10, უზბეკეთში – 6, აზერბაიჯანში – 3, თურქმენეთში – 2, ტაჯიკეთში – 1 ადამიანს. რაც შეეხება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს: აშშ-ში – 496, ნორვეგიაში – 467, იაპონიაში – 384, გერმანიაში – 374, არაბეთის გაერთიანებული საამიროებში – 339, გაერთიანებული სამეფოში – 336, ისრაელში – 292, საფრანგეთში – 263, უნგრეთში – 148, ჩეხეთში – 146, ფინეთში – 98, ინდოეთში – 7 ადამიანს..

აღსანიშნავია, რომ განსხვავებული მონაცემები აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და საკონსულტაციო ჯგუფ "აპიო"-ს. მათი მონაცემებით, საქართველოში ინტერნეტის დაახლოებით 100,000 მომხმარებელია, რაც მთელი მოსახლეობის 2.5 პროცენტს შეადგენს (2003 წელი).

მოცემული მონაცემების ზედაპირული ანალიზიც კი საშუალებას იძლევა ვთქვათ რომ ამ მაჩვენებლით საქართველო ჯერ კიდევ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საწყის ეტაპზეა. ქართული ინტერნეტი, რომელიც ზემოაღნიშნული ტექნოლოგიების ნაწილია, უდავოდ

<sup>1</sup> UNDP Georgia, NCTeam (CIMS Consulting) საქართველო, თბილისი 2004, "ICT Development Framework for Georgia"

საჭიროებს სახელმწიფო თუ კერძო სექტორების, საზოგადოებრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას ჩამოყალიბების პროცესში.

ინტერნეტმომხმარებლის შედარებით მაღალი დონე აღინიშნება თბილისსა და ზოგიერთ მსხვილ, განვითარებულ ქალაქში, რეგიონალურ ცენტრებში. ინტერნეტმომხმარებლებს ეწევა ორ ათეულამდე ინტერნეტპროვაიდერი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა განთავსებულია თბილისში და მხოლოდ ერთი – ბათუმში.

ინტერნეტმომხმარებლის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მისი ღირებულებაა. მართალია, ინტერნეტის ღირებულება ხელმისაწვდომია სხვადასხვა კერძო ორგანიზაციისა და საწარმოსათვის, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის უმეტესობას (განსაკუთრებით რეგიონებში) არ შეუძლიათ ან უჭირთ ინტერნეტსერვისების საფასურის გადახდა. სახელმწიფო ორგანიზაციების შემთხვევაში ამ სახის ხარჯების ანაზღაურება, უმეტესწილად და ისიც პერიოდულად, ხორციელდება სხვადასხვა დონორი საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით. აქვე აღსაღნიშნავია ის გარემოებაც, რომ ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობის ზრდა უფრო მეტადაა დამოკიდებული ახალ და მეორად ბაზარზე პერსონალურ კომპიუტერებზე ჩამოყალიბებული ფასების დონეებზე.

დღითიდღე იზრდება იმ მომხმარებელთა რიცხვი, რომლებიც ინტერნეტს სახლიდან გაუსვლელად უკავშირდებიან.

- ჟურნალ<sup>1</sup> "Инфо-бизнес"-ის მე-40 ნომრის მონაცემებით, კვლევითი სააგენტოს КОМКОН-Вектор-ის მიერ რუსეთის ქალაქების მოსახლეობაში ჩატარებულ იქნა გამოკვლევა იმის დასადგენად, თუ, ძირითადად, რა სახის ინფორმაციის მოძიებისათვის ხდებოდა ინტერნეტთან მიმართვა. აღმოჩნდა, რომ ინტერნეტით სარგებლობს:

გართობისათვის – ხელმძღვანელთა 14,9%, ხოლო მოსწავლეთა 30,0%.

ახალი პროგრამული უზრუნველყოფის მოსაძიებლად – ხელმძღვანელთა 30,6%, მოსწავლეთა 17,5%.

კომპიუტერული თამაშებისათვის – ხელმძღვანელთა 15,7%, მოსწავლეთა 45,3%.

ვიდეო, შოუ-ბიზნესისათვის – ხელმძღვანელთა 4,4%, მოსწავლეთა 40,6%.

ეკონომიკის სიახლეებისათვის – ხელმძღვანელთა 34,4%, ხოლო მოსწავლეთა 7,5%.

<sup>1</sup> [www.rambler.ru/db/rumetrica/otherstat.html?mid=1747191](http://www.rambler.ru/db/rumetrica/otherstat.html?mid=1747191)

მომსახურებისა და საქონლის მწარმოებლების დადგენისათვის – ხელმძღვანელთა 25,9% და მოსწავლეთა 4,4%.

ტექნიკის შესახებ – ხელმძღვანელთა 17,1%, მოსწავლეთა 15,0%.

პოლიტიკური სიახლეებისათვის – ხელმძღვანელთა 18,5%, მოსწავლეთა 8,8%.

ონლაინური პრესისათვის – ხელმძღვანელთა 20,1%, მოსწავლეთა 6,6%.

ეროტიკის საყურებლად – ხელმძღვანელთა 9,1%, მოსწავლეთა 17,2%.

სპორტის სიახლეებისათვის – ხელმძღვანელთა 8,5%, მოსწავლეთა 21,6%.

პოპულარული მეცნიერებისათვის – ხელმძღვანელთა 8,5%, მოსწავლეთა 13,1%.

სამუშაოს მოსაძიებლად – ხელმძღვანელთა 9,9%, მოსწავლეთა 4,4%.

ელექტრონული კომერცისათვის – ხელმძღვანელთა 16,8%, მოსწავლეთა 1,9%.

ამინდის პროგნოზისათვის – ხელმძღვანელთა 8,0%, მოსწავლეთა 9,1%.

მოგზაურობისათვის – ხელმძღვანელთა 9,9%, მოსწავლეთა 8,8%.

ხელოვნებისათვის – ხელმძღვანელთა 4,1%, მოსწავლეთა 6,6%.

მედიცინისათვის – ხელმძღვანელთა 10,2%, მოსწავლეთა 1,6%.

კომპანია<sup>1</sup> NetValue-ს მიერ ჩატარებული გამოკვლევის მონაცემებით, 2001 წლისათვის 9 მლნ. ბრიტანელი იყო ინტერნეტთან დაკავშირებული, რაც საერთო რაოდენობის 37,2%-ია, ხოლო ინტერნეტის საოჯახო მომხმარებელთა რიცხვს დაახლოებით 12 მლნ. ადამიანი შეადგენდა. თუმცა, დიდი ბრიტანეთი ჩამორჩება დანიასა და აშშ-ს, სადაც ინტერნეტთან ამ პერიოდისათვის დაკავშირებული იყო 52,6 და 48,8 პროცენტი ოჯახებისა. თუმცა ის მნიშვნელოვნად უსწრებდა წინ სხვა ევროპულ ქვეყნებს, მათ შორის საფრანგეთსა (20,6%) და გერმანიას (30,2%).

კომპანია<sup>2</sup> Nielsen/NetRatings-ის ინტერნეტის აუდიტორიის გამოკვლევის მონაცემებით, 2002 წლისათვის მთელს მსოფლიოში 500 მლნ. ადამიანი იყო ინტერნეტთან ოჯახიდან დაკავშირებული.

კომპანია Nielsen/NetRatings-ის საოჯახო ინტერნეტ-აუდიტორიის 2002 წლის გამოკვლევის მონაცემებით<sup>3</sup>, ქსელის საოჯახო მომხმარებლების მიხედვით პირველ ადგილზეა აშშ, სადაც ოჯახიდან ინტერნეტით 166 მლნ. ადამიანი სარგებლობს, აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით მეორე ადგილზეა – ჩინეთი, სადაც ინტერნეტით გამოკითხული ოჯახების მხოლოდ 5% სარგებლობს, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ჩინეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდი რიცხვი, რომელიც 1

<sup>1</sup> [www.samaraweb.ru/news/computerra/indexx.html?24042001155803-2001-114](http://www.samaraweb.ru/news/computerra/indexx.html?24042001155803-2001-114)

<sup>2</sup> [www.rambler.ru/db/news/msg.html?mid=2342717&s=5](http://www.rambler.ru/db/news/msg.html?mid=2342717&s=5)

<sup>3</sup> [www.compulenta.ru/2002/4/22/28719/](http://www.compulenta.ru/2002/4/22/28719/)

მლრდ. ადამიანს აჭარბებს. მესამე პოზიცია უჭირავს იაპონიას 51,2 მლნ. ინტერნეტის საოჯახო მომხმარებელით, შემდეგ მოდის გერმანია (32,2 მლნ. საოჯახო მომხმარებელი) და დიდი ბრიტანეთი (29 მლნ. საოჯახო მომხმარებელი);

სტუდია<sup>1</sup> Promo.ru-ს, საძიებო სისტემა Newman Search-ის, კომპანია Komkon2-ის, Gallup Media-სა და სააგენტო Monitoring.ru-ს მიერ პირველად იქნა ჩატარებული რუსეთის ინტერნეტ-აუდიტორიის მთელი რიგი კომპლექსური გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით (იხ. ცხრილი №2.1., ცხრილი №2.2., ცხრილი №2.3., ცხრილი №2.4., ცხრილი №2.5.):

ცხრილი №2.1. ინტერნეტ-აუდიტორიის რიცხოვნობა ათასებში

	წლები						
	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
კაცთა რაოდენობა	1119	1540	2300	3100	5100	8800	10600

ცხრილი №2.2. ინტერნეტ-აუდიტორიის გენდერული შემადგენლობა პროცენტული თანაფარდობით

სქესი	წლები						
	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
მამრობითი, %	84	72	65	60	61	59	56
მდედრობითი, %	16	28	35	40	39	41	44

ცხრილი №2.3. ინტერნეტ-აუდიტორიის ასაკობრივი შემადგენლობა პროცენტებში

ასაკი	წლები						
	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
18 წლამდე ასაკის, %	12.3	12.1	11.7	10.4	11.4	9.0	9.3
18-24, %	22.7	24.9	28.3	26.6	28.6	27.0	27.3
25-34, %	32.6	33.0	30.0	27.0	28.0	30.0	29.0
35-44, %	21.0	18.0	17.0	18.0	20.0	21.0	21.9
45-60, %	9.8	11.0	9.4	16.0	10.4	11.1	10.8

<sup>1</sup> [www.seo-spider.ru/rus/articles.php?page=article\\_6](http://www.seo-spider.ru/rus/articles.php?page=article_6)

60 წელზე მეტი,%	0.6	1.0	1.6	2.0	1.6	1.9	1.7
-----------------	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

ცხრილი №2.4. ინტერნეტ-აუდიტორიის განათლების დონე პროცენტებში

განათლება	წლები						
	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
საშუალო დაუმთავრებელი, %	1.0	1.7	3	3.2	3.8	5.6	5.5
საშუალო, %	9.2	9.8	10	8.5	8.3	7.4	7.5
საშუალო-სოციალური, %	10.8	10.5	11	10.5	10.2	8.7	8.6
უმაღლეს-დაუმთავრებელი, %	36.2	35.4	32	34.8	32.3	30.9	32.4
უმაღლესი, %	42.8	42.6	44.0	43.0	45.3	47.5	46

ცხრილი №2.5. ინტერნეტ-აუდიტორიის სოციალური სტატუსი პროცენტებში

სოციალური სტატუსი	წლები						
	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
დაწესებულების, ფირმის ხელმძღვანელები, %	4.3	7.7	8.2	8.9	7.8	4.8	5.2
საშუალო რგოლის ხელმძღვანელები, %	13.0	15.3	15.6	15.1	15.1	14.6	15.1
სპეციალისტი, %	25.7	27.3	29.2	31.1	30.9	31.6	31.9
მომსახურე, %	12.7	9.6	9.1	9.4	9.5	9.6	10.1
კერძო პედაგოგები, %	7.8	8.7	5.5	3.9	3.2	4.6	4.7
მომუშავე, %	3.1	4.7	2.9	2.8	2.5	3.0	2.7
უმუშევარი, %	2.8	1.8	1.9	2.6	2.1	2.0	2.2
ღიასახლისი, %	0.8	0.6	1.3	1.5	1.8	1.1	1.3
სტუდენტი/მოსწავლე, %	26.7	23	26	23.1	23.4	21	20.7

სხვა	3.1	1.3	1.6	0.3	3.7	7.6	6.1
------	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

როგორც ცხრილებში მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა, ინტერნეტ-აუდიტორიის ძირითად შემადგენელ ნაწილს შეადგენენ 25-34 ასაკის მქონე მამაკაცები უმაღლესი განათლებით და 18-24 წლის სტუდენტები. ეს სწორედ საზოგადოების ის ნაწილია, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროება უწყვეტი კავშირი მსოფლიოსთან, როგორც კარიერაში ზრდის, განათლების მიღების, ასევე ინფორმაციული კულტურის ჩამოყალიბებისათვის.



### 3.1. საოჯახო საინფორმაციო სისტემის სტრუქტურა

აღლადი ვენკატეში და ნიკოლას ვიტალარი თავიანთ სტატიაში განსაზღვრავენ ტექნოლოგიურად ორიენტირებული პროგრამული პროდუქტების განვითარების ხუთ სტრატეგიას. ესენია: ელექტრონული თამაშების ტექნოლოგიის სტრატეგია, ბავშვების საგანმანათლებლო ცენტრის სტრატეგია, ელექტრონული ოფისის ტექნოლოგიების გადაცემის სტრატეგია, მომხმარებლის ელექტრონული ურთიერთგაცვლის სტრატეგია, საოჯახო საინფორმაციო სისტემების სტრატეგია. ავტორების აზრით, საოჯახო საინფორმაციო სისტემებს შეიძლება ჰქონდეთ საუკეთესო პოტენციალი ხანგრძლივი წარმატებისათვის, რადგან ის ყველაზე ახლოს დგას ცვალებად, საოჯახო მეურნეობაში არსებულ საჭიროებებთან.

#### საოჯახო საინფორმაციო სისტემების (Home Information Systems (HIS)) სტრატეგია.

საოჯახო საინფორმაციო სისტემების სტრატეგიას ხანგრძლივი პერსპექტივა აქვს თავის სიახლისადმი დამოკიდებულებაში. სტრატეგიები, რომლებიც ადრე განიხილებოდა, ძირითადად იმართებოდა ტექნოლოგიით და ეფექტურობით ვერ პასუხობდა ბაზრის თავისებურებებს. ამავე დროს ცნობილია, რომ ბაზრისათვის დამახასიათებელი პრაგმატიზმისა და ოპორტუნიზმის პირობებში ხშირად რთული და ზოგჯერ კი, შეუძლებელიცაა თავიდან იქნას აცილებული ტექნოლოგიურად მართვადი სტრატეგიები განვითარებად ბაზრებზე.

საოჯახო საინფორმაციო სისტემის სტრატეგია არის როგორც ბაზრით, ასევე ტექნოლოგიით მართვადი სტრატეგია. მაგალითად, საოჯახო მეურნეობას ის აფასებს, როგორც სოციალურ ორგანიზაციას, რომელიც ახალ ტექნოლოგიებს ეგუება. ამავე დროს, ტექნოლოგიას განიხილავს, როგორც საოჯახო მეურნეობის სოციალურ კონტექსტში ჩაშენებულს. ანუ ოპერირებს პრინციპს, რომ ტექნოლოგია არ შეიძლება იყოს ეფექტური, თუ სოციალური ორგანიზაცია, რომელშიც ის მუშაობს, ვერ უზრუნველყოფს მას.

საოჯახო საინფორმაციო სისტემის წინაშე მდგარ სტრატეგიაში საოჯახო მეურნეობა იმ ადამიანებს შორის ურთიერთობების სისტემად მოიაზრება, რომლებიც ეძებენ და მართავენ ინფორმაციას, ურთიერთობენ საოჯახო მეურნეობის საზღვრებს შიგნით და გარეთ და მონაწილეობენ იმ ქმედებებში, რომლებიც ხელს უწყობენ მათი ინფორმაციის მართვის შესაძლებლობებს. ტექნოლოგიის თვალთახედვით, ის გადადის სამი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული ტექნოლოგიის თანამთხვევაში: გამოთვლითი, კომუნიკაციისა და ინფორმაციული. ოპერატიულ დამოკიდებულებაში, საოჯახო

საინფორმაციო სისტემის სტრატეგია საოჯახო მეურნეობას განიხილავს, როგორც ელექტრონული ინფორმაციის შეგროვებისა და ტრანზაქციის კონცენტრატორს გარე მონაცემთა ბაზებთან და საკომუნიკაციო ქსელებთან კავშირებით.

ურთიერთდაკავშირებული ტექნოლოგიების ჯგუფი უკვე ხელმისაწვდომი გახდა ამერიკული საოჯახო მეურნეობებისათვის. ის მოიცავს ფიჭურ, მობილურ ტელეფონებს, ვიდეოტექსტს, საოჯახო საბანკო საქმეს, უსაფრთხოების საოჯახო ქსელებს, მონაცემთა ბაზებთან მიმართვის სისტემებს. ინდივიდუალურად ეს ტექნოლოგიები ფართოდ გავრცელებულნი არ არიან. სწორედ მათი კოლექტიური თანაარსებობა ზრდის მათ მნიშვნელობას. ის რაც აფერხებს საშუალო მომხმარებლებს შორის ამ ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას, რათქმაუნდა მათი ღირებულებაა. ამავე დროს მომხმარებელი ნაკლებადაა გათვითცნობიერებული, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული ტექნოლოგიები გამოყენებული და მორგებული იქნას საოჯახო მეურნეობის სოციალურ ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, საოჯახო მეურნეობის, როგორც ინფორმაციული ცენტრის გაგებამ ოჯახში უნდა შემოიტანოს ტექნოლოგიური კავშირები ამ გავრცელებულ პროდუქტებს შორის. მაგალითად, დღეისათვის საშუალო ამერიკელის საოჯახო მეურნეობა აღჭურვილია სხვადასხვაგვარი საოჯახო მოწყობილობებით, რომლებმაც მთელი ამ წლების განმავლობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ოჯახში საქმიანობის მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში. მაცივარს ან მტვერსასრუტს ცალკე აღებულს არა აქვთ ძირითადი გავლენა ოჯახის ცხოვრებაზე. ეს არის ერთობლიობა ისეთი მოწყობილობებისა, რომლებიც შეადგენენ თანამედროვე საოჯახო მეურნეობას.

საოჯახო მეურნეობა შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ინფორმაციული ცენტრი აღჭურვილი გამომთვლელი შესაძლებლობებით, იმისათვის, რომ მივიღოთ ინფორმაცია საოჯახო მეურნეობის შიდა და გარე წყაროებიდან და წარმოებულ იქნეს ფართო სხვადასხვაობა კომპიუტერზე დაფუძნებული საქმიანობებისა.

საოჯახო საინფორმაციო სისტემის სტრატეგიას ახასიათებს არსებითი ხარჯები. გარკვეული დროის შემდეგ, მომხმარებლები მნიშვნელოვან კაპიტალს ჩადებენ საოჯახო მეურნეობის საინფორმაციო ტექნოლოგიებში. ისტორიულად, საოჯახო ტექნოლოგიები გახლდათ ავტონომიური მოწყობილობები (ტელევიზორი, ტელეფონი, მაცივარი და სხვ.) არასდროს არსებობდა მექანიზმი, რათა განხორციელებულიყო სხვადასხვა ტექნოლოგიების ერთდროული მართვა. ინტეგრაციისადმი სწრაფვამ შეიძლება აამაღლოს სირთულის დონე. ეს, კი, შედის

ბევრი იმ საოჯახო მეურნეობის ინტერესებში, რომლებიც სიმარტივეს ეძებთ თავიანთი ტექნოლოგიების მუშაობაში.

ისმის კითხვა: როგორ შეიძლება საოჯახო საინფორმაციო სისტემების სტრატეგიის წარმატებით განხორციელება? თავდაპირველად საჭიროა მოხდეს ბაზრის სეგმენტირება იმის გათვალისწინებით, თუ ვის შეუძლია თავის თავს მისცეს უფლება იქონიოს ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემა. მეორე, მომხმარებლის სწავლება ავტომობილის მართვის შესწავლაზე უფრო რთული არ შეიძლება იყოს თუ, კი, ინტეგრაცია ამოცანის დონეზეა მიღწეული და არა ტექნოლოგიის დონეზე. მესამე, საოჯახო საინფორმაციო სისტემის სტრატეგია დამოკიდებული არ არის ერთადერთ მონოლიტურ მრავალმომხმარებლიან გამომთვლელ მოწყობილობაზე. საოჯახო საინფორმაციო სისტემას ასევე შეუძლია იფუნქციონიროს მრავალგვარ დამოუკიდებელ გამომთვლელ მოწყობილობებთან, რომლებიც სხვადასხვა საჭიროებისათვისაა სპეციალიზებული. მეოთხე, საოჯახო საინფორმაციო სისტემის ბაზისი, მისი საფუძველი შეთავსებადია საოჯახო მეურნეობის ეკოლოგიასთან, რომელიც ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს.

მოკლედ განვიხილოთ საოჯახო მეურნეობის საინფორმაციო მოთხოვნილებები. საოჯახო მეურნეობის მოთხოვნილებები შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვა სერვისების პირობებში. მაგალითად:

- ოჯახში კომერციული სერვისები: მონაცემთა ბაზების სერვისები; ფინანსური სერვისები; ბაზრის (შოპინგის) სერვისები; საოჯახო უსაფრთხოება და მენეჯმენტი; საოჯახო გართობა; მუშაობა ოჯახში.
- ოჯახში საჯარო, საზოგადოებრივი სერვისები: კომპიუტერული ქსელის ინფრასტრუქტურა; ელ-ფოსტა; სიახლეები; ადგილობრივი სიები, გრაფიკები და გაუთვალისწინებელი ინფორმაცია; ოჯახის უსაფრთხოების ქსელი/"კომპიუტერული მოდარაჯე ძაღლი".
- ოჯახში სამთავრობო სერვისები: სამთავრობო ინფორმაციისადმი მიმართვის კომუნიკაცია და მოძიება (დადგენილებები, ბრძანებულებები, ნებართვები . . .); გაუთვალისწინებელი სერვისები; აზრის გამოკითხვა და პოლიტიკური პროცესის გაადვილება.

*ტექნიკური საოჯახო სისტემები*<sup>1</sup> – ოჯახში ტექნიკური სისტემები ხუთ სფეროდ შეიძლება იქნას კლასიფიცირებული: გართობა, ინფორმაცია, კომუნიკაცია, კომფორტი და უსაფრთხოება.

ელექტრონიკასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიაში მომხდარმა უდიდესმა პროგრესმა უზრუნველყვეს ოჯახისათვის ახალი შესაძლებლობების გაჩენა. ახლამათ უკვე ტექნოლოგიის დახმარებით შეუძლიათ გაერთონ, იყვნენ ინფორმირებულნი იმ დონემდე, რომელამდეც არასოდეს ყოფილან.

*გართობა* – ეს სფერო იმთავითვეა აქტუალური, რადგან კომუნიკაციებთან შედარებით, გართობის სისტემები ყველა ოჯახისათვის უფრო სტანდარტული და ტიპიურია. გართობა მოიცავს გართობის ტრადიციულ აუდიო და ვიდეო ფუნქციებს, როგორცაა, ჩანაწერების ან რადიოს მოსმენა, ტელევიზორის ყურება.

*ინფორმაცია* – ინფორმაციული შესაძლებლობები, ფაქტიურად, ოთხივე სფეროს უღვეს საფუძვლად, რადგან მიკროპროცესორის რევოლუციამ შესაძლებელი გახადა პროგრესი სხვა სფეროებშიც. ყველაზე ნათელი დადასტურება ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენისა ოჯახში, ეს არის პერსონალური კომპიუტერი და ინტერნეტი. თუმცა, ამ ტექნოლოგიების თავისებურება ინფორმაციის გადაცემა და მოწოდებაა, მათზე ინფორმაციული ფუნქციის დამატებით ისინი ძირითადი შესაძლებლობის მქონენი შეიძლება გახდნენ გართობისა და კომუნიკაციებისთვისაც. კომპიუტერიზაცია ასევე უზრუნველყოფს მზარდი, მოწინავე კომფორტისა და უსაფრთხოების ფუნქციების არსებობის საფუძველს, რომლებიც ოჯახში მაღალი ტექნოლოგიების არსებობითაა ხელმისაწვდომი.

*კომუნიკაცია* – ოჯახისათვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კომუნიკაციის ძირითად სისტემას ტელეფონი წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ტელეფონი კომუნიკაციისათვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია, ელ-ფოსტა და ინტერნეტი თანამედროვე ოჯახში კომუნიკაციის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქცა.

*კომფორტი* – დღეს ოჯახში უკვე არსებობს მზარდი ინტერესი ისეთი სმარტ სისტემებისადმი, რომლებსაც შეუძლიათ პერიოდული მომსახურებისა და ოპერატიული ამოცანების ავტომატიზაცია, საჭირო დროს სახლის მფლობელთათვის საჭირო ინფორმაციის შეტყობინება. ასევე გაიზარდა ოჯახების მოთხოვნილება შექდონ კომუნიკაცია მაკონტროლებელ სისტემებსა და

<sup>1</sup> [www.kerrybeachtechhomes.com/Systems\\_Areas.htm](http://www.kerrybeachtechhomes.com/Systems_Areas.htm)

მოწყობილობებთან, როგორც სახლში ყოფნისას, ასევე მაშინაც, როდესაც ისინი არდადეგებზე ან ბიზნეს მივლინებებში იმყოფებიან. ამ შესაძლებლობებს, კი, მათ პერსონალური გამომთვლელი ტექნოლოგიები და ინტერნეტი აძლევთ.

*უსაფრთხოება* – ის ფაქტი, რომ უსაფრთხოება ყველაზე ბოლოსაა ნახსენები, სხვა მცნებებთან შედარებით მის ნაკლებ მნიშვნელობაზე როდი მიუთითებს. ბევრი ოჯახისათვის უსაფრთხოებას ისეთივე დიდი ან კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უამრავ სხვა რამეს. სწორედ საკუთარი უსაფრთხოებისა და საერთოდ საზოგადოებაში უსაფრთხოებისადმი უნდობლობამ შეუწყო ხელი ადამიანებს თავიანთი საცხოვრებლები უსაფრთხოების სისტემებით აღეჭურვათ. თუმცა იმისათვის რომ ეს ეფექტური იყოს, საჭიროა მისი ყველა სხვა დანარჩენ სფეროსთან გაერთიანება.

როგორც მსოფლიო ანალიტიკოსების გამოკვლევებიდან ჩანს<sup>1</sup>, დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს, თავისი ყოველდღიური საზრუნეების უმრავლესობა ელექტრონული მოწყობილობების „რკინისებურ მხრებს“ მიანდოს. ავტომატიზაციის იდეამ დიდი ხანია, რაც მომხმარებელთა გონება და ფიქრი მოიცვა. თუ მანამდე მიზანშეწონილად ითვლებოდა ავტომატიზაციის სისტემების მხოლოდ საწარმოებში დაყენება, დღეს, უკვე, ამგვარი სისტემები ყოველდღიურ ცხოვრებაშიც აქტიურად შეიჭრნენ.

ტიპიურია კითხვა, რომელიც ბევრ სკეპტიკოსს ებადება: რატომ ვანდოთ საკუთარი ცხოვრება რაღაც ავტომატიკას (უფრო თანამედროვე ინტერპრეტაციით, კ, – ელექტრონიკას)? თავისთავად ჩნდება პასუხი – კომფორტის უზრუნველსაყოფად. თუ უფრო ღრმად განვიხილავთ, შეიძლება ასევე აღინიშნოს უსაფრთხოების, რესურსების ეკონომიის, გართობისა და რიგი სხვა საკითხები.


საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გაზარდა დასამუშავებელი მონაცემების მოცულობა, როგორც ფირმებსა და სხვადასხვა სახის საწარმოებში, ასევე ოჯახებში. დიდი რაოდენობის მონაცემების დამუშავება კი პერსონალური კომპიუტერის (პკ) გარეშე შეუძლებელია. ამგვარად, დღეისათვის თანამედროვე ოჯახის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პკ-ის გამოყენებასთან. პკ-ს დახმარებით თითოეულ ადამიანს მიუხედავად განათლების ცენზის, პროფესიის, ასაკისა თუ სქესისა შეუძლია იცხოვროს უფრო მეტად რაციონალურად, ეკონომიურად და მოკლედ რომ ვთქვათ, უწინდელზე უკეთესად.

<sup>1</sup> [www.aspect.vyatka.ru/library/ib/ihome/sx/art/255138/cp/1/br/256631/discart/255138.html](http://www.aspect.vyatka.ru/library/ib/ihome/sx/art/255138/cp/1/br/256631/discart/255138.html)

იმისათვის, რომ მოხდეს პკ-ის მომხმარებლის უზრუნველყოფა მაქსიმალურად სრული და დროული ინფორმაციით, მის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად, საჭიროა შეიქმნას საოჯახო საინფორმაციო სისტემა (სსს). სანამ სსს-ის დახასიათებას შევუდგებოდეთ, საჭიროა შევხერდეთ ზოგადად საინფორმაციო სისტემების (სს) კლასიფიკაციასა და დანიშნულებაზე.

სს ეს არის ტექნიკური და პროგრამული საშუალებების, ტექნოლოგიური პროცესებისა და ფუნქციურად განსაზღვრულ მუშაკთა ჯგუფის ორგანიზებული ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციული რესურსების შეკრებას, დამუშავებასა და შენახვას, აგრეთვე ცნობების მოძებნასა და გაცემას მომხმარებლების ინფორმაციულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ორგანიზაციული თვალსაზრისით სს შეიძლება დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდეს ობიექტის შემადგენლობაში დიდი (არაპერსონალური) კომპიუტერის ბაზაზე, სადაც ადგილი ექნება ინფორმაციის ცენტრალიზებულ დამუშავებას. სს შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას აგრეთვე ე.წ. ავტომატიზებული სამუშაო ადგილების ერთობლიობის სახითქსელური ორგანიზაციის პრინციპზე პერსონალური კომპიუტერების გამოყენებით. დასაშვებია აგრეთვე მისი ორგანიზაცია შერეული პრინციპით.

სს იქმნება კონკრეტული ობიექტისათვის. მართვის სისტემა შეიძლება გამოსახულ იქნეს შემდეგი სქემის სახით: (იხ. სქემა №3.1).



სქემა №3.1. მართვის სისტემა და მისი ელემენტები

სს-ს პირდაპირი და უკუ ინფორმაციული კავშირები აქვს სამართავ ობიექტთან და მმართველ აპარატთან. მმართველი აპარატი და საინფორმაციო სისტემა ერთად აღებული სამართავ სისტემას შეადგენს. ნიშანდობლივია ისიც,

რომ გარე სამყაროსთან ინფორმაციული კავშირები მთელ მართვის სისტემას (ობიექტს) მხოლოდ მმართველი აპარატის საშუალებით აქვს.

სს-ების კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად: ავტომატიზაციის დონის (ან ხარისხის) მიხედვით (*ხელის, ავტომატიზებული და ავტომატური*), გამოყენების სფეროსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ორგანიზაციის ტიპის მიხედვით (*სს-ები - სამეცნიერო გამოკვლევებში, ავტომატიზებულ დაპროექტებაში, ორგანიზაციულ მართვაში, ტექნოლოგიური პროცესების მართვაში, განათლების სფეროში, მედიცინაში, ლინგვისტიკაში, მეტეოროლოგიურ სამსახურში, სპორტში*), შესასრულებელი ფუნქციების მიხედვით (*საინფორმაციო-ტექნიკური, საინფორმაციო-სადეპნი, საინფორმაციო-გამოთვლითი, მმართველი, მამოდელორებელი, განაწილებითი, აღმასრულებელი, გეოგრაფიული, ინტელექტუალური, საოჯახო*).

საოჯახო საინფორმაციო სისტემები სრულიად ახალი ტიპის საინფორმაციო სისტემებია და არსებითად ადამიანთა კონკრეტული ოჯახებისა და მათი წევრების შესახებ არსებული სხვადასხვაგვარი ინფორმაციის ოპერატიულ რეგისტრაციას, შენახვას, მოძებნას, დამუშავებასა და სხვა ინფორმაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება.

როდესაც საუბარია სსს-ის შექმნაზე, კრიტიკოსთა მხრიდან ასეთ ბანალურ კითხვასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი: არის თუ არა საჭირო და აუცილებელი სსს-ის შექმნა?

საზღვარგარეთ არა ერთი სტატიაა მიძღვნილი სსს-ების შექმნის აუცილებლობის საკითხისადმი. ერთ-ერთი სტატიის ავტორები მიიხნევენ<sup>1</sup>, რომ სსს-ის სტრატეგია საოჯახო მეურნეობას აფასებს, როგორც სოციალურ ორგანიზაციას, რომელიც ახალ ტექნოლოგიებს ეგუება. ამავე დროს, ის ტექნოლოგიას განიხილავს, როგორც საოჯახო მეურნეობის სოციალურ კონტექსტში ჩაშენებულს. ე.ი. ოპერირებს პრინციპით, რომ ტექნოლოგია ვერ იქნება ეფექტური, თუ სოციალური ორგანიზაცია, რომელშიც ის მუშაობს, საჭირო პირობებით ვერ უზრუნველყოფს მას. სსს-ის სტრატეგია საოჯახო მეურნეობას

---

<sup>1</sup> "Computing Technology for the Home:Product Strategies for Next Generation", Journal of Product Innovation and Management, Dec. 1986, 171-186. Authors: Alladi Venkatesh and Nicholas P. Vitalari [www.crito.uci.edu/NOAH/paper/ComlutTechProdGen.pdf](http://www.crito.uci.edu/NOAH/paper/ComlutTechProdGen.pdf)

განიხილავს, როგორც ელექტრონული ინფორმაციის შეგროვებისა და ტრანზაქციის კონცენტრატორს გარე მონაცემთა ბაზებთან და საკომუნიკაციო ქსელებთან კავშირებით.

ოჯახში საჭირო ინფორმაციის მოცულობა და მრავალფეროვნება საკმაოდ დიდია. ეს უკანასკნელი, კი, განპირობებულია ოჯახის წევრთა პროფესიული განათლებით, მათი ადგილით საზოგადოებაში, მათი ინტერესთა სფეროებით. ოჯახის წევრები საქმიანობის მიხედვით, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება იქნას დაყოფილი: სხვადასხვა სახის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები; მეცნიერ-მუშაკები; საოჯახო ბიზნესის წარმომადგენლები; მოსწავლეები; სტუდენტები; ასპირანტები; პედაგოგები; დიასახლისები; საჯარო სამსახურის მუშაკები; სხვა დანარჩენი მუშა-მოსამსახურეები. ყოველ მათგანს მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინფორმაცია ესაჭიროება. მაგრამ გარდა კონკრეტული, სპეციალიზებული ინფორმაციისა, არსებობს ისეთი სახის ინფორმაციაც, რომელიც ნებისმიერი ოჯახისათვის აუცილებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსს-ის სტრუქტურას ტექნიკური, პროგრამული და ინფორმაციული თვალსაზრისით ოჯახის წევრთა წინაშე მდგარი ამოცანები განსაზღვრავს. მოკლედ განვიხილოთ ისინი:

- ნებისმიერი ოჯახისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საოჯახო მეურნეობის წარმოების თეორია და პრაქტიკა. როგორ დაგეგმოთ საოჯახო ბიუჯეტი, როგორ გაწარმოთ საოჯახო ბუღალტერია?! ზოგჯერ იქმნება იმის შეგრძნება, რომ რამდენი ფულიც არ უნდა გამოვიმუშაოთ, ის მაინც არ არის საკმარისი. ეს ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას. პირველ რიგში, ფული არასოდეს არის საკმაოდ ბევრი, იმ თვალსაზრისით, რომ ყოველთვის არის რაღაც, რაც შეიძლება ვიყიდოთ. მეორე მიზეზი უფრო პროზაულია და მნიშვნელოვანი: ბევრმა უბრალოდ არ იცის, როგორ გაანაწილოს სწორად ფული და კონტროლი გაუწიოს მის ხარჯვას. აღნიშნულის გადაწყვეტა წარმატებით შეიძლება განხორციელდეს სსს-ის დახმარებით.

როგორც აღვნიშნეთ, ხშირად, ოჯახის წინაშე მნიშვნელოვან ამოცანად დგას შემოსავლების და გასავლების დაგეგმვა. დასასვენებლად, ბინის სარემონტოდ, ბავშვის დაბადების დღისა თუ სხვა რიგი ღონისძიებების განსახორციელებლად გარკვეული თანხის გადადება საჭირო, თანაც განსაზღვრული დროისა და თარიღისათვის. ამ პირობის უზრუნველსაყოფად, შემოსავლები და გასავლები კონტროლის ქვეშ უნდა იქნეს მოქცეული. ამგვარად, იკვეთება სსს-ის ერთ-ერთი



მნიშვნელოვანი ფუნქცია: საოჯახო ბუღალტერიის წარმოება. უკვე არსებობს მრავალი საზღვარგარეთული პროგრამა, რომლებიც უშუალოდ საოჯახო ბუღალტერიის საწარმოებლადაა განკუთვნილი. ასეთებია, მაგ: "Home bookkeeping", "Money Discoverer", "мои деньги", "K2 Финансы" . . . როგორც გამოცდილება გვიჩვენებს<sup>1</sup>, ამგვარი პროგრამების შექმნა ხდება არა მხოლოდ საოჯახო მიზნებით გამოყენებისათვის, მათ სიამოვნებით იყენებენ აგრეთვე მცირე ბიზნესის სფეროში დაკავებული მეწარმეებიც, რადგანაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ აწარმოონ ფინანსების აღრიცხვა, გაანალიზონ და დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა. ამგვარად, ამ სახის პროგრამები მეტად აქტუალურია საოჯახო ბიზნესის საწარმოებლადაც. მიუხედავად ასეთი პროგრამების მრავალფეროვნებისა და რიგი დადებითი მხარეებისა, საჭიროა მათი შესაძლებლობებისა და ამასთან, მოცემული ქვეყნის როგორც საგადასახადო კანონმდებლობაში, ასევე საოჯახო მეურნეობის წარმოებაში არსებული თავისებურებებისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით შემუშავებულ იქნეს საკუთარი, ეროვნული, ჩვენს შემთხვევაში ქართული, საოჯახო ბუღალტერიის წარმოების პროგრამა, რომელიც განხილულ იქნება სსს-ის კონტექსტში;

- სსს საჭიროების შემთხვევაში თავის მომხმარებელს უნდა ეხმარებოდეს საგადასახადო დეკლარაციების მომზადებაში, თანამდებობის პირებს - შესაბამისი საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების, ხოლო საჯარო მოსამსახურეებს - მათი და მათი ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შედგენასა და მათი ელექტრონული სახით შესაბამის ორგანოებში წარდგენის პროცესში. ყოველივე აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კი უნდა შეიქმნას შესაბამისი საინფორმაციო ქვესისტემა; *(საქართველოში 2006 წლისათვის 360.3 ათასი საჯარო მოხელე ვიქსირდება, სახელმწიფო მმართველობაში დასაქმებულთა რიცხვი 4.5 ათასს შეადგენს, თანამდებობაზე კი ირიცხებოდა 2.4 ათასი პიროვნება.)*

- ნებისმიერი ოჯახისათვის მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკის არსებობა სასურველი მოვლენაა. იმისათვის, რომ გამარტივდეს საჭირო წიგნის სხვადასხვა კრიტერიუმით (თემატიკა, ავტორი, დასახელება, გამოცემის თარიღი თუ სხვ) მოძიების პროცესი და მოხდეს არსებული მოთხოვნის სრული და დროული

<sup>1</sup> [www.dtpress.ru/mp/2000/06/15.htm](http://www.dtpress.ru/mp/2000/06/15.htm)

<sup>2</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2007. თბილისი. 2008 წელი.

დაკმაყოფილება, რაც, ამავე დროს, საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთ გლობალურ მიზანს წარმოადგენს, უნდა შეიქმნას საოჯახო ბიბლიოთეკის ფუნქციონალური ქვესისტემა;

- ოჯახის ახლობლების, მეგობრების, ნათესავებისა და ბიზნესის წარმოების შემთხვევაში სხვადასხვა მომწოდებელთა, კონტრაქტორთა თუ ბიზნეს პარტნიორთა შესახებ ოპერატიული, სრულყოფილი, ზუსტი ინფორმაციის მიღებისათვის საჭიროა, ასევე, შესაბამისი საინფორმაციო ქვესისტემის არსებობა; *(საქართველოს<sup>1</sup> საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიან სახელმწიფო რეგისტრში 2006 წლისათვის რეგისტრირებულია 52000 კომერციული იურიდიული პირი).*

- წარმოუდგენელია ოჯახი კულინარიასთან დაკავშირებული საკითხების გარეშე. უამრავი კულინარული რეცეპტები არსებობს, ადამიანთა გემოვნებაც მრავალფეროვნებით ხასიათდება და იმისათვის, რომ გემრიელი, სასარგებლო და ამასთან ნებისმიერი გემოვნების დამაკმაყოფილებელი სხვადასხვა კულინარული პროდუქტი მომზადდეს, საჭიროა ზუსტად, სწორად და ამავე დროს ოპერატიულად იქნეს შერჩეული ესა თუ ის კულინარული რეცეპტი. ამისათვის სსს-ში აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევა კულინარიის რეცეპტების საინფორმაციო ქვესისტემის არსებობა;

- აუცილებელია ოჯახის ყოველმა წევრმა აკონტროლოს და თვალყური ადევნოს თავის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ეს პროცესი, კი, თავის მხრივ მჭიდროდაა დაკავშირებული განვლილი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე არსებულ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. აღნიშნული ინფორმაციის არსებობისათვის საჭიროა ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ისტორიის წარმოება. ოჯახის წევრების რიცხვი საშუალოდ 4<sup>2</sup> სულს შეადგენს, ცხოვრება ხანგრძლივია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები კი მრავალფეროვანი. გაცილებით უფრო მოსახერხებელია ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ისტორიის წარმოება პკ-ის გამოყენებით, ანუ შესაბამისი საინფორმაციო ქვესისტემის შექმნა;

- ოჯახის თითოეულ წევრს, განსაკუთრებით, კი, სხვადასხვა სახის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, თუ საჯარო სამსახურის მუშაკებს ესაჭიროებათ ინფორმაცია ჩასატარებელი ღონისძიებების, დაგეგმილი

<sup>1</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2007. თბილისი. 2008 წელი.

<sup>2</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შინამეურნეობების გამოკვლევისა და ცხოვრების დონის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით.

შეხვედრების, თათბირების, მივლინებების შესახებ, უმჯობესია მათი წინასწარ დაგეგმვა სს-ს გამოყენებით განხორციელდეს, რადგან სსს-ს შესაძლებლობა აქვს შესაბამის დროს მოახდინოს შესვენება ამა თუ იმ წინასწარ დაგეგმილი მოვლენის შესახებ. ამ მიზნით, სსს-ში დამატებით ჩართული უნდა იყოს ისეთი პროგრამული პროდუქტები, როგორცაა ელექტრონული კალენდარი, ელექტრონული უბის წიგნაკი და სხვ;

▪ ოჯახის თითოეული წევრისათვის საერთაშორისო გლობალური ქსელის Internet-ის მნიშვნელობა განუზომლად იზრდება. ნებისმიერი პროფესორ-მასწავლებლისათვის (2006/2007<sup>1</sup> წლისათვის საქართველოში მათი რაოდენობა შეადგენდა 15223-ს), პედაგოგის (2006/2007<sup>2</sup> წლისათვის საქართველოში მათი რაოდენობა შეადგენდა 69718-ს), მოსწავლის (2006/2007<sup>3</sup> წლისათვის საქართველოში მათი რაოდენობა შეადგენდა 672200-ს), სტუდენტისათვის (2006/2007<sup>4</sup> წლისათვის საქართველოში მათი რაოდენობა შეადგენდა 140900-ს) აუცილებელია სწავლასა თუ კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული პროფესიული სახის ინფორმაციის მოძიება. ბიზნესმენებს შესაძლებლობა ეძლევათ აწარმოონ ელექტრონული კომერცია. Internet-ი ოჯახის თითოეულ წევრს აძლევს საშუალებას, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. ინფორმაციის თემა შეიძლება იყოს: გართობა, ახალი პროგრამული უზრუნველყოფა, კომპიუტერული თამაშები, ვიდეო, შოუ-ბიზნესის, ეკონომიკისა და პოლიტიკის სიახლეები, ონლაინური პრესა, სპორტი, საქონლისა და მომსახურების მწარმოებლების სია, პოპულარული მეცნიერება, მედიცინა, სამუშაოს ძიება და სხვ. ამის გამო, სსს-ს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გასასვლელი Internet-თან.

▪ სსს-ის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია აგრეთვე, ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სისტემა – "კლიენტი-ბანკი", რომელიც საშუალებას მისცემს ოჯახის თითოეულ წევრს სახლიდან გაუსვლელად აწარმოოს საბანკო საქმიანობა, შეასრულოს საბანკო ტრანზაქციები და თვალყური ადევნოს ბანკში მის ანგარიშზე წარმოებულ ოპერაციებს. (საბანკო სექტორი ერთ-ერთი საკმაოდ

<sup>1</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2007. თბილისი. 2008 წელი.

<sup>2</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2007. თბილისი. 2008 წელი.

<sup>3</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2007. თბილისი. 2008 წელი.

<sup>4</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2007. თბილისი. 2008 წელი.

*მზარდი სეგმენტია. 2006 წლისათვის<sup>1</sup> საქართველოში რეგისტრირებულია სულ 17 კომერციული ბანკი და 122 ბანკის ფილიალი);*

▪ სსს-ის ერთ-ერთი დანიშნულებაა, მისი დახმარებით ოჯახის ყოველი წევრი სახლიდან გაუსვლელად ეზიაროს განათლების მიღების ახალ, პროგრესულ სახეს – დისტანციულ სწავლებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა საშუალებას კრიტიკოსთა მხრიდან დასმულ ბანალურ კითხვას, ბანალური პასუხივე გაეცეს: დიას და მოკლედ დაგასკვნათ, თანამედროვე ოჯახის რაციონალური ფუნქციონირება XXI საუკუნეში სსს-ის გარეშე წარმოუდგენელია.


სსს-ში ერთიანდება ოჯახის თითოეული წევრის ავტომატიზებული სამუშაო ადგილი (ასა). ოჯახში ერთი პკ-ის ფუნქციონირების შემთხვევაში, ასა ჯგუფური დანიშნულებისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ პკ-თან მორიგეობით იმუშავენ ოჯახის თითოეული წევრი და მოახდენს თავისი ამოცანების გადაწყვეტას, შესაძლებელია თითოეულისათვის დადგინდეს შეღწევის უფლებები კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. მომავალში შესაძლებელია შეიქმნას ოჯახის ლოკალური გამოთვლითი ქსელი, რომელშიც გაერთიანებული იქნება მინიმუმ ორი პკ. (მაგ., აშშ-ს ოჯახების გარკვეულ ნაწილს უკვე გააჩნიათ ოჯახში ორი პკ.)

**საოჯახო საინფორმაციო სისტემა** შემუშავებულ იქნა პერსონალურ კომპიუტერზე, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Access-ის გამოყენებით. სისტემა მუშაობს დიალოგურ რეჟიმში. შექმნილია მომხმარებლისათვის საკმაოდ მოქნილი ინტერფეისი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, სისტემით ისარგებლოს პროგრამული უზრუნველყოფის არმცოდნე, არაპროფესიონალმა მომხმარებელმა. სისტემა ოთხი ქვესისტემისაგან შედგება:

- ოჯახის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების საინფორმაციო ქვესისტემა;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარსადგენი საფინანსო დეკლარაციების შედგენის საინფორმაციო ქვესისტემა;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარსადგენი ქონებრივი დეკლარაციების შედგენის საინფორმაციო ქვესისტემა;

<sup>1</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2007. თბილისი. 2008 წელი.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში წარსადგენი საჯარო მოსამსახურისა (პრეტენდენტის) და მისი ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შედგენის საინფორმაციო ქვესისტემა.



საოჯახო საინფორმაციო სისტემის დიალოგური ფორმა მენიუ

- ოჯახის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების საინფორმაციო ქვესისტემის შექმნის აუცილებლობა ოჯახში საოჯახო მეურნეობის გაძღვლასთან დაკავშირებით დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობამ და ბაზარზე არსებული შესაბამისი საინფორმაციო სისტემების ანალიზმა განაპირობა. შემოთავაზებული ქვესისტემა გამოსადეგია ყოველი ოჯახისათვის და რეალიზებულია ოჯახის მაგალითზე. სისტემის პრაქტიკული გამოყენება ყოველ ოჯახში საგრძნობლად გაუმჯობესებს

საოჯახო მურნეობის გაძღოლის მექანიზმს, დღის წესრიგიდან მოხსნის ფინანსური საშუალებების განაწილების, ხარჯვის პროცესის ქალაქით კონტროლის საკითხებს. ოჯახს შესაძლებლობას მისცემს, ეფექტურად დაგეგმოს ბიუჯეტი, გაანაწილოს იგი ხარჯვის ცალკეული მუხლების მიხედვით, აკონტროლოს ფულადი სახსრების ხარჯვის პროცესი, რაციონალურად გამოიყენოს ფინანსური რესურსები, აკონტროლოს დებიტორული თუ კრედიტორული დავალიანებების გადახდის გრაფიკი, ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია ოჯახის შემოსავლების, ხარჯებისა და არსებული რესურსისა თუ დავალიანების შესახებ.

საოჯახო ბიუჯეტის შედგენისა და კონტროლის რამდენიმე საშუალება არსებობს.

საშუალება I – ტრადიციული. ხდება რვეულის წარმოება, რომელშიც შეიტანება ყოველდღიური შემოსავლები და გასაღვლები. თუმცა ეს საშუალება ძალიან მარტივი და ადვილად ხელმისაწვდომია, მაგრამ ის არასაიმედოა და ნაკლებმოსახერხებელი. შედეგების გამოტანა ხელით ხდება. შეჯამების, მონაცემების დაჯგუფებისა და ანალიზის დროს კი დიდია შეცდომის რისკი;

საშუალება II – კომპიუტერიზებული. ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტა ელექტრონული ცხრილი, მაგალითად MS Excel. აქ, უკვე წარმოიქმნება უფრო „წვრილმანი“ პრობლემები, თუმცა დათვლას პროგრამა თავად მოახდენს. საჭიროა სწორად დაფორმირდეს ცხრილი, რათა მისი გამოყენებით მიღებულ იქნას შედეგი. მაგალითად, პრობლემის გადაწყვეტად მიიჩნევა ცხრილის შექმნა შემდეგი სვეტებით: „თარიღი“, „მიზანი“, „შემოსავალი“, „გასაღვალი“. მისი მეშვეობით შეიძლება დავითვალოთ შედეგები დღის ან თვის განმავლობაში, თუმცა ამით როდითააგრდება მარტივი გადაწყვეტილებანი. რა ვქნათ, როდესაც ისეთი სახის კითხვები იჩენს თავს, როგორცაა, მაგალითად: როგორ დაფიქსირდეს დოლარების შესყიდვის ოპერაცია, რომ არ მოიმატოს შემოსავლებმა და გასაღვლებმა? როგორ განისაზღვროს, თუ რამდენი თანხა მიღის პროდუქტებზე, რამდენი – ბავშვზე? ყველა ეს საკითხი გადაწყვეტადია, ყურადღება უნდა გავამახვილოთ MS Excel–ის იმ შესაძლებლობებზე, რომელთაც ნაკლებად იცნობს მომხმარებელთა უმრავლესობა. გამოცდილი, მცოდნე მომხმარებელი ამოცანას იოლად გაართმევს თავს, თუმცა ამისათვის დიდი დროის დახარჯვა მოუწევს;

საშუალება III – კომპიუტერიზებული, პროფესიონალური რა თქმა უნდა, საოჯახო ფინანსების აღრიცხვისას, შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა კომპიუტერული

პროგრამა, მაგალითად, „დეკარტ 98“ („Декарт 98“) *შემქმნელი* - კომპანია „არსენალი“, „საფულე 1.2.“ („Кошелёк 1.2.“) *შემქმნელი* - სერგეი და ელენა ტუნიკები. „2 ფინანსები“ („K2 Финансы“) *შემქმნელი* - So/Use Company, „CashFly 1.5“ *შემქმნელი* – Solsoft, ან სხვა პროდუქტი. თუმცა, აჩქარება არ ღირს. ლურსმნის დასაჭედებლად მიკროსკოპის გამოყენება არც ისე საუკეთესო გამოსავალია. პირველ რიგში, პროფესიონალური პროგრამები საკმაოდ ძვირია, ამასთან, ხშირად რთულიც დაყენებისა და გამართვის მხრივ. ამასთან, ძალზე მარტივი ოპერაციების, როგორცაა „ნაყიდი რძე და თვითმფრინავის ბილეთი“ შეტანისას მოგვიწევს შემოვიღოთ ბუღალტრული ანგარიშების სისტემა და ამა თუ იმ სახით ვაწარმოთ გატარებები, ე. ი. ანგარიშიდან ანგარიშზე თანხის გადატანის ოპერაციები. ეს ძალიან არაეკონომიურია. მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი, აღნიშნული პროგრამის ანგარიშგებები არ პასუხობენ ძირითად კითხვებს: „სად მიდის ფული“ და „რამდენი ფული იქნება ხვალ“.

საშუალება IV – კომპიუტერიზებული სპეციალიზებული პროგრამები, რომლებიც უშუალოდაა განკუთვნილი საოჯახო ფინანსების საწარმოებლად. იყენებენ ძალიან მარტივ ტერმინებს, კომპაქტურნი და მოსახერხებელნი არიან, მათში ადვილია ფულთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო ოპერაციების შეტანა, ხოლო ანგარიშგებები სწორედ ზემოაღნიშნულ საჭირობოტო საკითხებს პასუხობენ. მომხმარებელმა რომ მისით ისარგებლოს, სრულიადაც არ არის საჭირო ფლობდეს უმაღლეს ეკონომიკურ განათლებას – საკმარისია არითმერიკა და ცოტა ჯანსაღი აზრი. ფულის სრულფასოვანი აღრიცხვისათვის იდეალური საოჯახო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების საინფორმაციო პროგრამას შემდეგი შესაძლებლობები უნდა გააჩნდეს:

- საბაზისო შესაძლებლობები. პირველ რიგში, მომხმარებელი იწერს შემოსავალსა და გასავალს და ანაწილებს მათ კატეგორიების მიხედვით, ხოლო პროგრამა გამოითვლის საშედეგო ჯამებს და გამოაქვს სხვადასხვაგვარი ანგარიშგებები, რომლებიც თვალსაჩინო ფორმით ასახავენ ოჯახში ხარჯებისა და შემოსავლების სტრუქტურას. რადგან აღრიცხვაში დანახარჯების დაჯგუფება საკვანძო მომენტად ითვლება, სწორედ მისი რეალიზაციის თავისებურებებზეა დამოკიდებული პროგრამის გამოყენების მოხერხებულობა და ეფექტურობა. დანახარჯების სახეობათა მრავალდონიანი კლასიფიკაცია ("პროდუქტები"- "ხორცეულობა"- "მეხვეულობა") ხშირად ართულებს,

- მონაცემების შეტანასა და ანალიზს, მრავალასპექტური კლასიფიკაცია, კი შეიძლება სასარგებლოც აღმოჩნდეს. მაგალითად, მოსახერხებელია საკუთარი გასაველების ჯგუფებად ("საკვები", "ტანსაცმელი", "მომსახურება" . . .) და კონტრაგენტებად (გადასახადების მიმღებები) დაყოფა;
- მრავალვალუტიანი აღრიცხვა. ამ ფუნქციის არ არსებობა გამოუსადეგარს ხდის ბევრ საზღვარგარეთულ პროგრამას პირადი ფინანსების აღრიცხვისათვის. თითქმის ყველა ოჯახი ამა თუ იმ ინტენსიურობით იყენებს ამერიკულ, გერმანულ თუ სხვა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომ, აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს სულ მცირე ორვალუტიანი აღრიცხვა. მონაცემები სხვადასხვა ვალუტის მიხედვით საჭიროა, აღრიცხულ და გამოთვლილ იქნას ცალ-ცალკე;
  - შემოსავლებისა და გასაველების დაგეგმვა. წესით საოჯახო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების ელექტრონულმა საინფორმაციო პროგრამამ უნდა გააკეთოს პროგნოზი – ეყოფა თუ არა მომხმარებელს ფული მისი შემოსავლებისა და გასაველების მიმდინარე ინტენსივობიდ ფონზე, ასევე მომავლისათვის დაგეგმილი ხარჯის გათვალისწინებით. მინიმალური რეალიზაცია მოიცავს განსაზღვრული შემოსავლებისა და გასაველების წინასწარ შეტანას, მათ გადასინჯვას, გადახედვასა და გააქტიურებას, ე.ი. მათ გადატანას დაგეგმილიდან განხორციელებულში;
  - ვალუტის აღრიცხვა. ფული, რომელიც აღებულია ან გაცემული ვალში, პროგრამაში განცალკევებით უნდა იქნას აღრიცხული. ასევე აუცილებელია ვალის დაფარვის ვადის შეხსენების და გადახდის გრაფიკის არსებობაც;
  - სააღრიცხვო ფუნქციები. აქ ჩვეულებრივ, მოქმედებს პრინციპი „რაც უფრო მეტია, მით უკეთესია“. ყველა ზემოთჩამოთვლილი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება აიგოს ათეულობით ანგარიშგება, რომელთაგან მიღებული ინფორმაცია სასარგებლო იქნება, რათა შეფასდეს საკუთარი ფინანსური სტაბილურობა, შემოსავლებისა და გასაველების სტრუქტურა, მათი დაგეგმვა, გარდა შიდა ანგარიშგებებისა;
  - საიმედოობა და უსაფრთხოება. მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები არ უნდა დაიკარგოს ელექტროკვების გამორთვის გამო, ასევე დაუშვებელია, ფინანსური მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს გარეშე პირთათვის, ამიტომ პროგრამაში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მონაცემების სარეზერვო კოპირება და ჩანაწერებთან მიმართვის კოდური გზით დაცვა;



როგორც აღენიშნეთ, ოჯახის წინაშე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დგას შემოსავლებისა და გასავლების დაგეგმვა და მათი შესრულების კონტროლი. ოჯახის შემოსავლები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება იქნეს დაყოფილი: ხელფასი, პრემია, პენსია, სტიპენდია, დახმარება, შემოსავლები საოჯახო მეურნეობიდან, საკველმოქმედო შენატანი, უცხოეთიდან მიღებული გზავნილები, სესხი, დანაზოვის გამოყენება და სხვ.

2007 წლის III კვარტლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფულადი სახის შემოსავლებში ყველაზე მეტი პროცენტული წილი დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავალს - ხელფასს უჭირავს, რაც მთლიანი ფულადი შემოსავლის 39%-ია. სიდიდით მეორე წყაროს ფულადი გზავნილები წარმოადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიზარდა, წინა კვარტალთან შედარებით კი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა (14.3%). თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავლის წილმა, წინა კვარტალთან შედარებით მეოთხედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა და 12.5% შეადგინა. პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები მეოთხე ადგილზე განთავსდა. მათი წილი შინამეურნეობათა თვიურ ფულად შემოსავლებში 11.7% იყო, რაც კვარტალურ შემცირებასა და წლიურ ზრდას ასახავს. შემცირდა ფულის სესხებით, დანაზოგების გამოყენებით და ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავლის მნიშვნელობა. რომელმაც 11.4%-იანი წილით მესამედან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ეს მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით უმნიშვნელოდ, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა. სიდიდით კვლავ მეექვსე იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, რომელმაც შინამეურნეობათა მთლიანი ფულადი შემოსავლების 7.3% შეადგინა. წინა კვარტალთან შედარებით იგი გაიზარდა, ხოლო წინა წელთან შედარებით კი შემცირდა. შინამეურნეობათა შემოსავლის სიდიდით ბოლო, მეშვიდე წყარო ისევ ქონების განკარგვიდან მიღებული შემოსავალი იყო, რომელზედაც შინამეურნეობათა მთლიანი ფულადი შემოსავლების 1% მოდიოდა, რაც წლიურ ზრდასა და უმნიშვნელო კვარტალურ შემცირებას ასახავდა.

რაც შეეხება ხარჯებს, ისინი საკმაოდ და გაცილებით ბევრია. მაგრამ მათ შორის უპირველესად აღსაღნიშნავია სასიცოცხლოდ აუცილებელი ხარჯები, როგორებიცაა კვებაზე, კომუნალურ მომსახურებაზე, ტრანსპორტზე, სამედიცინო მომსახურებაზე, რომელთა რაციონალურად არ განაწილების შემთხვევაში

ადამიანი შესაძლოა სერიოზული საფრთხის წინაშეც კი დადგეს. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამომხმარებლო ხარჯების წილი 2007 წლის III კვარტლის მდგომარეობით შინამეურნეობათა თვიური ფულადი ხარჯების 91.9% შეადგენდა, რაც მეტია როგორც წინა კვარტალთან, ისე წინა წელთან შედარებით. სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებშიც და მთლიან ფულად ხარჯებშიც ყველაზე დიდი წილი საკვებზე, სასმელსა და თამბაქოზე დანახარჯებს ეკავა, რომლებმაც მთლიანად შინამეურნეობათა ფულადი ხარჯების 46.6% შეადგინეს. ხარჯების სიდიდით მეორე კატეგორია ტრანსპორტზე დანახარჯები იყო, რომლებმაც საანალიზო პერიოდში მეოთხედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა და გაიზარდა როგორც კვარტალურ, ისე წლიურ გამოსახულებაში (10.1%). ელექტროენერჯისა და გათბობის ხარჯები, აგრეთვე "სხვა სამომხმარებლო ხარჯები"-ს კატეგორია თითოეული 9.2%-ს შეადგენდა. მათ მესამე-მეოთხე ადგილები თანაბრად გადაინაწილეს. აღსაღნიშნავია, რომ ხარჯები ელექტროენერჯისა და გათბობაზე გაიზარდა წლიურ და შემცირდა კვარტალურ გამოსახულებაში, ხოლო სხვა სამომხმარებლო ხარჯები გაიზარდა როგორც წლიურ, ისე კვარტალურ ჭრილში. მეხუთე ადგილი დანახარჯებსა და ქონების შესყიდვაზე გაწეულ ხარჯებზე მოდილოდა, რომლებიც წლიურ გამოსახულებაში გაიზარდა, ხოლო კვარტალურში – შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურ გამოსახულებაში ოჯახები ჯანდაცვაზე ნაკლებს ხარჯავდნენ, ხარჯების ამ კატეგორიის წილი სიდიდით კვლავ მეექვსე იყო. მისმა წილმა 6.9% შეადგინა, რაც ნაკლებია როგორც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან, ისე კვარტალთან შედარებით. ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე დანახარჯები შინამეურნეობათა მთლიან ფულად ხარჯებში კვლავ მეშვიდე ადგილზე იყო. მათი წილი ოდნავ შემცირდა წლიურ ხარჯებში, მაგრამ წინა პერიოდის მსგავსად, კვლავ 4% შეადგინა. ერთი მხრივ, ხარჯებმა საოჯახო მოხმარების საქონელზე, და მეორეს მხრივ, ხარჯებმა განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე, წინა კვარტალთან შედარებით, ადგილები გაცვლეს. ამჯერად, საოჯახო მოხმარების საქონელი მერვე ადგილზე იყო, ხოლო განათლება, კულტურა და დასვენება – მეცხრეზე. ხარჯებმა საოჯახო მოხმარების საქონელზე 3.7% შეადგინა, რაც წლიური და კვარტალური ზრდის მაჩვენებელია. ხარჯები განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე 2.2% იყო, რაც წინა კვარტალთან შედარებით ნაკლებია, თუმცა ოდნავ მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

შემოსავლების რაციონალურად განაწილებისათვის აუცილებელია შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმალური მართვა და კონტროლი. ამგვარად, იკვეთება სსს-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია: საოჯახო ბიუჯეტის დაგეგმვა და კონტროლი.

**საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების შედგენის საინფორმაციო ქვესისტემები** – ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების გზაზე მეტად მნიშვნელოვანია ელექტრონული მთავრობის ფორმირების პროცესი, იმისათვის, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს, როგორც მოხელეს, ბიზნესმენსა თუ უბრალოდ მოქალაქეს ჰქონდეს მჭიდრო კავშირურთიერთობები სახელმწიფოს თითოეულ ადმინისტრაციულ რგოლთან. ელექტრონული მთავრობა – ეს არის ინფორმაციული და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება სახელმწიფო ორგანოების, მოქალაქეებისა და სამეურნეო სუბიექტების მიერ სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე.

მსოფლიო ბანკის<sup>1</sup> განმარტებით, “ელექტრონული მთავრობის” ცნება შეეხება სამთავრობო დაწესებულებების მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების (როგორებიცაა WWW, მობილური ელექტრონული კავშირი) გამოყენებას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მოქალაქეებთან, სხვა სამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთდამოკიდებულების გარდაქმნა.

ევროკავშირის განმარტებით<sup>2</sup> - ელექტრონული მთავრობა ეს არის სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც გაერთიანებულია ორგანიზაციულ ცვლილებებთან და ახალ უნარებთან და რომლის მიზანია სახელმწიფო მომსახურებისა და დემოკრატიული პროცესების სრულყოფის, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერის განმტკიცება.

მიუხედავად განმარტებების სხვადასხვაობისა, ელექტრონული მთავრობის მიზანია ხელი შეუწყოს ახალი ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესს და უზრუნველყოს ხელისუფლების მეტად ეფექტური, ოპერატიული, გულისხმიერი და გამჭვირვალე საქმიანობა.

ელექტრონული მთავრობის კონცეფციის ფარგლებში საკმაოდ მნიშვნელოვანია მისი ერთ-ერთი შემადგენელი სექტორის, როგორიცაა მთავრობა-მოხელე (G2E) ჭრილში განხილულ იქნეს დეკლარაციების ელექტრონული

<sup>1</sup> <http://www.ach.gov.ru/in/material/m04-02.pdf>

<sup>2</sup> <http://www.ach.gov.ru/in/material/m04-02.pdf>

ვერსიების შედგენისა და მათი ელექტრონული სახით შესაბამის ორგანოებში წარდგენის საკითხი. ამას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მთავრობის 2008-2012 წლების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ერთიანი სამთავრობო ელექტრონული ქსელის შექმნა, რაც ითვალისწინებს ელექტრონული დოკუმენტების გამოყენების დანერგვას როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. ამგვარად, გამოიკვეთა საოჯახო საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, საჯარო მოხელისათვის ელექტრონული სახით დეკლარაციების შევსებაში ხელშეწყობა და შესაბამის მონაცემთა ელექტრონული არქივის არსებობა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით<sup>1</sup> საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა შეადგენს 3216.3 ათასს, მ.შ. ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის რიცხვი 2021.8 ათასია, კერძოდ: დასაქმებულია 1747.3 ათასი, აქედან დაქირავებით 603.9 ათასი, თვითდასაქმებულია 1141.6 ათასი, დასაქმებულთა რიცხვი მთლიანის 86.4%-ს შეადგენს. ეკონომიკაში დასაქმებული 1747.3 ათასიდან 360.3 ათასი სახელმწიფო სექტორზე მოდის, რაც მთლიანის 20.6%-ს შეადგენს. “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1 ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურში შესვლისას, აგრეთვე შემდგომ ყოველწლიურად, მოსამსახურე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს წარუდგენს თავისი და ოჯახის წევრების შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ ცნობას-დეკლარაციას, *(დეკლარაციის ფორმები დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 8 დეკემბრის №684 ბრძანებულებით.)* ამგვარად, სახელმწიფო სექტორში დასაქმებული 360.3 ათასი საჯარო მოსამსახურე ვალდებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურის – საგადასახადო დეპარტამენტის წინაშე დეკლარაციების შედგენის თვალსაზრისით. “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, პირი არ შეიძლება გამწესდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 30 მარტის №91 ბრძანებით განსაზღვრულ თანამდებობაზე თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროსათვის ქონებრივი დეკლარაციის წარდგენამდე. *(დეკლარაციის ფორმები დამტკიცებულია*

<sup>1</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2007. თბილისი. 2008 წელი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 5 ივლისის №797 ბრძანებით.) (2007 წლის მონაცემებით<sup>1</sup>, თანამდებობაზე გასამწესებელ პირთა რაოდენობა შეადგენდა 747-ს, რაც 2006 წელთან შედარებით 45-ით მეტია). ამავე მუხლის მე-2 მუხლის თანახმად, თანამდებობის პირი ვალდებულია თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ყოველი წლის პირველიდან 30 აპრილამდე შეავსოს და წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები, (2007 წლის მონაცემებით<sup>2</sup>, თანამდებობაზე მყოფთა რიცხვმა შეადგინა 1749, რაც გასულ წელთან შედარებით 94-ით მეტია), ხოლო მე-3 მუხლის თანახმად, თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში პირველიდან 30 აპრილამდე შეავსოს და წარადგინოს დეკლარაციები. (2007 წლის მონაცემებით<sup>3</sup>, თანამდებობიდან განთავისუფლებულთა რიცხვმა 524 შეადგინა, რაც ასევე აღემატება გასული წლის მაჩვენებელს 88-ით) მე-20 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, დეკლარაციის წარუდგენლობა თანამდებობის პირს აკისრებს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას. (2007 წელს დაფიქსირდა დეკლარაციის წარუდგენლობის 121 ფაქტი, რაც 68-ით ნაკლებია 2006 წელთან შედარებით). ყოველ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში თითოეული პირი ანგარიშვალდებულია თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს წინაშე დეკლარაციების შევსების თვალსაზრისით.

სწორედ მათთვის, საოჯახო საინფორმაციო სისტემის ფარგლებში შეიქმნა საინფორმაციო ქვესისტემა, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია დეკლარაციების შედგენა როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში, ასევე თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარსადგენად. შეიქმნა მომხმარებლისათვის დიალოგური ინტერფეისი ძირითადი მენიუსა და ქვემენიუების სახით, რომლითაც შესაძლებელია, რომ ისარგებლოს პკ-ის პროგრამული უზრუნველყოფის პროფესიულ დონეზე არმცოდნე როგორც საჯარო მოხელემ, ასევე თანამდებობის პირმა მომხმარებელმა და ეხმარება მას: შეადგინოს დეკლარაციები, წარადგინოს ელექტრონული სახით შესაბამის ორგანოებში და ასევე მიიღოს ამობეჭდილი, მანქანოგრაფის სახით, მოახდინოს მონაცემების ექსპორტი სასურველ ფორმატში, აწარმოოს დეკლარაციების შესაბამისი

<sup>1</sup> [www.declaration.telenet.ge](http://www.declaration.telenet.ge)


<sup>2</sup> [www.declaration.telenet.ge](http://www.declaration.telenet.ge)

<sup>3</sup> [www.declaration.telenet.ge](http://www.declaration.telenet.ge)

ელექტრონული არქივი, ფორმებში ინფორმაციის განმეორების შემთხვევაში თავიდან აიცილოს მათი ხელმეორედ შეტანის საკითხი, რასაც თავად სისტემა უზრუნველყოფს.

საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების ცალკეული ფორმების შევსებისას აუცილებელია საჯარო მოსამსახურე ფლობდეს ინფორმაციას საარსებო მინიმუმის (საარსებო მინიმუმი სიღარიბის აბსოლუტური ზღვარია<sup>1</sup>. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებში საარსებო მინიმუმად მიჩნეულია შრომისუნარიანი ასაკის (15-დან 65 წლამდე) მამაკაცის საარსებო მინიმუმი) ოდენობის შესახებ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე<sup>2</sup> დაყრდნობით 2000-2005 წლების მიხედვით შრომისუნარიანი მამაკაცის მინიმალური საარსებო მინიმუმი ლარებში გრაფიკულად შეიძლება გამოსახულ იქნეს შემდეგი სახით: (იხ. დიაგრამა №3.1).


საარსებო მინიმუმის დინამიკა 2000-2005 წლებში



შეიძლება დავასკვნათ, რომ საოჯახო საინფორმაციო სისტემა ღია სისტემაა. ის უზრუნველყოფს ოჯახის, როგორც საზოგადოების სტრუქტურული ერთეულის უწყვეტ კავშირს გარე სამყაროსთან. სისტემის სტრუქტურა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით: (იხ. სქემა №3.2).


<sup>1</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. "საქართველოს სტატისტიკური წელიწადი", თბილისი, 2005. გვ. 74.

<sup>2</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. "საქართველოს შინამეურნეობები 2003-2004". თბილისი 2005. თავი VIII.



სქემა №3.2. საოჯახო საინფორმაციო სისტემის ზოგადი სტრუქტურა

სს-ის ფუნქციური კომპონენტები ეს არის ორგანიზაციული მართვის ფუნქციათა ერთობლიობა (კომპლექსი), რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია დროსა და სივრცეში მართვის ობიექტის წინაშე დასახული მიზნების მისაღწევად. ფუნქციათა ერთობლიობა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს სქემის სახით (სქემა №3.3.)



სქემა №3.3. საოჯახო ს.ს. ფუნქციონალური სტრუქტურა

*ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის კომპონენტები* მკაცრად განსაზღვრულ დასახელებათა ნაწილებისაგან (ქვესისტემებისაგან) შედგება. ყველა საინფორმაციო სისტემა ერთი და იმავე დასახელების უზრუნველყოფელ ქვესისტემებს მოიცავს. ამავე დროს კი ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ქვესისტემის შედგენილობა ერთი და იგივეა ყველა საინფორმაციო სისტემისათვის. როგორც სქემა №3.3.-დან ჩანს, საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის ქვესისტემების რაოდენობა შვიდია.

*ინფორმაციული უზრუნველყოფა* არის რაიმე სისტემაში არსებული ინფორმაციის, მისი ასახვის, აგებისა და ორგანიზაციის საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობა.

*ტექნიკური უზრუნველყოფა* ეს არის ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ინფორმაციული პროცედურები.

*პროგრამული უზრუნველყოფა* კომპიუტერული პროგრამების ერთობლიობაა, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ინფორმაციული ტექნოლოგიები საინფორმაციო სისტემაში.

*მათემატიკური უზრუნველყოფა* ეს არის ფუნქციური ამოცანების გადაწყვეტაში მათემატიკური მეთოდების, მოდელებისა და ალგორითმების ერთობლიობა.

*სამართლებრივი უზრუნველყოფა* არის სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა (კრებული), რომელიც აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს პიროვნებასა და კოლექტივებს შორის სს-ის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების დროს.

*ღინგვისტიკური უზრუნველყოფა* ეს არის ენობრივი საშუალებების, სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინებისა და ბუნებრივი ენის ფორმალიზაციის წესების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება სს-ების შექმნისა და ფუნქციონირებისას. სისტემამ უნდა იმუშავოს დიალოგურ რეჟიმში, რაც მოუშაადებელ მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიმართოს სისტემას მოთხოვნით, მოახდინოს მონაცემთა ძიება და მათი განახლება, დამუშავება, მიიღოს ანგარიშგებები.

*ერგონომიკული უზრუნველყოფა* არის ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც განკუთვნილია ოპტიმალური გარემო პირობების შესაქმნელად სს-ში ადამიანთა უშეცდომო, მოხერხებული და მაღალეფექტიანი მოღვაწეობისათვის.



საინფორმაციო სისტემების *ორგანიზაციული კომპონენტები* არის მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელთა დახმარებითაც მიიღწევა ობიექტის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, თითოეული სტრუქტურული ქვეგანყოფილების საშტატო განრიგისა და რიცხოვრივი შემადგენლობის განსაზღვრა, აგრეთვე მართვის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავება საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების პირობებში.

საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობამ ნათელი გახადა, რომ საოჯახო საინფორმაციო სისტემების გამოყენება ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია საინფორმაციო საზოგადოების შენების გზაზე, ინფორმაციული ტექნოლოგიები თანდათანობით ერწყმის თანამედროვე ოჯახის მოთხოვნებს და მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

### 3.2. ოჯახის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების საინფორმაციო ქვესისტემა ამოცანის გადაწყვეტის ინფორმაციული უზრუნველყოფა

*ინფორმაციული ფაილები.* ოჯახის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბანკი შექმნილია შემდეგი ინფორმაციული ფაილების საფუძველზე:


- *მომხმარებლის ინფორმაციული ფაილი.* ქვესისტემა ერთმომხმარებლიანია და შესაბამისად ინფორმაციულ ფაილში აისახება ინფორმაცია მომხმარებლის ვინაობის და მონაცემთა არასანქცირებული მიმართვისაგან დაცვის მიზნით (tbl\_momxmarebeli). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.1).
- *შემოსავლის ინფორმაციული ფაილი,* მასში აისახება შემოსავლის ყველა ის წყარო (ხელფასი, პრემია, სტიპენდია, დახმარება, პენსია, ახლობლებისაგან მიღებული ფული, უცხოეთიდან მიღებული გზავნილები, თვითდასაქმებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ქონების გაქირავებიდან, გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები), რომელიც შეიძლება ოჯახს გააჩნდეს. (tbl\_shem). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.2).
- *ხარჯის სახეების* (კომუნალური გადასახადები: ელექტროენერგია, წყალი, გაზი, დასუფთავება, საწვავის შეძენა და სხვ.) *ინფორმაციული ფაილი,* რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია ხარჯვის ყველა იმ შესაძლო მუხლის შესახებ, რაზედაც მიიმართება ოჯახის საბიუჯეტო სახსრები. შესაბამისად, ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვას აქვს მრავალასპექტიანი სახე. (tbl\_xarji\_muxli). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.3).
- სისტემის შესაძლებლობებით ოჯახმა შეიძლება წლების განმავლობაში ისარგებლოს, შესაბამისად შეიქმნა *წლების ინფორმაციული ფაილი* (tbl\_weli). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.4).
- შემოსავლების დაგეგმვა ოჯახმა ყოველთვიურად უნდა მოახდინოს, შესაბამისად, განწერილი შემოსავლების მიხედვით აკონტროლოს ხარჯვის პროცესი. ამ მიზნით ჩამოყალიბდა *თვეების ინფორმაციული ფაილი* (tbl\_tve). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.5).
- შემოსავლები და გასაღებები შეიძლება გამოსახულ იქნას სხვადასხვა ვალუტაში, შესაბამისად შეიქმნა *ვალუტის ინფორმაციული ფაილი* (tbl\_valuta). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.6).
- წლის დასაწყისისათვის ოჯახს უნდა ჰქონდეს საპროგნოზო მონაცემები მთელი წლის განმავლობაში მოსალოდნელი შემოსავლების შესახებ თვეების

- მიხედვით. აღნიშნული ინფორმაციის თავმოყრისთვის ფორმირებულ იქნა ოჯახის საპროგნოზო შემოსავლების ამსახველი ინფორმაციული ფაილი (tbl\_tvīs\_shemosavali\_saprognozo). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.7).
- ოჯახის მიერ თვის განმავლობაში მიღებული რეალური შემოსავლების შესახებ ინფორმაციის თავმოყრისთვის ფორმირებულ იქნა ოჯახის რეალური შემოსავლების ამსახველი ინფორმაციული ფაილი (tbl\_tvīs\_shemosavali\_realuri). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.7).
  - ფინანსების უკეთ კონტროლის მიზნით, საჭიროა მოხდეს მათი განწერა, დაგეგმვა თვეებზე ხარჯის მუხლების მიხედვით, რისთვისაც შეიქმნა გეგმების ინფორმაციული ფაილი (tbl\_gegma). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.8).
  - ხარჯს ოჯახი ცალკეული დეგეგმილი, ზოგჯერ კი გაუთვალისწინებელი ხარჯის მუხლების შესაბამისად ყოველდღიურად გასწევს, აღნიშნული ინფორმაცია ასახება ხარჯების ინფორმაციულ ფაილში გარკვეული დროის ინტერვალით (ყოველდღე, 2 დღე) შექმნის დოკუმენტის საფუძველზე (rpt\_shezenis\_dokumenti). აღნიშნული გვაძლევს შესაძლებლობას ეტაპობრივად გაუკეთდეს ანალიზი ამა თუ იმ ხარჯის მუხლზე დაგეგმილ თანხასა და მასზე ფაქტიურად გაწეულ ხარჯს (tbl\_xarji). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.9).
  - კრედიტორების ინფორმაციული ფაილი, მასში ასახულია ინფორმაცია ყველა იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირის შესახებ, რომლის კრედიტორული დავალიანებაც აქვს ოჯახს (tbl\_kreditori). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.10).
  - ინფორმაციული ფაილი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია ოჯახის კრედიტორული დავალიანების შესახებ (კრედიტორი, საკრედიტო თანხა, კრედიტის მიზანი, საპროცენტო განაკვეთი, კრედიტის დაფარვის თარიღი, დასაფარი თანხის ოდენობა, ხელშეკრულების ნომერი, ხელშეკრულების თარიღი). (tbl\_kreditoruli\_vali). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.11).
  - ინფორმაციული ფაილი, რომელშიც განწერილია კრედიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკი. (tbl\_gadaxdis\_grafiki). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.11.1).
  - დებიტორების ინფორმაციული ფაილი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია ყველა იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირის შესახებ, რომლისგანაც ოჯახმა

უნდა მიიღოს დებიტორული დავალიანება. (tbl\_debitori). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.12).


- ინფორმაციული ფაილი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია ოჯახის დებიტორული დავალიანების შესახებ (დებიტორი, თანხა, თანხის გაცემის თარიღი, ხელშეკრულების ნომერი, ხელშეკრულების თარიღი, დაფარვის თარიღი, მისაღები თანხის ოდენობა). (tbl\_debitoruli\_vali). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.13).
- ინფორმაციული ფაილი, რომელშიც განწერილია დებიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკი. (tbl\_deb\_gadaxdis\_grafiki). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.14).
- დებიტორული დავალიანების დაფარვის მდგომარეობის ინფორმაციული ფაილი. მასში აისახება, როდის და რომელი დებიტორული თანხის რა ნაწილი იქნა დაფარული დებიტორის მიერ. (tbl\_deb\_gadaxda). (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.15).

*ინფორმაციულ ფაილებში tbl\_kreditori, tbl\_kreditoruli\_vali, tbl\_gadaxdis\_grafiki ინფორმაცია შეიტანება ისეთი პირველადი დოკუმენტის საფუძველზე, როგორცაა ოჯახსა და კრედიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული, ინფორმაციული მოდელი შემდეგი სქემით შეიძლება გამოისახოს: (იხ. სქემა №3.4.)*




სქემა №3.4. საკრედიტო ინფორმაციის ანალიზის ინფორმაციული მოდელი

ინფორმაციულ ფაილებში *tbl\_debitori*, *tbl\_debitoruli\_vali*, *tbl\_deb\_gadaxdis\_grafiki* ინფორმაცია შეიტანება ისეთი პირველადი დოკუმენტის საფუძველზე, როგორცაა ხელშეკრულება გაფორმებული ოჯახსა და დებიტორს შორის. აღნიშნული, ინფორმაციული მოდელის სახით შეიძლება გამოსახულ იქნას შემდეგი სახით: (იხ. სქემა №3.5.)



სქემა №3.5. დებიტორული ვალის შესახებ ინფორმაციის ანალიზის ინფორმაციული მოდელი


ინფორმაციულ ფაილში *tbl\_xarji* ინფორმაცია შეიტანება ფულადი სახსრების ხარჯვის პირველადი დოკუმენტების საფუძველზე შედგენილი ხარჯების ამსახველი კრებსითი ფორმის “შეძენის დოკუმენტი” საფუძველზე. აღნიშნული, ინფორმაციული მოდელის სახით შეიძლება გამოსახულ იქნას შემდეგი სახით: (იხ. სქემა №3.6.)



სქემა №3.6. ხარჯების ანალიზის ინფორმაციული მოდელი


დასმული ამოცანის პერსონალურ კომპიუტერზე გადატანის მიზნით დამყარდა კავშირები მონაცემთა ბაზის შემადგენელ ცხრილებს, ინფორმაციულ ფაილებს შორის, რის შედეგადაც მონაცემთა ბაზის სტრუქტურულმა სქემამ შემდეგი სახე მიიღო: (იხ. ნახ. დანართი №1 - №3.16). კერძოდ:

1. რადგანაც ოჯახი ხარჯს ყოველთვიურად გასწევს, ერთმანეთთან დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები **tbl\_tve** და **tbl\_xarji** (იხ. ნახ. №3.17).




ნახ. №3.17 კავშირი **tbl\_tve** და **tbl\_xarji** შორის

2. ოჯახი ფინანსური რესურსების განწერას და დაგეგმვას თვეებზე ახდენს, ამიტომ მოხდა ინფორმაციული ფაილების **tbl\_tve** და **tbl\_gegma** დაკავშირება (იხ. ნახ. №3.18).



ნახ. №3.18 კავშირი **tbl\_tve** და **tbl\_gegma** შორის


3. წლის დასაწყისში ოჯახს უკვე აქვს საპროგნოზო მონაცემები თვეების მიხედვით მოსალოდნელი შემოსავლების შესახებ, ამდენად, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები **tbl\_shem** და **tbl\_tvis\_shemosavali\_saprognozo** (იხ. ნახ. №3.19).



ნახ. №3.19 კავშირი **tbl\_shem** და **tbl\_tvis\_shemosavali\_saprognozo** შორის




4. ოჯახი მიერ თვეების მიხედვით რეალური შემოსავლების ასახვისათვის, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები **tbl\_shem** და **tbl\_tvis\_shemosavali\_realuri** (იხ. ნახ. №3.19').




ნახ. №3.19' კავშირი **tbl\_shem** და **tbl\_tvis\_shemosavali\_realuri** შორის

5. რადგანაც ხარჯებს უშუალოდ ოჯახი გასწევს, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები **tbl\_momxmarebeli** და **tbl\_xarji** (იხ. ნახ. №3.20).




ნახ. №3.20 კავშირი **tbl\_momxmarebeli** და **tbl\_xarji** შორის

6. ოჯახს (მომხმარებელი) წლის დასაწყისში განწერილი აქვს მოსალოდნელი შემოსავლები თვეების მიხედვით, ამიტომ დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები **tbl\_momxmarebeli** და **tbl\_tvis\_shemosavali\_saprognozo** (იხ. ნახ. №3.21).




ნახ. №3.21 კავშირი **tbl\_momxmarebeli** და **tbl\_tvis\_shemosavali\_saprognozo** შორის

7. ოჯახს (მომხმარებელი) რეალურ შემოსავლებს განწერს თვეების მიხედვით, ამიტომ დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები **tbl\_momxmarebeli** და **tbl\_tvis\_shemosavali\_realuri** (იხ. ნახ. №3.21').




ნახ. №3.21' კავშირი tbl\_momxmarebeli და tbl\_tvis\_shemosavali\_realuri შორის

8. რადგანაც ოჯახი (მომხმარებელი) ახდენს ფინანსური რესურსების განწერას და დაგეგმვას თვეების მიხედვით, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_momxmarebeli და tbl\_gegma (იხ. ნახ. №3.22).




ნახ. №3.22 კავშირი tbl\_momxmarebeli და tbl\_gegma შორის

9. ერთი კრედიტორისგან ოჯახს სხვადასხვა მიზნით შეიძლება აღებული ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის რამდენიმე კრედიტი. ამდენად მოხდა ინფორმაციული ფაილების tbl\_kreditori და tbl\_kreditoruli\_vali-ის ერთმანეთთან დაკავშირება (იხ. ნახ. №3.23).




ნახ. №3.23 კავშირი tbl\_kreditori და tbl\_kreditoruli\_vali შორის

10. რადგან კრედიტორული ვალის გადახდის გრაფიკი განწერილია პერიოდების მიხედვით, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_kreditoruli\_vali და tbl\_gadaxdis\_grafiki (იხ. ნახ. №3.24).




ნახ. №3.24 კავშირი tbl\_kreditoruli\_vali და tbl\_gadaxdis\_grafiki შორის

11. ამა თუ იმ ხარჯს ოჯახი პერიოდულად გასწევს, ამიტომ დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_xarji\_muxli და tbl\_xarji (იხ. ნახ. №3.25).




ნახ. №3.25 კავშირი tbl\_xarji\_muxli და tbl\_xarji შორის

12. იმისათვის, რომ ოჯახს შეეძლოს საპროგნოზო შემოსავლების სხვადასხვა სახის ვალუტაში ქვესისტემაში ასახვა, ერთმანეთთან დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_valuta და tbl\_tvis\_shemosavali\_saprognozo (იხ. ნახ. №3.26).




ნახ. №3.26 კავშირი tbl\_valuta და tbl\_tvis\_shemosavali\_saprognozo შორის

13. იმისათვის, რომ ოჯახს შეეძლოს მიღებული შემოსავლების სხვადასხვა სახის ვალუტაში ქვესისტემაში ასახვა, ერთმანეთთან დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_valuta და tbl\_tvis\_shemosavali\_realuri (იხ. ნახ. №3.26').




ნახ. №3.26' კავშირი tbl\_valuta და tbl\_tvis\_shemosavali\_realuri შორის

14. ვინაიდან მომხმარებელმა სისტემით შეიძლება წლების განმავლობაში ისარგებლოს და ყოველი წლის დასაწყისში განწეროს მოსალოდნელი შემოსავლები, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_weli და tbl\_tvis\_shemosavali\_saprognozo (იხ. ნახ. №3.27).




ნახ. №3.27 კავშირი tbl\_weli და tbl\_tvis\_shemosavali\_saprognozo შორის

15. ვინაიდან მომხმარებელმა სისტემით შეიძლება წლების განმავლობაში ისარგებლოს და ასახოს თავის რეალური შემოსავლები, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_weli და tbl\_tvis\_shemosavali\_realuri (იხ. ნახ. №3.27').




ნახ. №3.27' კავშირი tbl\_weli და tbl\_tvis\_shemosavali\_realuri შორის

16. რადგან მომხმარებელმა სისტემით შეიძლება წლების განმავლობაში ისარგებლოს და ქვესისტემაში ასახოს გაწეული ხარჯები, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_weli და tbl\_xarji (იხ. ნახ. №3.28).




ნახ. №3.28 კავშირი tbl\_weli და tbl\_xarji შორის

17. იმისათვის, რომ ოჯახს შეეძლოს სხვადასხვა სახის ვალუტაში გაწეული ხარჯის ქვესისტემაში ასახვა, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_valuta და tbl\_xarji (იხ. ნახ. №3.29).




ნახ. №3.29 კავშირი tbl\_valuta და tbl\_xarji შორის

18. რადგანაც მომხმარებელმა სისტემით შეიძლება წლების განმავლობაში ისარგებლოს და თვეების მიხედვით დაგეგმოს ფინანსური რესურსების ხარჯვა, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_weli და tbl\_gagma (იხ. ნახ. №3.30).



ნახ. №3.30 კავშირი tbl\_weli და tbl\_gagma შორის

19. ფინანსური რესურსების განწერას მომხმარებელი ახდენს ხარჯის მუხლების მიხედვით, ამიტომ დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_xarji\_muxli და tbl\_gagma (იხ. ნახ. №3.31).




ნახ. №3.31 კავშირი tbl\_xarji\_muxli და tbl\_gegma შორის

20. იმისათვის, რომ მომხმარებელმა შესძლოს დებიტორებისგან სხვადასხვა სახის ვალუტაში მიღებული თანხების ქვესისტემაში ასახვა, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_valuta და tbl\_deb\_gadaxda (იხ. ნახ. №3.32).




ნახ. №3.32 კავშირი tbl\_valuta და tbl\_deb\_gadaxda შორის

21. რადგან ოჯახს ერთ დებიტორთან რამდენიმე დებიტორული ვალი შეიძლება აკავშირებდეს, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_debitორი და tbl\_debitორული\_vali (იხ. ნახ. №3.33).




ნახ. №3.33 კავშირი tbl\_debitორი და tbl\_debitორული\_vali შორის

22. იმისათვის, რომ ოჯახს შეეძლოს სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული კრედიტორული ვალის დაფარვის გრაფიკის ქვესისტემაში ასახვა, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_valuta და tbl\_gadaxdis\_grafiki (იხ. ნახ. №3.34).




ნახ. №3.34 კავშირი tbl\_valuta და tbl\_gadaxdis\_grafiki შორის

23. იმისათვის, რომ მომხმარებელმა შესძლოს სხვადასხვა ვალუტაში აღებული კრედიტორული ვალების ქვესისტემაში ასახვა, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_valuta და tbl\_kreditoruli\_vali (იხ. ნახ. №3.35).




ნახ. №3.35 კავშირი tbl\_valuta და tbl\_kreditoruli\_vali შორის

24. იმისათვის, რომ ოჯახს შეეძლოს სხვადასხვა ვალუტაში გაცემული დებიტორული ვალების ქვესისტემაში ასახვა, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_valuta და tbl\_debitoruli\_vali (იხ. ნახ. №3.36).



ნახ. №3.36 კავშირი tbl\_valuta და tbl\_debitoruli\_vali შორის

25. იმისათვის, რომ ქვესისტემაში აისახოს სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული დებიტორული ვალის დაფარვის გრაფიკი, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_valuta და tbl\_deb\_gadaxdis\_grafiki (იხ. ნახ. №3.37).



ნახ. №3.37 კავშირი tbl\_valuta და tbl\_deb\_gadaxdis\_grafiki შორის

## ამოცანის გადაწყვეტის პროგრამული უზრუნველყოფა

*მოთხოვნები.* ოჯახის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების საინფორმაციო სისტემის შემუშავებისათვის შეიქმნა შემდეგი მოთხოვნები:

- მომხმარებლის მიერ წლის დასაწყისში სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული მოსალოდნელი შემოსავლების ქვესისტემაში თვეების მიხედვით ასახვისათვის ინფორმაციული ფაილების `tbl_momxmarebeli` და `tbl_tvis_shemosavali_saprognozo` საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით `qry_tvis_shemosavali_saprognozo` (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.38), რომელშიც ალგორითმის საფუძველზე (იხ. დანართი №1 - ნახ. №3.39) ერთიან ვალუტაში (ლარში) გამოითვლება სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული შემოსავლები.
- მომხმარებლის მიერ სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული რეალური შემოსავლების ქვესისტემაში თვეების მიხედვით ასახვისათვის ინფორმაციული ფაილების `tbl_momxmarebeli` და `tbl_tvis_shemosavali_realuri` საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით `qry_tvis_shemosavali_realuri` (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.38'), რომელშიც ალგორითმის საფუძველზე (იხ. დანართი №1 - ნახ. №3.39') ერთიან ვალუტაში (ლარში) გამოითვლება სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული შემოსავლები.
- თვეების მიხედვით განწერილ მოსალოდნელ შემოსავლებზე წლის მიხედვით კრებისით ინფორმაციის მისაღებად ინფორმაციული ფაილის `tbl_tvis_shemosavali_saprognozo` საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით `qry_wlis_shemosavali` (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.40), რომელშიც ალგორითმის საშუალებით (იხ. დანართი №1 - ნახ. №3.41) ხდება სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული შემოსავლების ერთიან ვალუტაში (ლარში) გამოთვლა.
- 
- მოთხოვნის `qry_wlis_shemosavali` საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით `qry_wlis_shemosavali_shemosavlis_saxeebit` (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.42).



- თვეების მიხედვით განწერილ მოსალოდნელ შემოსავლებზე კრებისით ინფორმაციის მისაღებად ინფორმაციული ფაილის **tbl\_tvis\_shemosavali\_saprognozo** საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით **qry\_tvis\_shemosavali\_shemosavlis\_saxeebit** (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.42'), რომელშიც ალგორითმის საშუალებით ხდება სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული შემოსავლების ერთიან ვალუტაში (ლარში) გამოთვლა.
- o მომხმარებლის მიერ ხარჯის მუხლების მიხედვით თვეებზე განწერილი ფინანსური რესურსების ქვესისტემაში ასახვისათვის ინფორმაციული ფაილების **tbl\_gegma** და **tbl\_momxmarebeli** საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით **qry\_gegma** (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.43).
- o თვის განმავლობაში მოსალოდნელ შემოსავალსა და თვეზე განწერილ ხარჯს შორის ანალიზისათვის მოთხოვნის **qry\_tvis\_shemosavali\_saprognozo** საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით **qry\_sum\_tvis\_shemosavali** (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.44). მოთხოვნის **qry\_gegma** საფუძველზე, მოთხოვნა სახელწოდებით **qry\_sum\_tvis\_gegma** (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.45). ხოლო მოთხოვნების **qry\_sum\_tvis\_shemosavali** და **qry\_sum\_tvis\_gegma** საფუძველზე, მოთხოვნა სახელწოდებით **qry\_tvis\_resursi** (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.46), რომელშიც ალგორითმის საფუძველზე (იხ. დანართი №1 - ნახ. №3.47) გამოითვლება სხვაობა თვის შემოსავლის თანხასა და თვის განმავლობაში დაგეგმილ თანხებს შორის.
- o წელიწადის განმავლობაში მოსალოდნელ შემოსავალსა და თვეზე განწერილ ხარჯს შორის ანალიზისათვის:
  - მოთხოვნის **qry\_wlis\_shemosavali\_shemosavlis\_saxeebit**-ს საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით **qry\_sum\_wlis\_shemosavali** (სტრუქტურა იხ. დანართი №1 - ნახ. №3.48), რომელშიც ალგორითმის მეშვეობით სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული შემოსავლები ერთიან ვალუტაში (ლარში) გამოითვლება (იხ. დანართი №1 - ნახ. №3.49).
50. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დეკლარანტი და მისი ოჯახის წევრები შესაძლებელია ასრულებდნენ რამდენიმე ანაზღაურებად სამუშაოს, ამიტომ ერთმანეთთან დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_piradi და tbl\_samushao (იხ. ნახ. №3.346).




ნახ. №3.346 კავშირი tbl\_piradi და tbl\_samushao შორის

51. რადგან დეკლარანტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ შესაძლებელია რამდენჯერმე იქნას მიღებული სხვადასხვა სახეობისა და ოდენობის შემოსავალი, დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_piradi და tbl\_shemosavali (იხ. ნახ. №3.347).




ნახ. №3.347 კავშირი tbl\_piradi და tbl\_shemosavali შორის

52. იმისათვის, რომ მოხდეს დეკლარანტის, ან მის ოჯახის წევრის ყველა იმ შემოსავლის ჯამური ღირებულების იდენტიფიცირება, რომლის თითოეულის ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს, ერთმანეთთან დაკავშირდა ინფორმაციული ფაილები tbl\_piradi და tbl\_jamuri\_shemosavali (იხ. ნახ. №3.348).




ნახ. №3.348 კავშირი tbl\_piradi და tbl\_jamuri\_shemosavali შორის

53. ასევე დამყარდა კავშირები ინფორმაციულ ფაილებს tbl\_piradi\_rekvizitebi და tbl\_sagadasaxado (იხ. ნახ. №3.348') და ინფორმაციულ ფაილებს tbl\_nivti და tbl\_nivtis\_saxeoba შორის (იხ. ნახ. №3.348'').





ნახ. №3.348' კავშირი tbl\_piradi\_rekvizitebi და tbl\_sagadasaxado შორის



ნახ. №3.348" კავშირი tbl\_nivti და tbl\_nivtis\_saxeoba შორის

**ამოცანის გადაწყვეტის პროგრამული უზრუნველყოფა**

*მოთხოვნები.* საინფორმაციო სისტემის შემუშავებისათვის შეიქმნა შემდეგი მოთხოვნები:

3. სისტემაში დეკლარანტის მიერ პირადი მონაცემების ასახვისათვის და შესაბამისად, დეკლარაციის "ნაწილი 1"-ის ელექტრონული ფორმის მისაღებად ინფორმაციული ფაილის tbl\_piradi\_rekvizitebi საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით qry\_nawili\_1 (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.333).
- ინფორმაციული ფაილის tbl\_piradi საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით qry\_nawili\_1\_head (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.334).
4. დეკლარაციის "ნაწილი 1"-ის მანქანოგრამის მისაღებად მოთხოვნების: qry\_nawili\_1 და qry\_nawili\_1\_head საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა qry\_nawili\_1\_child (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.335), მოთხოვნაში შესაბამისი ალგორითმებით შესაძლებელი გახდა გაერთიანდეს:
  - სახელი და გვარი (იხ. დანართი №4 - ნახ. №3.336).
  - სამსახური და თანამდებობა (იხ. დანართი №4 - ნახ. №3.337).
  - სამსახურის მისამართი და ტელეფონი (იხ. დანართი №4 - ნახ. №3.338).
  - სახლის მისამართი და ტელეფონი (იხ. დანართი №4 - ნახ. №3.339).
3. დეკლარანტის მიერ საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების სისტემაში ასახვისათვის და შესაბამისად, საფინანსო დეკლარაციის "ნაწილი 2"-ის ელექტრონული ფორმის და მანქანოგრამის (ვიდეოგრამის) მისაღებად

- ინფორმაციული ფაილის tbl\_natesavi საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა სახელწოდებით qry\_nawili\_2\_child (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.340).
- ინფორმაციული ფაილების tbl\_piradi და tbl\_piradi\_rekvizitebi საფუძველზე, მოთხოვნა სახელწოდებით qry\_nawili\_2-4\_head (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.341), *აღსაღნიშნავია, რომ ხსენებული მოთხოვნა გამოყენებულ იქნა დეკლარაციის ყველა სხვა დანარჩენი "ფურცლები"-ს ელექტრონული ფორმების და მანქანოგრამების (ვიდეოგრამების) მისაღებად.*
  - 4. დეკლარანტისა და მისი ოჯახის წევრების მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ სისტემაში ინფორმაციის ასახვისათვის და შესაბამისად, დეკლარაციის ნაწილი III-ის "ფურცელი 3.1"-ის ელექტრონული ფორმის და მანქანოგრამის (ვიდეოგრამის) მისაღებად ინფორმაციული ფაილის tbl\_samushao საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა qry\_nawili\_3-1\_child (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.342).
  - 5. საწარმოს საქმიანობაში დეკლარანტისა და მისი ოჯახის წევრების მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის სისტემაში ასახვისა და აგრეთვე, დეკლარაციის ნაწილი III-ის "ფურცელი 3.2"-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის (ვიდეოგრამის) მისაღებად, ინფორმაციული ფაილის tbl\_sawarmo საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა qry\_nawili\_3-2\_child (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.343).
  - 6. დეკლარანტისა და მისი ოჯახის წევრის ყველა, 5000 ლარზე მეტი ღირებულების შემოსავლის სისტემაში ასახვისა და შესაბამისად, დეკლარაციის ნაწილი III-ის "ფორმა 3.3"-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის (ვიდეოგრამის) მისაღებად ინფორმაციული ფაილის tbl\_shemosavali საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა qry\_nawili\_3-3\_child (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.344).
  - 7. დეკლარანტისა და მისი ოჯახის წევრების სხვა სახის შემოსავლების ჯამური ღირებულების (რომელთაგანაც თითოეული არ აღემატება 5000 ლარს) სისტემაში ასახვისათვის და შესაბამისად, დეკლარაციის ნაწილი III-ის "ფორმა 3.4"-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის (ვიდეოგრამის) მისაღებად ინფორმაციული ფაილის tbl\_jamuri\_shemosavali საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა qry\_nawili\_3-4\_child (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.345).

8. დეკლარაციის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთების შესახებ ინფორმაციის სისტემაში ასახვისათვის და შესაბამისად დეკლარაციის ნაწილი IV-ის "ფორმა 4.1"-ის ელექტრონული ფორმის და მანქანოგრამის (ვიდეოგრამის) მისაღებად ინფორმაციული ფაილის **tbl\_nivti** საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა **qry\_nawili\_4-1\_child** (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.346).
9. დეკლარაციის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაციის სისტემაში ასახვისა და შესაბამისად, დეკლარაციის ნაწილი IV-ის "ფორმა 4.2"-ის ელექტრონული ფორმის და მანქანოგრამის (ვიდეოგრამის) მისაღებად, ინფორმაციული ფაილის **tbl\_qagaldi** საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა **qry\_nawili\_4-2\_child** (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.347).
10. საბანკო დაწესებულებაში არსებული შენატანების შესახებ სისტემაში ინფორმაციის ასახვისათვის და შესაბამისად, დეკლარაციის ნაწილი IV-ის "ფორმა 4.3"-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის (ვიდეოგრამის) მისაღებად, ინფორმაციული ფაილის **tbl\_angarishi** საფუძველზე შეიქმნა მოთხოვნა **qry\_nawili\_4-3\_child** (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.348).

*ელექტრონული ფორმები.* სისტემაში მონაცემების ასახვის, რედაქტირებისა თუ სასურველი ინფორმაციის მოძიებისათვის მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Access-ის გამოყენებით მოთხოვნების საფუძველზე შეიქმნა შემდეგი ელექტრონული ფორმები:

- დეკლარაციის "ნაწილი 1"-ის ელექტრონული ფორმის მისაღებად, მოთხოვნა **qry\_nawili\_1**-ის საფუძველზე შეიქმნა ფორმა **frm\_nawili\_1\_child**, რომელიც ქვეფორმად იქნა შემოტანილი მოთხოვნა **qry\_nawili\_1\_head**-ის საფუძველზე შექმნილ ფორმაში **frm\_nawili\_1\_head** (იხ. ნახ. №3.349). (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.350, იხ. დანართი №2 - ნახ. №3.351).

ნახ. №3.349. ”ნაწილი 1”-ის ელექტრონული ფორმა

ფორმაზე განთავსებულია ბრძანების დილაკები: სასურველი ჩანაწერის მოძიებისათვის, ჩანაწერის შენახვისა და აქტიური ფორმიდან სისტემის ფორმა-მენიუზე გადასასვლელად.

- დეკლარაციის ”ნაწილი 2”-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის მისაღებად მოთხოვნა `qry_nawili_2_child`-ის საფუძველზე შეიქმნა ფორმა `frm_nawili_2_child`, რომელიც ქვეფორმის სახით იქნა შემოტანილი მოთხოვნა `qry_nawili_2-4_head` საფუძველზე შექმნილ ფორმაში `frm_nawili_2_head` (იხ. ნახ. №3.352), (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.353, იხ. დანართი №4 - ნახ. №3.354).

გვარი	სახელი	დაბადების ადგილი	დაბადების წელი	დაბადების თვე	დაბადების რიცხვი	ნაოცხარი ან სხვაგვარი კავშირი
კახიძე	შორენა	ქ თბილისი	1980	ივლისი	25	თეთრონი
სურმაგია	ნარტიზა	ქ ქუთაისი	1944	ოქტომბერი	15	მეუღლე

ნახ. №3.352. ”ნაწილი 2”-ის ელექტრონული ფორმა

ფორმაზე განთავსებულია ბრძანების დილაკები: ჩანაწერის შენახვისა და აქტიური ფორმიდან სისტემის ფორმა-მენიუზე გადასასვლელად.

- დეკლარაციის ნაწილი III-ის ”ფორმა 3.1”-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის მისაღებად მოთხოვნა `qry_nawili_3-1_child`-ის საფუძველზე შეიქმნა ფორმა `frm_nawili_3-1_child`, რომელიც ქვეფორმის სახით იქნა შემოტანილი მოთხოვნა `qry_nawili_2-4_head` საფუძველზე შექმნილ ფორმაში

frm\_nawili\_3-1\_head (იხ. ნახ. №3.355), (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.356, იხ. დანართი №4 - ნახ. №3.357).

ნახ. №3.355. ნაწილი III-ის ”ფორმა 3.1”-ის ელექტრონული ფორმა ფორმაზე განთავსებულია ბრძანების დილაკები: ჩანაწერის შენახვისა და აქტიური ფორმიდან სისტემის ფორმა-მენიუზე გადასასვლელად.

- დეკლარაციის ნაწილი III-ის ”ფორმა 3.2”-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_3-2\_child-ის საფუძველზე შეიქმნა ფორმა frm\_nawili\_3-2\_child, რომელიც ქვეფორმის სახით იქნა შემოტანილი მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head საფუძველზე შექმნილ ფორმაში frm\_nawili\_3-2\_head (იხ. ნახ. №3.358), (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.359, იხ. დანართი №4 - ნახ. №3.360).

ნახ. №3.358. ნაწილი III-ის ”ფორმა 3.2”-ის ელექტრონული ფორმა ფორმაზე განთავსებულია ბრძანების დილაკები: ჩანაწერის შენახვისა და აქტიური ფორმიდან სისტემის ფორმა-მენიუზე გადასასვლელად.

- დეკლარაციის ნაწილი III-ის ”ფორმა 3.3”-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_3-3\_child-ის საფუძველზე



შეიქმნა ფორმა frm\_nawili\_3-3\_child, რომელიც ქვეფორმის სახით იქნა შემოტანილი მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head საფუძველზე შექმნილ ფორმაში frm\_nawili\_3-3\_head (იხ. ნახ. №3.361), (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.362, იხ. დანართი №4 - ნახ. №3.363).

ნახ. №3.361. ნაწილი III-ის ”ფორმა 3.3“-ის ელექტრონული ფორმა

ფორმაზე განთავსებულია ბრძანების დილაკები: ჩანაწერის შენახვისა და აქტიური ფორმიდან სისტემის ფორმა-მენიუზე გადასასვლელად.

- დეკლარაციის ნაწილი III-ის ”ნაწილი 3.4“-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_3-4\_child-ის საფუძველზე შეიქმნა ფორმა frm\_nawili\_3-4\_child, რომელიც ქვეფორმის სახით იქნა შემოტანილი მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head საფუძველზე შექმნილ ფორმაში frm\_nawili\_3-4\_head (იხ. ნახ. №3.364), (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.365, იხ. დანართი №4 - ნახ. №3.366).

ნახ. №3.364. ნაწილი III-ის ”ნაწილი 3.4“-ის ელექტრონული ფორმა

ფორმაზე განთავსებულია ბრძანების დილაკები: ჩანაწერის შენახვისა და აქტიური ფორმიდან სისტემის ფორმა-მენიუზე გადასასვლელად.

- დეკლარაციის ნაწილი IV "ფორმა 4.1"-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_4-1\_child-ის საფუძველზე შეიქმნა ფორმა frm\_nawili\_4-1\_child, რომელიც ქვეფორმის სახით იქნა შემოტანილი მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head საფუძველზე შექმნილ ფორმაში frm\_nawili\_4-1\_head (იხ. ნახ. №3.367), (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.368, იხ. დანართი №4 - ნახ. №3.369).

ნახ. №3.367. ნაწილი IV "ფორმა 4.1"-ის ელექტრონული ფორმა

ფორმაზე განთავსებულია ბრძანების დილაკები: ჩანაწერის შენახვისა და აქტიური ფორმიდან სისტემის ფორმა-მენიუზე გადასასვლელად.

- დეკლარაციის ნაწილი IV-ის "ფორმა 4.2"-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_4-2\_child-ის საფუძველზე შეიქმნა ფორმა frm\_nawili\_4-2\_child, რომელიც ქვეფორმის სახით იქნა შემოტანილი მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head საფუძველზე შექმნილ ფორმაში frm\_nawili\_4-2\_head (იხ. ნახ. №3.370), (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.371, იხ. დანართი №4 - ნახ. №3.372).



frm\_nawili\_4-2\_head

პაროლი: 8899  
 პირადობის ნომერი: 10101011  
 გვარი: გახიძე  
 სახელი: შორენა  
 წელი: 2007

4.2. თქვენს, თქვენი ოჯახის წევრის საკმარისად არსებობს შესანიშნავი ქალაქები, სწავლის დივიზიონები

შესანიშნავი ქალაქების სახეობა, უმცირესი	შესანიშნავი ქალაქის შესაკმარის	შესანიშნავი ქალაქის რაოდენობა	დივიზიონები
-	-	1	0

მე რ+

ნახ. №3.370. ნაწილი IV-ის "ფორმა 4.2"-ის ელექტრონული ფორმა

ფორმაზე განთავსებულია ბრძანების დილაკები: ჩანაწერის შენახვისა და აქტიური ფორმიდან სისტემის ფორმა-მენიუზე გადასასვლელად.

- დეკლარაციის ნაწილი IV-ის "ფორმა 4.3"-ის ელექტრონული ფორმისა და მანქანოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_4-3\_child-ის საფუძველზე შეიქმნა ფორმა frm\_nawili\_4-3\_child, რომელიც ქვეფორმის სახით იქნა შემოტანილი მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head საფუძველზე შექმნილ ფორმაში frm\_nawili\_4-3\_head (იხ. ნახ. №3.373), (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.374, იხ. დანართი №4 - ნახ. №3.375).

frm\_nawili\_4-3\_head

პაროლი: 8899  
 პირადობის ნომერი: 10101011  
 გვარი: გახიძე  
 სახელი: შორენა  
 წელი: 2007

4.3. საბანკო ფაქსიონალური არსებობს შესანიშნავი, რომლის განკარგვის უფლება გაქვთ თქვენს, თქვენი ოჯახის წევრს

შესანიშნავი განმარტებული კიბი	საბანკო ფაქსიონალურის რეპროდუქცია	შესანიშნავი სახეობა
შორენა გახიძე	სს "თიბისი ბანკი"	220101777
		საბანკო ანგარიში


მე რ+

საბანკოს განახლება

ნახ. №3.373. ნაწილი IV-ის "ფორმა 4.3"-ის ელექტრონული ფორმა




ფორმაზე განთავსებულია ბრძანების დილაკები: ჩანაწერის შენახვისა და აქტიური ფორმიდან სისტემის ფორმა-მენიუზე გადასასვლელად, ასევე საბრძანებო დილაკით “ბანკების დასახელება” იხსნება ინფორმაციული ფაილის tbl\_banki საფუძველზე შექმნილი ფორმა frm\_banki (იხ. ნახ. №3.376), (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.377).



ნახ. №3.376. ბანკების ელექტრონული ფორმა

*ანგარიშგებები.*

- დეკლარაციის “ნაწილი I”-ის მანქანოგრამის ან ვიდეოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_1\_child-ის საფუძველზე შეიქმნა ანგარიშგება rpt\_nawili-1 (იხ. ნახ. №3.378). (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.379).



ნახ. №3.378. ”ნაწილი I”-ის ვიდეოგრამა

- დეკლარაციის “ნაწილი II”-ის მანქანოგრამის ან ვიდეოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head-ისა და ფორმა frm\_nawili\_2\_child-ის

საფუძველზე დაფორმირდა ანგარიშგება rpt\_nawili-2 (იხ. ნახ. №3.380).  
(სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.381).

კვალი	სახელი	დაბადების ადგილი	დაბადების წელი	დაბადების თვე	დაბადების რაიონი	საბავშვო დასახლება ან სტუდენტური ქემპი
ქახიძე	შორენა	ქ. თბილისი	1941	აგვისტო	25	თბილისი
ხუციანი	ნარეზა	ქ. ქუთაისი	1941	ოქტომბერი	15	ქუთაისი

ნახ. №3.380. ” ნაწილი II”-ის ვიდეოგრაფია

- დეკლარაციის ნაწილი III “ფორმა 3.1”-ის მანქანოგრაფის ან ვიდეოგრაფის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head-ისა და ფორმა frm\_nawili\_3-1\_child-ის საფუძველზე დაფორმირდა ანგარიშგება rpt\_nawili\_3-1 (იხ. ნახ. №3.382).  
(სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.383).

სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება
სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება
სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება


ნახ. №3.382. ნაწილი III “ფორმა 3.1”-ის ვიდეოგრაფია

- დეკლარაციის ნაწილი III “ფორმა 3.2”-ის მანქანოგრაფის ან ვიდეოგრაფის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head-ისა და ფორმა frm\_nawili\_3-2\_child-ის საფუძველზე დაფორმირდა ანგარიშგება rpt\_nawili-3-2 (იხ. ნახ. №3.384).  
(სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.385).

სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება
სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება
სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება	სახელის დასახელება


ნახ. №3.384. ნაწილი III “ფორმა 3.2”-ის ვიდეოგრაფია

- დეკლარაციის ნაწილი III “ფორმა 3.3”-ის მანქანოგრამის ან ვიდეოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head-ისა და ფორმა frm\_nawili\_3-3\_child-ის საფუძველზე დაფორმირდა ანგარიშგება rpt\_nawili-3-3 (იხ. ნახ. №3.386). (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.387).




ნახ. №3.386. ნაწილი III “ფორმა 3.3”-ის ვიდეოგრამა

- დეკლარაციის ნაწილი III “ფორმა 3.4”-ის მანქანოგრამის ან ვიდეოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head-ისა და ფორმა frm\_nawili\_3-4\_child-ის საფუძველზე დაფორმირდა ანგარიშგება rpt\_nawili-3-4 (იხ. ნახ. №3.388). (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.389).




ნახ. №3.388. ნაწილი III “ფორმა 3.4”-ის ვიდეოგრამა

- დეკლარაციის ნაწილი IV “ფორმა 4.1”-ის მანქანოგრამის ან ვიდეოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head-ისა და ფორმა frm\_nawili-4-1\_child-ის საფუძველზე დაფორმირდა ანგარიშგება rpt\_nawili-4-1 (იხ. ნახ. №3.390). (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.391).




ნახ. №3.390. ნაწილი IV “ფორმა 4.1”-ის ვიდეოგრამა

- დეკლარაციის ნაწილი IV “ფორმა 4.2”-ის მანქანოგრამის ან ვიდეოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head-ისა და ფორმა frm\_nawili-4-2\_child-ის საფუძველზე დაფორმირდა ანგარიშგება rpt\_nawili-4-2 (იხ. ნახ. №3.392). (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.393).




ნახ. №3.392. ნაწილი IV “ფორმა 4.2”-ის ვიდეოგრამა

- დეკლარაციის ნაწილი IV “ფორმა 4.3”-ის მანქანოგრამის ან ვიდეოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_2-4\_head-ისა და ფორმა frm\_nawili-4-3\_child-ის საფუძველზე დაფორმირდა ანგარიშგება rpt\_nawili-4-3 (იხ. ნახ. №3.394). (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.395).




ნახ. №3.394. ნაწილი IV “ფორმა 4.3”-ის ვიდეოგრამა

- საჯარო მოსამსახურის (პრეტენდენტის) მიერ შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილს თაობაზე შესაბამისი ცნობის ფორმის მანქანოგრამის ან ვიდეოგრამის მისაღებად მოთხოვნა qry\_nawili\_1\_child-ის საფუძველზე დაფორმირდა ანგარიშგება rpt\_cnoba (იხ. ნახ. №3.396). (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.397).



ნახ. №3.396. ცნობის ვიდეოგრაფია ფორმა-მენიუ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში წარსადგენი საჯარო მოსამსახურისა (პრეტენდენტის) და მისი ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შედგენის საინფორმაციო ქვესისტემა მუშაობს დიალოგურ რეჟიმში, რისთვისაც შექმნილია ფორმა-მენიუ frm\_start (იხ. ნახ. №3.398), (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.399).




ნახ. №3.398. მთავარი ფორმა-მენიუ

ფორმა-მენიუზე განლაგებული ბრძანების ღილაკების გააქტიურება იწვევს შესაბამისი ფორმებისა და ანგარიშგებების ეკრანზე გამოტანას. ფორმა-მენიუზე შემდეგი ბრძანების ღილაკებია განლაგებული:

“ფორმა I” – მასზე მიმართვისას იხსნება ფორმა frm\_nawili\_1\_head (იხ. ნახ. №3.349).

”ნაწილი I” – მასზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.228).




ნახ. №3.340. პარამეტრის ”პაროლი” მნიშვნელობის შეტანის ფანჯარა

შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ანგარიშგება `rpt_nawili-1` (იხ. ნახ. №3.378).

”ფორმა II”-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ფორმა `frm_nawili_2_head` (იხ. ნახ. №3.352).

”ნაწილი II” -ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), რის შემდეგაც ეკრანზე გამოდის ანგარიშგება `rpt_nawili-2` (იხ. ნახ. №3.380).

”ფორმა III”-ზე მიმართვისას ეკრანზე გამოდის დიალოგური ფანჯარა `frm_nawili_III_form` (იხ. ნახ. №3.341) (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.342).



ნახ. №3.341. ნაწილი III-ის ფორმების ფორმა-მენიუ

”ფორმა 3-1”-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ფორმა `frm_nawili_3-1_head` (იხ. ნახ. №3.355).




”ფორმა 3-2“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ფორმა `frm_nawili_3-2_head` (იხ. ნახ. №3.358).

”ფორმა 3-3“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ფორმა `frm_nawili_3-3_head` (იხ. ნახ. №3.361).

”ფორმა 3-4“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ფორმა `frm_nawili_3-4_head` (იხ. ნახ. №3.364).

სისტემის მთავარ ფორმა-მენიუზე ”ნაწილი III“-ზე მიმართვისას ეკრანზე გამოდის დიალოგური ფანჯარა `frm_nawili_III_reportebi` (იხ. ნახ. №3.343) (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.344).



ნახ. №3.341. ნაწილი III-ის რეპორტების ფორმა-მენიუ


”ნაწილი 3-1“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ანგარიშგება `rpt_nawili-3-1` (იხ. ნახ. №3.382).

”ნაწილი 3-2“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ანგარიშგება `rpt_nawili-3-2` (იხ. ნახ. №3.384).

”ნაწილი 3-3“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ანგარიშგება `rpt_nawili-3-3` (იხ. ნახ. №3.386).

”ნაწილი 3-4“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ანგარიშგება rpt\_nawili-3-4 (იხ. ნახ. №3.388).

სისტემის მთავარ ფორმა-მენიუზე ”წორმა IV“-ზე მიმართვისას ეკრანზე გამოდის დიალოგური ფანჯარა frm\_nawili\_IV\_formebi (იხ. ნახ. №3.345) (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.346).




ნახ. №3.344. ნაწილი IV-ის ფორმების ფორმა-მენიუ

”წორმა 4-1“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ფორმა frm\_nawili\_4-1\_head (იხ. ნახ. №3.367).

”წორმა 4-2“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ფორმა frm\_nawili\_4-2\_head (იხ. ნახ. №3.370).

”წორმა 4-3“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ფორმა frm\_nawili\_4-3\_head (იხ. ნახ. №3.373).

სისტემის მთავარ ფორმა-მენიუზე ”ნაწილი IV“-ზე მიმართვისას ეკრანზე გამოდის დიალოგური ფანჯარა frm\_nawili\_IV\_reportebi (იხ. ნახ. №3.347) (სტრუქტურა იხ. დანართი №4 - ნახ. №3.348).





ნახ. №3.347. ნაწილი IV-ის რეპორტების ფორმა-მენიუ

”ნაწილი 4-1“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ანგარიშგება `rpt_nawili-4-1` (იხ. ნახ. №3.390).

”ნაწილი 4-2“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ანგარიშგება `rpt_nawili-4-2` (იხ. ნახ. №3.392).

”ნაწილი 4-3“-ზე მიმართვისას სისტემა დეკლარანტის იდენტიფიცირების მიზნით ითხოვს პაროლის მითითებას (იხ. ნახ. №3.340), შესაბამისი პარამეტრის მითითების შემდეგ იხსნება ანგარიშგება `rpt_nawili-4-3` (იხ. ნახ. №3.394).

სისტემის მთავარ ფორმა-მენიუზე საბრძანებო ღილაკის ”ცნობა“ გააქტიურებისას ეკრანზე გამოდის საჯარო მოსამსახურის (პრეტენდენტის) მიერ შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ საგადასახადო ინსპექციაში წარდგენის თაობაზე შესაბამისი ცნობის ფორმა (ანგარიშგება `rpt_cnoba`, იხ. ნახ. №3.396), რომელიც მოწმდება საგადასახადო ინსპექციის უფროსის მიერ.

მიღებული ანგარიშგებები სურვილის მიხედვით, შეიძლება დაიბეჭდოს ან გამოტანილ იქნას ეკრანული ფორმით.



– მოცემული საბრძანებო ღილაკი განკუთვნილია სისტემასთან მუშაობის დასასრულებლად.

## დასკვნა

დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შემუშავებულია საზოგადოების ინფორმატიზაციის პროგრამები და აქტიურად მიმდინარეობს მათი პრაქტიკული რეალიზაცია. საქართველოს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში და ინფორმაციულ სივრცეში ჩართვისათვის აუცილებელია საქართველოში განხორციელდეს ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესი. ინფორმაციული საზოგადოება ეს არის პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფცია, ცივილიზაციის განვითარების ის ისტორიული ფაზა, რომელშიც წარმოების მთავარ პროდუქტად ინფორმაცია და ცოდნა გვევლინება. მისი მახასიათებელია: - საზოგადოების ცხოვრებაში ინფორმაციისა და ცოდნის როლის ზრდა; - მთლიან შიდა პროდუქტში ინფორმაციული კომუნიკაციების, პროდუქტებისა და მომსახურების წილის ზრდა; - გლობალური ინფორმაციული სივრცის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების ეფექტურ ურთიერთკავშირს, მათი მიმართვის შესაძლებლობას მსოფლიო ინფორმაციულ რესურსებთან და ინფორმაციულ პროდუქტებსა და მომსახურებაზე მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

დღეს ტერმინი "ინფორმაციული საზოგადოება" მჭიდროდ დამკვიდრდა არა მარტო ინფორმაციის სფეროს სპეციალისტებს, არამედ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციულ საზოგადოებას უკავშირებენ თავიანთი ქვეყნის მომავალს. ვინაიდან, ინფორმატიზაცია<sup>1</sup> სოციალურ-ეკონომიკური პროცესია და მან უნდა უზრუნველყოს საზოგადოებაში დაგროვილი ინფორმაციის დაყვანა მის თითოეულ წევრამდე, იგი მოწოდებულია აამაღლოს მოსახლეობის ცხოვრების დონე, ხელი შეუწყოს ინფორმაციულ-ფიჭური საზოგადოების აშენებას. ამისათვის კი ინფორმატიზაციის პროცესმა უნდა მოიცვას ადამიანის საქმიანობის ყველა სფერო, ყველა სტრუქტურული რგოლი და რაც მთავარია უპირველესად ისეთი პირველადი რგოლი, უჯრედი, როგორიც ოჯახია.

ინფორმაციულ საზოგადოებაში იცვლება არა მარტო წარმოების პროცესი, არამედ ცვლილებას განიცდის საერთოდ ცხოვრების წესი, ფასეულობათა სისტემა, იზრდება კულტურული თავისუფლების მნიშვნელობა მატერიალურ ფასეულობებთან მიმართებაში. ინდუსტრიალურ საზოგადოებასთან შედარებით, სადაც ყველაფერი მიმართულია საქონლის წარმოებასთან და მოხმარებასთან,

<sup>1</sup> მ. მაღრაძე, "სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა)", საგამომცემლო ფირმა "ქსენოგრაფი", თბილისი, 2000 წ.

ინფორმაციულ საზოგადოებაში წარმოებს და მოიხმარება ინტელექტი, ცოდნა, რასაც თავის მხრივ მიყვავართ გონებრივი შრომის წილობრივი ზრდისაკენ. ადამიანისაგან მოითხოვება მხოლოდ შემოქმედებითობა, იზრდება მოთხოვნა ცოდნაზე.

ინფორმაციულ საზოგადოებაში ფიზიკური და გონებრივი შრომის ინფორმატიზაციის პროცესი სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირებასა და შესაბამისად, მეტი თავისუფალი დროის გამოთავისუფლებას უწყობს ხელს, საწარმოო დანიშნულების ინფორმაციის მოცულობის ზრდასთან ერთად იზრდება პიროვნების ნორმალური განვითარებისათვის საჭირო ინფორმაციის მოცულობა. უკვე დგას პრობლემა საოჯახო ბიზნესის, შინამეურნეობის განვითარების, პროფესიონალური საქმიანობის, ოჯახის ფინანსური რესურსების მართვის, დისტანციური სწავლების, ოჯახში სამედიცინო მომსახურების, ოჯახის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების კონტროლის, ელექტრონული ვაჭრობის, ოჯახის შექმნის, მეგობრებთან და ნათესავებთან ოპერატიული კავშირის დამყარების, ფასიანი ქაღალდებით დისტანციური ვაჭრობის, ფინანსური და ქონებრივი დეკლარაციების შედგენის, სახელმწიფოს მართვის ორგანოებთან დისტანციური დაკავშირების, გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის დისტანციური ანგარიშსწორების, სამუშაოს მოძიებისა და სხვა სახის სოციალური დანიშნულებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და გამოყენების შესახებ.

საზოგადოების ინფორმატიზაცია ჩვენი დროის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად იქცა. არ მოიძებნება ადამიანის საქმიანობის არც-ერთი სფერო, რომელიც გარკვეული დონით არ იყოს დაკავშირებული ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების პროცესთან, რადგან ინფორმატიზაცია არის პროცესი, რომლის საფუძველზეც იქმნება პირობები აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებაზე ნებისმიერი ადამიანის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ინფორმაცია გახდა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი პოლიტიკაში, მრეწველობაში, მეცნიერებაში, განათლებაში.

ინფორმატიზაციის გლობალურ მიზნად მოსახლეობის ინფორმირების აუცილებელი დონის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც განპირობებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით.

საქართველოში უკვე გადაიდგა პირველი<sup>1</sup>, საკმაოდ ხელშესახები და დამაიმედებელი ნაბიჯები ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების გზაზე.

საქართველოს მთავრობის პროგრამაში (2004-2009 წლებისათვის) ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად ინფოკომუნიკაციები იქნა აღიარებული, რადგანაც მათ უნდა უზრუნველყონ ქვეყანაში ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობის პროცესების დაჩქარება.

საქართველოს მთავრობის 2008-2012 წლების პროგრამაში კი, ძირითად მიზნებს შორის გამოკვეთილია მოსახლეობის კომპიუტერიზაციის 2-ჯერ გაზრდა, ელექტრონული გადახდების ხელმისაწვდომი საშუალებების ამოქმედება, ელექტრონული ხელმოწერისა და ერთიანი სამთავრობო ელექტრონული ქსელის შექმნა.

ამგვარად, საქართველოს ამჟამინდელი ინფორმაციული გარემო შეიძლება დახასიათდეს, როგორც დემოკრატიზაციის მიმართულებით გარდაქმნის სტადიაში მყოფი, რომელიც, მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, საჭიროებს სერიოზულ რეფორმებს ინფორმაციის თავისუფალი მიღებისა და გავრცელების, მისი სანდოობისა და მთელი ამ პროცესის თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნების თვალსაზრისით.

ინფორმატიზაციის დარგში მიმდინარე ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციების ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ბოლო წლებში მიღებული ის საკანონმდებლო აქტები, რომლებმაც ხელი შეუწყო დარგში მეწარმეობის განვითარებას. (კანონები “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” “მაუწყებლობის შესახებ”, “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ”, საგადასახადო კოდექსი და სხვა.) მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველო გაწევრიანდა “ევროპის ქვეყნების ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციათა კონფერენციაში” (CEPT). რაც ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ დატვირთვას ატარებს. ამ რეგიონალური ორგანიზაციის მეშვეობით კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში განხორციელდება საქართველოს ინტერესების ლობირება ევროსაბჭოში და ევროკავშირში, აგრეთვე გაეროს ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში როგორებიცაა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU) და მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU).

<sup>1</sup> [UNDP Georgia, NCTeam \(CIMS Consulting\) საქართველო, თბილისი 2004, “ICT Development Framework for Georgia”](#)

ისევე როგორც მოელს მსოფლიოში, ისე ჩვენს ქვეყანაშიც მიმდინარეობს შინამეურნეობის ინფორმატიზაციის პროცესი. ყოველდღიურად იზრდება ოჯახებში გამოყენებული პერსონალური კომპიუტერებისა და ტელესაკომუნიკაციო საშუალებების რაოდენობა. მაგ. 2002 წლისათვის აშშ-ში ოჯახების 60%-ს და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ოჯახების 49,0%-ს გააჩნდათ ერთი ან ორი პერსონალური კომპიუტერი. რასაკვირველია საქართველოში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების თანახმად:

პკ რაოდენობა ას შინამეურნეობაზე

	2005	2006
ქალაქი	4	5
სოფელი	1	1
ქვეყანა	2	3

დღეს განვითარებულ ქვეყნებში კომპიუტერი ოჯახში ცხოვრების ისეთივე აუცილებელ სტანდარტად იქცა, როგორც ტელევიზორი, მაგნიტოფონი ან სარეცხი მანქანა. ის როგორც წესი, გამოიყენება ოჯახის რამდენიმე წევრის მიერ: მშობლებისათვის – ეს არის დამხმარე ბიზნესსა და კომუნიკაციებში, ბავშვებისათვის – ჭკვიანი პარტნიორი თამაშებში და გზათმკვლავი სწავლაში. უკვე 1995 წელს, აშშ-ში, გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კომპიუტერების შესყიდვაზე დახარჯულმა თანხამ ტელევიზორების შესყიდვაზე დახარჯულ თანხას გადააჭარბა.

სამეურნეო პროცესების მართვის ინფორმატიზაციის მიზნით აუცილებელია შესწავლილ იქნას ოჯახში ინფორმაციაზე მოთხოვნა. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაციაზე მოთხოვნის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მოცემული ოჯახის სტრუქტურა (სულადობა, მისი ასაკობრივი, პროფესიონალური, სქესობრივი შედგენილობა). ინფორმაციაზე მოთხოვნა საფუძვლად უნდა დაედოს საოჯახო საინფორმაციო სისტემის შემუშავებას. საინფორმაციო სისტემის მეშვეობით ოჯახის ნებისმიერ წევრს უნდა შეეძლოს მსოფლიოს საინფორმაციო რესურსებთან თავისუფლად მიმართვა. მისი მეშვეობით უნდა მოხდეს ადამიანის ინფორმაციული კულტურის ამაღლება, რომლის გარეშეც შეუძლებელია პიროვნების მიერ საინფორმაციო ურთიერთობების დამყარება გარე

სამყაროსთან. ადამიანმა უნდა შესძლოს შინამეურნეობის მართვის მიზნით გადაწყვეტილების მიღება (ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, ბანკში დეპოზიტზე ფულის მოთავსების, ბიზნესის საქმიანობის დასაწყებად ბიზნეს-გეგმის შედგენის შესახებ).

ოჯახში ინფორმაციაზე მოთხოვნის ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ იქნა საინფორმაციო სისტემის სტრუქტურა. მიუხედავად ოჯახის სტრუქტურული შედგენილობისა, დადგენილ იქნა იმ ამოცანათა სპექტრი, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია ნებისმიერი ოჯახისათვის. მათ რიგს მიეკუთვნება: საოჯახო ბიუჯეტის შედგენისა და კონტროლის, საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების შედგენის, კულინარული რეცეპტების მოძიების, საოჯახო ბიბლიოთეკაში სასურველი ლიტერატურის მოძიების, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის ისტორიის მოძიების ავტომატიზაცია, დისტანციური განათლების მიღება, საბანკო ოპერაციების განხორციელება სახლიდან გაუსვლელად სისტემით “კლიენტი-ბანკი”, უწყვეტი კავშირი მსოფლიოსთან.

#### **დისერტაციის:**

**შესავალში** დასაბუთებულია თემის აქტუალობა, მოცემულია კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები, კვლევის ობიექტი და საგანი, კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, გადმოცემულია კვლევის მეცნიერული სიახლეები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

**პირველ თავში** – “**ინფორმატიზაცია და ოჯახის ინფორმაციული უზრუნველყოფა**” – განხილულია ინფორმატიზაციის პროცესის აუცილებლობის საკითხი, ინფორმაციული რევოლუციის სახესხვაობები, მანქანური ინფორმატიკის დარგის განვითარების ეტაპები, ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების აუცილებლობა, მისი ძირითადი მახასიათებელი ნიშნები, ასევე დეტალურად არის ნაჩვენები თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი სახელმწიფოს ერთ-ერთი შემადგენელი უჯრედის – ოჯახის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნებსა და მათ შორის საქართველოში არსებული სტატისტიკური მონაცემები ცალკეული წლების ჭრილში, ოჯახებში გამოყენებულ პერსონალურ კომპიუტერებთან დაკავშირებით.

**მეორე თავში** – “**ოჯახი, როგორც ინფორმატიზაციის ობიექტი**” – შესწავლილია ოჯახში ინფორმაციაზე არსებული მოთხოვნა, კლასიფიცირებულია ინფორმაციის ის სახეები, რომლებიც აუცილებელია ოჯახისათვის, მის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად თუ სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. კერძოდ,

ეს შეეხება ბიუჯეტის დაგეგმვას, ინფორმაციის მიღებას შემოსავლების, ხარჯების, დებიტორული თუ კრედიტორული დავალიანებების, ოჯახის მფლობელობაში არსებული ფინანსური თუ ქონებრივი საშუალებების შესახებ, სახლიდან გაუსვლელად საბანკო ოპერაციების განხორციელებას, დისტანციური განათლების მიღებას, უწყვეტ კავშირს მსოფლიოსთან გლობალური ქსელის ინტერნეტის გამოყენებით. მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ქვეყნებში ოჯახში ინტერნეტმომხმარებელთა რიცხოვნობის შესახებ, გაანალიზებულია ინტერნეტ-აუდიტორიის გენდერული თუ ასაკობრივი შემადგენლობა, განათლების დონე, სოციალური სტატუსი და გამოკვეთილია ის ფაქტი, რომ ინტერნეტ-აუდიტორიის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ 25-34 ასაკის მქონე მამაკაცები უმაღლესი განათლებით და 18-24 წლის სტუდენტები. ეს საზოგადოების სწორედ ის ნაწილია, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროება უწყვეტი კავშირი მსოფლიოსთან, როგორც კარიერული ზრდის, განათლების მიღების, ასევე ინფორმაციული კულტურის ჩამოყალიბებისათვის.

**მესამე თავში – “საოჯახო სისტემების განვითარების პერსპექტივები”** – მოცემულია საინფორმაციო სისტემის სტრუქტურა, განხილულია მისი კომპონენტები, დასაბუთებულია ოჯახისათვის საოჯახო საინფორმაციო სისტემების მნიშვნელოვნება, დეტალურად არის გადმოცემული საინფორმაციო სისტემისათვის ცალკეული ქვესისტემის შექმნის რთული პროცესის თითოეული ეტაპი შესაბამისი ინფორმაციული ფაილების შექმნიდან ანგარიშგებების შექმნის ჩათვლით.

როგორც მსოფლიო ანალიტიკოსების გამოკვლევებიდან ჩანს<sup>1</sup>, დღეს უფრო და უფრო მეტი ადამიანი ცდილობს, თავისი ყოველდღიური საზრუნვების უმრავლესობა ელექტრონული მოწყობილობების „რკინისებურ მხრებზე“ გადაიტანოს. ავტომატიზაციის იდეამ დიდი ხანია, რაც მომხმარებელთა გონება და ფიქრი მოიცვა. თუ მანამდე მიზანშეწონილად ითვლებოდა ავტომატიზაციის სისტემების მხოლოდ საწარმოებში დაყენება, დღეს, უკვე ამგვარი სისტემები ყოველდღიურ ცხოვრებაშიც აქტიურად შეიჭრნენ.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გაზარდა დასამუშავებელი მონაცემების მოცულობა, როგორც ფირმებსა და სხვადასხვა

<sup>1</sup> [www.aspect.vyatka.ru/library/ib/ihome/sx/art/255138/cp/1/br/256631/discart/255138.html](http://www.aspect.vyatka.ru/library/ib/ihome/sx/art/255138/cp/1/br/256631/discart/255138.html)

სახის საწარმოებში, ასევე ოჯახებში. დიდი რაოდენობის მონაცემების დამუშავება, კი, პერსონალური კომპიუტერის (პკ) გარეშე შეუძლებელია. ამგვარად, დღეისათვის თანამედროვე ოჯახის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პკ-ის გამოყენებასთან. პკ-ის დახმარებით თითოეულ ადამიანს მიუხედავად განათლების ცენზის, პროფესიის, ასაკისა თუ სქესისა შეუძლია იცხოვროს გაცილებით უფრო რაციონალურად, ეკონომიურად და მოკლედ რომ ვთქვათ, უწინდელზე უკეთესად.

სს განიხილება, როგორც სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებებისათვის საჭირო ინფორმაციის წარმოდგენას.

ოჯახში საჭირო ინფორმაციის მოცულობა და მრავალფეროვნება საკმაოდ დიდია. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია ოჯახის წევრთა პროფესიული განათლებით, მათი ადგილით საზოგადოებაში, მათი ინტერესთა სფეროებით. ოჯახის წევრები მათი საქმიანობის მიხედვით, შეიძლება რამდენიმე ჯგუფად იქნეს დაყოფილი: სხვადასხვა სახის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები; მეცნიერ-მუშაკები; საოჯახო ბიზნესის წარმომადგენლები; მოსწავლეები; სტუდენტები; ასპირანტები; პედაგოგები; დიასახლისები; საჯარო სამსახურის მუშაკები; სხვა დანარჩენი მუშა-მოსამსახურეები. ყოველ მათგანს ესაჭიროება მათი საქმიანობისათვის სპეციფიკური ინფორმაცია. მაგრამ გარდა კონკრეტული სპეციალიზებული ინფორმაციისა, არსებობს ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება ნებისმიერ ოჯახს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსს-ის სტრუქტურას ტექნიკური, პროგრამული და ინფორმაციული თვალსაზრისით განსაზღვრავს ოჯახის წევრთა წინაშე მდგარი ამოცანები.

საოჯახო საინფორმაციო სისტემა შემუშავებულია პერსონალურ კომპიუტერზე, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Access-ის გამოყენებით. სისტემა მუშაობს დიალოგურ რეჟიმში. შექმნილია მომხმარებლისათვის საკმაოდ მოქნილი ინტერფეისი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, სისტემით ისარგებლოს პროგრამული უზრუნველყოფის არმცოდმნე, არაპროფესიონალმა მომხმარებელმაც. სისტემა ოთხი ქვესისტემისაგან შედგება:

- ოჯახის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების საინფორმაციო ქვესისტემა;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარსადგენი საფინანსო დეკლარაციების შედგენის საინფორმაციო ქვესისტემა;



- თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარსადგენი ქონებრივი დეკლარაციების შედგენის საინფორმაციო ქვესისტემა;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში წარსადგენი საჯარო მოსამსახურისა (პრეტენდენტის) და მისი ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შედგენის საინფორმაციო ქვესისტემა.

**ოჯახის ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების საინფორმაციო ქვესისტემის** შექმნის აუცილებლობა განაპირობა ოჯახში საოჯახო მეურნეობის გაძღვლასთან დაკავშირებით დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობამ და ბაზარზე არსებული შესაბამისი საინფორმაციო სისტემების ანალიზმა.

საოჯახო ბიუჯეტის შედგენისა და კონტროლის რამდენიმე საშუალება შეიძლება იქნეს გამოყენებული, იქნება ეს ტრადიციული წესით რვეულის გამოყენება, ელექტრონული ცხრილებით თუ სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობა. უდავოა, რომ ეფექტური, ეს უკანასკნელია.

შემოთავაზებული ქვესისტემა გამოსადეგია ყოველი ოჯახისათვის და რეალიზებულია მის მაგალითზე. სისტემის პრაქტიკული რეალიზაცია ყოველ ოჯახში საგრძნობლად გაუმჯობესებს საოჯახო მეურნეობის გაძღვლის პროცესს, დღის წესრიგიდან მოხსნის ფინანსური საშუალებების განაწილების, ხარჯვის პროცესის ქაღალდზე კონტროლის საკითხებს, ოჯახს შესაძლებლობას მისცემს, რომ ეფექტურად დაგეგმოს ბიუჯეტი, გაანაწილოს იგი ხარჯვის ცალკეული მუხლების მიხედვით, აკონტროლოს ფულადი სახსრების ხარჯვის პროცესი, რაციონალურად გამოიყენოს ფინანსური რესურსები, აკონტროლოს დებიტორული თუ კრედიტორული დავალიანებების გადახდის გრაფიკი, ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია ოჯახის შემოსავლების, ხარჯების და არსებული რესურსის თუ დავალიანების შესახებ.

**საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების შედგენის საინფორმაციო ქვესისტემები** – ელექტრონული მთავრობის კონცეფციის ფარგლებში საკმაოდ მნიშვნელოვანია მისი ერთ-ერთი შემადგენელი სექტორის, როგორცაა მთავრობა-მოხელე (G2E) ჭრილში განხილულ იქნეს დეკლარაციების ელექტრონული ვერსიების შედგენისა და მათი ელექტრონული სახით შესაბამის ორგანოებში წარდგენის საკითხი. ამას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მთავრობის 2008-2012 წლების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ერთიანი სამთავრობო

ელექტრონული ქსელის შექმნა, რაც ითვალისწინებს ელექტრონული დოკუმენტების გამოყენების დანერგვას როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. ამგვარად, გამოიკვეთა საოჯახო საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, საჯარო მოხელისათვის და თანამდებობის პირებისათვის ელექტრონული სახით დეკლარაციების შევსებაში ხელშეწყობა და შესაბამის მონაცემთა ელექტრონული არქივის არსებობა.

საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების შედგენის საინფორმაციო ქვესისტემები მომხმარებელს, რომელიც დასაქმებულია საჯარო სამსახურში, საშუალებას აძლევს, პკ-ის გამოყენებით შეავსონ დეკლარაციის ელექტრონული ფორმები და მიიღონ ისინი მანქანოგრამის სახით. მინიმუმამდეა დაყვანილი შეცდომის დაშვების ალბათობა, რადგანაც ფორმებში შეტანილი მონაცემების კორექტირებისას მომხმარებელს არ უწევს საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების ანალოგიური ფორმების განმეორებითი შევსება – ამას სისტემა უზრუნველყოფს. ასევე, შესაძლებელია ფორმების ელექტრონული ვერსიის გადაგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შესაბამის ორგანოებში.

შემუშავებული საოჯახო საინფორმაციო სისტემის საშუალებით შესაძლებელია ოჯახის ბიუჯეტის შედგენა, მისი შესრულების მიმდინარეობის კონტროლი. შემოსავლების და ხარჯების დაგეგმვა წარმოებს სახეების მიხედვით. საინფორმაციო სისტემის დახმარებით დიალოგურ რეჟიმში ხორციელდება დაგეგმილი და ფაქტიური შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და სახეების მიხედვით გადახრების გაანგარიშება. ოჯახს შესაძლებლობა აქვს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მოახდინოს მოცემული მომენტისათვის ბიუჯეტის თანხების გადანაწილება მის მიერ მიჩნეული პრიორიტეტების მიხედვით.

შემუშავებული საოჯახო საინფორმაციო სისტემა შესაძლებლობას იძლევა კომპიუტერის დახმარებით ოჯახმა მართოს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების გადახდის პროცესი. სისტემა ოჯახის წევრს ახსენებს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადის დადგომას, ასევე გამოაქვს ინფორმაცია კრედიტორული და დებიტორული თანხების გადახდის გრაფიკის შესახებ.

შემუშავებული საინფორმაციო სისტემა ოჯახის წევრს საჯარო მოსამსახურეს ეხმარება საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციების შედგენაში. საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში ასახულია დეკლარაციების შესავსებად საჭირო ყველა ინფორმაცია. დეკლარანტს შეუძლია დეკლარაციის გადაგზავნა

ელექტრონული ფოსტით, როგორც შესაბამის საგადასახადო ორგანოებში, ასევე საფინანსო-ქონებრივი დეკლარაციების ბიუროში. შემოთავაზებული სისტემის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ დიდია დეკლარაციის შევსების სიზუსტე, მარტივია მასში ცვლილებების შეტანა. ვინაიდან მიმდინარე წლისათვის შევსებული დეკლარაციის დოკუმენტების ფორმები განთავსებულია მონაცემთა ბაზაში, დეკლარანტს მომავალი წლის დეკლარაციაში შეაქვს მხოლოდ მისი ოჯახის წევრების ფინანსურ-ქონებრივ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები. დეკლარაციის შესავსებად საჭირო დანარჩენ ოპერაციებს კომპიუტერი ავტომატურად ასრულებს.

სისტემა მუშაობს დიალოგურ რეჟიმში, ის ხასიათდება მოქნილი და მარტივი ინტერფეისით, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა მომხმარებელმა.

შემუშავებული სისტემა არის ღია, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია მისი გაფართოება ოჯახში გადასაწყვეტ ამოცანათა წრის გაფართოვების კვალდაკვალ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური ინფორმატიკა, მ. მაღრაძის რედაქციით, თბილისი 2002.
2. კონიაშვილი მ., “საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები ეკონომიკაში”, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005 წ.
3. მაღრაძე მ., “სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა)”, საგამომცემლო ფირმა ”ქსენოგრაფი”, თბილისი, 2000 წ.
4. მაღრაძე მ., სადისერტაციო ნაშრომი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა). თბ.: 1999.
5. მაღრაძე მ., მელქოშვილი თ., სეთურიძე რ., პრაქტიკული სამუშაოები Access-ში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004.
6. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. ”საქართველოს სტატისტიკურ წელიწდეული”, თბილისი, 2005.
7. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. ”შრომის ბაზარი საქართველოში 2002-2004”, თბილისი, 2005.
8. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. “საქართველოს შინამეურნეობები 2003-2004”. თბილისი 2005.
9. ჯაფიაშვილი ც., „ეკონომიკური ინფორმაციული სისტემების თეორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1996.
10. UNDP Georgia, NCTeam (CIMS Consulting) საქართველო, თბილისი 2004, “ICT Development Framework for Georgia”
11. Абдикаев Н.М., Проектированные интеллектуальных систем в экономике, изд-во “Экзамен“, М., 2004.
12. Аглицкий Д.С., Любченко С.А., Компьютер в офисе и дома, М., ИНФРА, 1997.

13. Аладьев В.З., Хунт Ю.Я., Шишаков М.Л., Основы информатики (учебное пособие), М., Информационно-издательский дом “Филин“, 1998.
14. АССА Учебник 5. Информационный анализ, Базовый уровень. Модуль С. Информационный анализ Учебник АДПБ, 2000.
15. Афанасьев В.Г., Социальная информация и управление обществом, М., 1975, 408 с.
16. Барановская Т.П., Лойко В.И., Семенов М.И., Трубилин А.И., информационные системы и технологии в экономике: Учебник, 2-е, изд., доп. и перераб., Под ред. В.И. Лойко, М., Финансы и статистика, 2003, 416 с.
17. Бекаревич Ю., Пушкина Н., „MICROSOFT ACCESS 2002“, Санкт-Петербург: Изд. БХВ- Петербург, 2002.
18. Борзенко Л.Е., Компьютер дома, М., Тоо фирма “Компьютер пресс”, 1996.
19. Брага В.В., Компьютеризация бухгалтерского учёта: Учебное пособие для вузов/ВЗФЭИ, М., “Финстатинформ“, 1996.
20. Бриллюэн Л., Наука и теория информации, М., ИЛ, 1960.
21. Брод К., Техноспресс, Человеческая цена компьютерной революции (перспективы информатизации общества), М., ИНИОН, 1990.
22. Ващекин А.Н., Об экономических аспектах понятия информации (теория и практика общественно-научной информации), М., ИНИОН РАН, вып 10, 1995.
23. Введение в информационный бизнес: Учебное пособие, под. редю Тихомирова В.П., Хорошилова Л.В., М., “Финансы и статистика”, 1996, 240 с.
24. Вейскас Дж., Эффективная работа с Microsoft ACCESS 2000, Санкт-Петербург: Изд. Питер, 2000.
25. Вершинская О.Н., Воздействие информации на общество (информационные технологии. средства и системы), №5, 1990.
26. Вершинская О.Н., Информационные услуги – идентификатор социального развития. (Компьютеры и экономика), экономические проблемы компьютеризации общества, М., “Науки“, 1991.
27. Воробьев Г.Г., Твоя информационная культура, М., “Молодая Гвардия“, 1988, 303 с.
28. Грабауров В. А., Информационные технологии для менеджеров, Москва: Изд. „Финансы и статистика“, 2001.

29. Гринбер А.С., Горбичев Н.Н., Бондаренко А.С., Информационные технологии управления, Учебное пособие для вузов, М., ЮНИТИ-ДАНА, 2004.
30. Громов Г.Р., Очерки информационной технологии, М., ИнфоАрт, 1992, 336 с.
31. Джахья Л., Информационное Общество, Тбилиси, 1995, 36 с.
32. Дьяконов В.П., Компьютер в быту, Слюленск, "Русич", 1996 с.
33. Ё. Масуда, Информационное общество. Вашингтон. 1981 г.
34. Злотский Д.И., Этические проблемы использования компьютеров (этические проблемы компьютеризации, Реферативный сборник), М., ИНИОН, 1990.
35. Змитрович А.И., Интеллектуальные информационные системы, МН НТООО "Тетра Системс", 1997. 368 с.
36. Зуев К.А., Компьютер и общество, М., Политиздат, 1990, 315 с.
37. Информатика и культура, сборник научных трудов, ответств. редактор д.ф.н. Ладенко И.С, "Наука" СО, 1990, 232 с.
38. Информационная технология и информационная политика (Научно-информационное исследование), М., ИНИОН РАН, 1994, 208 с.
39. Информационные технологии в экономике, под редакцией д.э.н. профессора Ю.Ф. Смирнова. Серия "Высшее образование", Ростов Н/Д, "Феникс", 2003.
40. Карминский А.М., Нестеров П.В., Информатизация бизнеса, "Финансы и статистика", 1997.
41. Компьютеризация системы образования: научно-аналитический обзор, М., АН СССР ИНИОН, 1990, 41 с.
